





# ფენაგორიები

ლიტერატურის მუზეუმი

თბილისი

2011

© გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი 2011

გამომცემელი	ლაშა ბაქრაძე
რედაქტორი	თეა თვალავაძე
ამწყობი	ლია ქიგაშვილი
დაკაბალონება	ფაზი გაგულია
ფოტორეპორტერი	მირიან კილაძე
წიგნის მუშაობდნენ	მარიამ სამადაშვილი, ელენე გუსევა

დაიბეჭდა სტამბაში „სი-ჯი-ეს“

ლიტერატურის მუზეუმი მაღლობას უხდის კომპანია „მაგთიკომს“ გამოცემის  
დაფინანსებისთვის

ISBN 978-99940-28-64-1



ჩვენ ქართულ საქმეს ვაკათახთ



Հաջողակ

Եղանակ շնորհված է յուն

Բայրութի համար Ամերիկական Տեխնոլոգիական  
Կոլեջի համար

Խըստ պահանջունություն

Մարդու աշխատավայրության համար առաջարկ է առնելու համար  
այս հայտնի "Համբաւակ" վեցքարու չերաց բարձրակայուն  
աշխատավայրության համար պահպան պահպան պահպան պահպան

Հայոց պահպան

1940 Երևան

առաջնա. Հայոց պահպան պահպան պահպան

# ფუნაგორიები\*

(ავსიტყვაობა)

შედგენილი ნიკოლოზ აგიაშვილის მიერ  
კარლო კალაძისა და ლადო ასათიანის  
რედაქტორობით

მთავარი კონსულტანტი – იაკობ ბალახაშვილი,  
რესპუბლიკის დამსახურებული ქაკისტი

\* სიტყვა „ფუნაგორია“ შემოტანილია კოლაუ ნადირაძის  
მიერ. პირველი ფუნაგორია ეკუთვნის მასვე.

რედაქცია

1940 წელი  
თბილისი. მწერალთა სასახლე

\* \* \*

„...ფუნაგორია არს მწერი ფრიად უწყინარ და უვ-  
ნებელ ყოველთა ცხოველთა ბედა... არ იცის კბენა,  
არცა ისრითა შაშვრა, არცა კბილთა ღრჭენა, არცა  
ჰინტრიგობად, ხვანჯი უხამსი, რაიცა მოსდგამს მოდ-  
გმასა ადამისასა, უფრორეცა მათ კაცთა კალმი-  
სამრხეველთა, რაოდენნიცა არიან სასახლესა მას  
ხელოვანთა და სრულიადსა საქართველოსა შინა...“

ძველი ლექსიკონიდან

\* \* \*

„მხოლოდ ფუნეს აგუნდავებ,  
იქვე ახლო აგორებო...“

აკაკი<sup>283</sup>

\* \* \*

ფუნაგორია სტილია ამომავალი კლასისა,  
ბევრის პერანგი შეღება, ბევრი მწერალი გასრისა.

სწრაფია ფუნაგორია, ხელიდან ხელში გადადის,  
აკანონებს და ანმტკიცებს ლიტერატურულ  
სინიდისს,  
ჟინი სჭირს მწერლუკანების<sup>49</sup> მონიკელებულ  
ცილინდრის.

ლადოს<sup>16</sup> წერილიდან

## ფუნაგორია

თითქოს პქონდეთ შეჯიბრება, სტადიონზე  
გადიოდნენ,  
ნეხვს ბურთივით მოაგორებს აგერ ხოჭო ათიოდე.  
ნეხვს აგორებს და შავ ბურთებს მიაგორებს  
მიწის ხვრელში,  
გაპკრავს ბოლოკიდურებით, ბურთს არ იღებს  
იგიც ხელში.

ირ. აბაშიძე<sup>3</sup> – „ჩვენებური მწერლები“

## პირველი ფუნაგორია

პეტრე გელეიშვილს – ყარიბს<sup>56</sup>

მან მწერლობაში დასტოვა კვალი,  
ვით განავალი მოლბე კამეჩმა.  
საქართველოში იმაზე მყრალი  
ჯერ არ დადგმულა არც ერთი ჩეჩმა.

კ. ნადირაძე<sup>187</sup>

1931 წ.

\* \* \*

აგიაშვილი ნიკავო<sup>6</sup>  
ნე პრიზნადოფ ნიკავო.\*




\* ქუთაისი. ოთახის კარებბე მინაწერი კარლოსაგან. <sup>131</sup>

\* \* \*

ნიკა<sup>6</sup> სხდომაზე გვეძახის,  
თუ არ მოვდივარ, ცხარდება.  
თუ მოვალ, ობლად ვყიალებ,  
თვითონ კი არა ცხადდება.

ი. გრიშაშვილი<sup>76</sup>

1948 წ. ივლისი



ითხებ გრიშაშვილი

## სიზმრის ახსნა

სანდრო ეული<sup>102</sup> ნახო სიზმარში,  
კარგია ძლიერე – ფული იცის (ე. ი. ?).

\* \* \*

იაკინთეს<sup>157</sup> დევიზია,  
სულ აკეთოს რევიზია...

## იგავ-არაკი

ჩიქოვანის<sup>273</sup> ნიჭის ძალა  
მიიჩნიეს სულ აბსურდათ,—  
ეგონათ, რომ მაწანწალას  
ოთახი და პური სურდა!

მაგრამ როცა მწერლის კიბე  
აირბინა — ყველა შედრკა,  
აქეთ-იქით მიიკრიფენ,  
ის დარბაზის შუა შედგა!

ჩაიხადა რა შარვალი,  
მათ გახედა ალმაცერად,  
და ჩაცუცქდა უტიფარი  
იქვე ლექსის დასაწერად!..



სიმთხ ჩიქოვანი

მედიდურად უთხრა ყველას:  
რაც დავწერე, წიგნად კმარა!  
წამოდგა და ნამოქმედარს  
ჟცებ ქუდი დააფარა...

თქვა: თუ ნახეთ, მე ბულბული  
ჩუმად როგორ გამოვჩეკე,  
მოუსმინეთ მას მეგრული,  
მეგობრულად მოდით ჩემკენ...

არ სჯეროდათ, მაგრამ მაინც  
არვინ იყო პირში მთქმელი,—  
სანამ მისმა მეგობარმა  
ქუდის ქვეშ არ შეპყო ხელი!..

...

დაწერა არ დამეტარა  
ამ ამბავის... თორემ მე რა —  
იმ დალოცვილს დაესვარა  
ორივ ხელი ბესოსფერად...<sup>204</sup>

1934 წელი

---

\* ს. ჩიქოვანის ლექსების წიგნის გამოცემის გამო.

\* \* \*

გოგლა<sup>156</sup> ჩვენზე სულ არ ფიქრობს,  
გოგლას ჩვენთვის არ სცალია.  
პირველად მან წამოიწყო  
პრემიისთვის წანწალია.  
მუდამ წყალობს აღმოსავლეთს,  
დასავლეთზე გამწყრალია,  
ჩვენზე უფრო პატივსა სცემს  
ბესარიონ გვასალიას...<sup>58</sup>

1953 წ.

\* \* \*

სანაპიროზე შევხვდი გვინჩიძეს,<sup>60</sup> –  
ვკითხე: „თეატრში ნეტა რაია?“  
„მსახიობები ყველა დიდი მყავს,  
დრამატურგი მყავს პატარაია“.<sup>201</sup>



## ერთი მასაც მოხვდეს

სულ წუწუნებს, სულ კრუსუნებს,  
ფირილსა და ოხვრაშია...  
„ავადა ვარ, გლახადა ვარ...  
ოხ, რა მცივა, ოხ, რა მშია!“  
დათიკოს<sup>54</sup> ნუ დაუჯერებთ,  
ძველთაძველი ოღრაშია.



## სერგო კლდიაშვილზე<sup>146</sup>

...ის ურჩევნია მამასა, <sup>145</sup> –  
შვილი არ სწერდეს დრამასა.

## ღოცენტ პანტელეიმონ ბერაძეზე<sup>37</sup>


ფანტე, ჰე, ლიმონი ვერაზე –  
პანტელეიმონ ბერაძე.

\*

მე ლითონს ბალანსში ვაძლევ  
მელიფონ ბალანჩივაძე.<sup>26</sup>

\*

კალოზე, ო, რა გველი ძევს –  
კარლოა ორაგველიძე.<sup>196</sup>



## ლადო<sup>16</sup> – ვირისადმი

რადგან არ გავდი, ვირო, დიონისი,<sup>93</sup>  
ალბათ, ძმა იყავ იროდიონის!<sup>243</sup>

## სხარტულა ლადოსმიერი<sup>16</sup>

ყველა დაუჭირს აპოლონს<sup>287</sup> დის მეტი,  
და მაინც არ მოიშალა აპლოდისმენტი.

1939 წელი

## კოლექტიურად

ალექსამ<sup>71</sup> უთხრა კალესა:<sup>44</sup>  
„შენს ლექსებს უნდა გალექსვა“.  
კალემ მიუგო ალექსას:  
„შენს ლექსესაც უნდა გალექსვა,  
ხან სანდოო ეულს<sup>102</sup> მაგონებს,  
ხან – შენგელია ალექსა!“<sup>262</sup>

\* \* \*

კალევალა<sup>132</sup> თუ კალევერა?<sup>44, 264</sup>

\* \* \*

ნუღარ იკითხავთ გერცელ ბააზოვს,<sup>17</sup> –  
პიესებშიათ მძღნერზე ბაასობს.


\* \* \*

კონკურსი არის კარგ ვოდევილზე,—  
შენ რას აპირებ, კაკო დევიძე?<sup>88</sup>

### ირაკლიზე<sup>3</sup>

ერეკლე<sup>100</sup> პატარა იყო,  
ეს კი იმაზე მეტია.  
ნეტავ, რა დედამ დაბადა,  
ანდა სად გამოეტია?

გაბრძელება



ირაკლი აბაშიძე

\* \* \*

იაკინთე<sup>157</sup> ლოველასი,  
ვერ დამწერი ნოველასი.



იაკინთე  
ლისაშვილი

\* \* \*

ნატროშვილო,<sup>190</sup> ლექსი თუ გსურს,  
აფხაიძის<sup>20</sup> წუნი ჰკინძე.  
წერილები ოხრად, თუქსუსს,  
შეუკვეთე წულიკიძეს.<sup>288</sup>

\* \* \*

ცოლი – მხატვარი იანქოშვილი<sup>120</sup>  
ლადოს<sup>9</sup> მიჰყავდა გვიან, ქლოშინით.

## მემორიალურ დაფაზე

როდიონ ქორქიას<sup>249</sup> ოჯახი –  
შ. დადიანის<sup>81</sup> სახელობისა...

## ალექსი გომიაშვილს<sup>71</sup>

ვაჟა ფშაველას<sup>104</sup> გაჰყევი,  
ვაჟას ღვიას და დეკასო.  
დღეს ბობოხიძეს<sup>44</sup> მიჰყვები,  
რა მოგივიდა, შე კაცო!

==

mm.  
T



ალექსი გომიაშვილი

## ხუმრობისნაირი

ალიო<sup>171</sup> თავის მასხარას: აბაშიძიანთ გრიშასა<sup>2</sup> –  
ხან თავში წაუპარტყენებს, ხან გადაუგდებს  
ქისასა.

**მისამდერი:** გრიშამ უთხრა ამბერკისა,<sup>52</sup>  
შენც გაძლევენ ამფერ ქისას?



აღით შაშაშვილი

ჩიქოვანის<sup>273</sup> ცულით  
და გვეტაძის<sup>59</sup> ტრაწით  
ამოიგსო სული  
შალვა დემეტრაძის.<sup>90</sup>  
ნაპოეტარ არის,  
ავტო უყვარს, ავტო...  
და გვეტაძის კარის  
მსახურია მარტო.

\* \* \*

Символист нездешний,  
Очень озабочен,  
Поэт между прочим.  
Он Раждена<sup>59</sup> денщик,  
Авто любит очень...

\* \* \*


პოეტები ხომ შგერია,  
პე, რამდენის ჩონჩხი ძევს...  
აქეთ ილო ხოშგარია,<sup>301</sup>  
იქეთ შალვა ფორჩხიძე...<sup>240</sup>



შალვა ფორჩხიძე

## რეზო მარგიანის<sup>168</sup> რითმები

მეგობრებო, ამ ჭიქით  
ვადლეგრძელოთ ჭანჭიკი.  
მეგობრებო, იმ ტიკით  
ვადლეგრძელოთ ვინგიკი.  
ჭიქასა და ჭიქას შუა  
ვადლეგრძელოთ ჭიკაშუა.



## ქუთელია ალიოშა<sup>251</sup>

გაჩენილი კატის კნუტად  
კანტს<sup>134</sup> კითხულობს კანტი-კუნტად.

რეზო მარგიანი

## ერთი ვარიანტი

თუმცა ბევრჯერ აშეხურდნენ,  
მაინც ჰკრავენ ბავს.  
ცოლი<sup>1</sup> დადის, აჩუქურთმებს,  
ქმარი<sup>131</sup> ლექსებს თხზავს.

## აკაკიზე<sup>223</sup> ან გივიზე<sup>53</sup> თუ გრიშაზე<sup>2</sup>

ეს სულელი, მამაძალლი  
შეაბეა გასახლები.  
ცალი ფეხი ლიტფონდში<sup>159</sup> აქვს,  
ცალი ფეხი – სასახლეში.  
გვიჯობს, დრობე მოვიშოროთ,  
მივაბრძანოთ საძალლეში.

\* \* \*

გაბეთი რომ წაიკითხა,  
ჩაიცინა ჟაკმა<sup>27</sup> ცოტა.  
– რადიანს<sup>206</sup> და ჯეჯელავას<sup>309</sup>  
ერთად მისცეს „ზნაკ პაჩოტა!“

## ტიციანის<sup>232</sup> მეურნეობა

უნდოდა აეგო ქალდეას ქალაქები,  
მაგრამ გააშენა ფეხისალაგები.  
არსად სჩანს ქალდეას ქალაქი...  
სახელგამთან<sup>216</sup> სდგას ტიციანი, –  
ცოცხალი ფეხისალაგი.

მან დასწერა ლექსი  
 „ცხენი ანგელოსით“.  
 დღე იყო მზიანი...  
 ანგელოსის ნაცვლად  
 ვირბე გის ბობი  
 ჩვენი ტიციანი.



ნიკოლო მიწიშვილი,  
 გალერიან  
 გაფრინდაშვილი,  
 პატლო ასუშვილი,  
 ტიციან ტაბაძე

„გ ი რ ა ნ გ ე ლ ა ს ი თ“

მიეკრიცართ მერანით შზის სიბრჭყინვალეში  
 კულაძინ გზას გვიცლის, ვინცა ვართ იციან,  
 სან ქუჩთ ვებანბობთ შავ ლვინით ნალეში:  
 გრიგოლი, პაოლო და წმინდა ტიციან.

—:


შზის სპივით შევამჟეთ შწებარე ქალდეა,  
 გახშმი, სალილი გვაქს ქიმერიინში,  
 „ცისფერი ყანწებისა“ სიკვდილი აღრეა...  
 თუ მოქვდა—პანაშვილ გადვუძდით სიონში.

—:

ჰე, ჯანიც გავარდეს ცხოვრების ასეთ როლს,  
 გიწამეთ გომბეშო, ის ლაშეს ტიერი,  
 გრიგოლი შებლს გვახვევს აქცი სის ბანდეროლს,  
 რომ მოგვცეს კეშარიც პოეტის იერი.

\* \* \*

პაოლო იაშვილი,<sup>121</sup> ელენე დარიანი,<sup>85</sup>  
ტიციან ტაბიძე<sup>232</sup> ფინთია გვარიანი.



პაოლო იაშვილი და ელენე დარიანი

\* \* \*

ირაკლიმ<sup>3</sup> იღონა, იღონა...  
შოშია გამოიგონა!

## საჩონგურო მასალა

შენ ეპოქამ გაპატიოს,  
რომ გაგხადა „საპატიო“.

\*

გრასტი-ზნაკომ, ალექო,<sup>262</sup>  
შე პოეტო მაღენკო!  
ოფ პოეტიი დალეკო!  
შენი უშნო ლექსებით  
ხალხი უნდა წალეკო.  
მოეწონე მაღენკოვს...<sup>166</sup>

\*

პოეტიის ობოლ ხიდზე  
მიჰყუნცულებს ბობოხიძე.<sup>44</sup>

\*

პოეტიის ქაჩალ ხიდზე  
მიღაყუნობს კაჭახიძე.<sup>138</sup>

\*

თაქთაქიშვილმა დათამა,<sup>117</sup>  
ამ ურჯულომ და თათარმა,  
სულყველა როგორ დაქრთამა?  
დასწერა ექვსი პიესა,  
ექვსივე აპატიესა.

\*

ქეც არ ვიცი – რაცხა ვარ,  
ორბელი თუ ქვარცხავა!<sup>245</sup>

## ვეშაპელის<sup>107</sup> ურნის მიწაში ჩაფლის გამო

მოჰკლეს პარიზში, როგორც გამცემი,  
დასწვეს და ლეში აქციეს ფერფლად.  
შემდეგ, ვით გმირი თაყვანსაცემი,  
გამოაცხადეს ბვარაკად, მსხვერპლად.

იმის ურნასთან გოდების ნაცვლად  
დედის გინებას ყველა უნდება,  
და რაც ნაგავი ცეცხლმა ვერ დაწვა,  
დღეს ისევ მიწას დაუბრუნდება!

\* \* \*

ვერ გასტეხა რეზომ<sup>168</sup> ნავსი...  
მთლად დაჰკარგა რეზონანსი.



რეგაზ მარგიანი

\* \* \*

დილას ადრე, უთენია...

კანტს<sup>134</sup> კითხულობს ქუთელია.<sup>251</sup>  
მარქსის<sup>170</sup> სიბრძნეც უთელია,  
მწერლობაში... კურდღელია.  
ისე, მუბლიც მაგარი აქვს,  
ვით ძელქვა და ურთხელია.

\* \* \*

სულხან-საბას<sup>198</sup> ოქროს წიგნი  
რო გამოსცა ლეონიძემ,<sup>156</sup>  
მისი ეშხით ისე დათვრა,  
როგორც ღვინით ძველი სიძე,  
მაგრამ ბოლოს ვერ დამალა:  
– ისე ცხონდა მამაჩემი,  
რაც სიბრძნეა, საბასია,  
რაც სიცრუე – არის ჩემი.

**გარიანტი:**

ვიმრომე და გამოვეცი წიგნი სიბრძნე-სიცრუესი.<sup>198</sup>  
სიცრუე სულ ჩემი არის, რაც სიბრძნეა – არის მისი.

\* \* \*

სოხუმის ზღვაში გაფუფქულია,  
ინდაურივით გაფუყულია,  
მისთვის იკეთებს ქაფურს გულია,<sup>78</sup>  
რომ დაემსგავსოს გაფურ გულიამს...<sup>253</sup>

\*

გარიანი<sup>109</sup> აქებს ვირთხებს,  
და გარივით გრგვინავს ტაში...  
გულიების მძღნერს მიირთმევს  
და ჰელია გულიაში.

\*

სოხუმის პორტთან კელასურია...  
გულიას პროჭთან კი ლასურია.<sup>153</sup>

\* \* \*

ალიომ<sup>171</sup> უთხრა ილოსა:<sup>183</sup>  
– საქმეს ვიქმ სასაცილოსა,  
დავამშევ ფუნაგორისტებს,  
დავკეტავ სასადილოსა.

\* \* \*

ალიომ<sup>171</sup> უთხრა ილოსა:<sup>183</sup>  
– პლატონმა<sup>143</sup> ჩვენზე ილოცა,  
მას კლუბი როგორ ეყოფა,  
გადავცეთ სასადილოცა.

\*

ალიომ უთხრა ილოსა:  
ლექსებს რად არ სწერ, შვილოსა!  
ილომ მიუგო ალიოს: ლექსებს დაუდგეს თვალიო,  
ქეიფს და თავის აწევას უფრო აქვს გასავალიო.

\* \* \*

პიესას განა ჯაფა იძლევა?  
თქვა ბედოვლათმა ჯაფარიძემა.<sup>308</sup>

\* \* \*

როცა იონა<sup>103</sup> ქვაბე დაეცა,  
იონას დარჩა მუხლი გაშლილი.  
ნეტავ, იონა რისთვის დაეცა,  
რად არ დაეცა ბუხნიკაშვილი?<sup>46</sup>

გუგული ბუხნიკაშვილი



\* \* \*

ალიომ<sup>171</sup> უთხრა ილიოს:<sup>183</sup>  
ვაჲ, თუ მზე გამოილიოს!  
ილომ თქვა: ჩემანალაო,  
ბბეს მირჩევნია ჩალაო...

(ეს გალაკტიონის<sup>231</sup> ნათქვამია)

## სერგობე<sup>146</sup>

დავითმა<sup>145</sup> ცეცხლი დასტოვა,  
ამისგან რჩება ნაცარი,  
და ისიც დავითისია,  
სერგოში კარგი რაც არი.



სერგო ქლდიაშვილი

\* \* \*

ნიკა ხარ აგიაშვილი,<sup>6</sup>  
ნეტა ვისთან გაქვს კავშირი?  
ძმობა არ იცი მტრობისთვის  
მუდამ ხარ ფაფარ-აშლილი...

(ზაპიაზაიე, სანაც გინოდებ, იქინე გოუკეთე).

## ბალადა ბონდობე<sup>142</sup>

ქუთაისმა კარგად იცის  
პოეტების მაჩანდა,  
ბევრი შეთე გამოჩეკა,  
ბევრიც კარგი გაზარდა.  
ზოგი ჩონგურს აწერიალებს,  
ზოგი უკრავს საბანდარს,  
ზოგი კიდევ ხელგაწვდილი  
ხურდას ითხოვს ბაზართან.

ჩვენი ბონდო კეშელავა  
არცერთ რაზმს არ ეკუთვნის –  
მარტოდ-მარტო აღმართულა,  
ვით ნანგრევი გეგუთის.

სწორია და პირდაპირი,  
ხშირად მღერის „ჯან ტიკოს“,  
ჩიქოვანი<sup>273</sup> კი არ არის,  
ვინმე ენით გატლიკოს.

ცამეტია, დილა არის  
სიხარულის მომცემი,  
სასახლეში რადიანი<sup>206</sup>  
დადის, როგორც გოლცევი.<sup>70</sup>  
არსად სჩანან პოეტები  
ქვემოთის და ზემოთის.  
რკინის კარი გაიღება  
კეშელავა შემოდის.

საშიშია, როცა ვეფხი  
კიდევ უფრო ვეფხდება,  
სასახლეში კეშელავა  
ასათიანს<sup>16</sup> შეხვდება.

— ზრასფი, ლადო, გამარჯობა, —  
მხრებზე ხელებს შეახებს.  
— ზრასფი, ბონდო, გაგიმარჯოს, —  
მეც ამ წუთში გეახელ.  
მერე ბონდო კეშელავა  
მდივნის კარებს შეაღებს.

კაბინეტში იყვნენ მხოლოდ  
დივანი და მდივანი,  
მოკაკული ჩიქოვანი,  
წელუკიძე ივანიც.<sup>288</sup>

ბონდო ყველას მიესალმა,  
ყველას კარგი ახარა,  
ბოლოს ირა აბაშიძეს<sup>3</sup>  
წარუდგინა ჭალარა.

უთხრა: სხვები ცრემლებს ღვრიდნენ,  
თქვენ რომ ხელებს ითბობდით,  
საჭიროა პატარებსაც  
დაგვეხმაროს ლიგფონდი.<sup>159</sup>

„საჭიროა!“ – დაუმოწმა  
აბაშიძემ, – „ძანიალ“.  
გაიღიმა ჩიქოვანმა,  
გაიკრიჭა ვანიამ.

უცაბედად კაბინეტში  
შემოვიდა გოლცევი,  
აბაშიძის მასპინძლობით  
ძალზე განაოცები.  
აბაშიძე ეამბორა  
რუს ლაწირაკ-ფინიას

(კაბინეტში შეიჭვრითა  
ხოშგარია ილიაზ<sup>301</sup>  
გასაღების ნახვრეტიდან,—  
სულ რომ გახვრეტილია).

საშიშია, როცა ვეფხი  
კიდევ უფრო ვეფხდება,  
საშიშია, როცა ვეფხი  
მსხვერპლს პირისპირ შეხვდება.

— შე, ხონელო ლაწირაკო,  
ხალხს რომ ჰქოცნი საჯდომებს,  
წერის ნაცვლად დღეს და დამეს  
ციგნობას რომ ანდომებ.  
მე რომ ბურგი შემაქციე,  
და ეს ლაყე მოლოკე,  
მე კაცი ვარ, თუ ქვიფირში  
მოყვანილი ბოლოკი. —

უთხრა ეს და ვაჟაცურად  
სილა სტკიცა ბედიბედ,  
თან გინებაც მიაყოლა:  
— მოვტყან თქვენი დედის რძე.

გვერდით ჩხუბს რომ ყური მოჰკრეს,  
შემოაღეს კარები,

შემოვიდა ქავეარაძე<sup>243</sup>  
„არისტოკრატ“ ქალებით.  
ბონდომ ერთი შეუბლვირა,  
წაახდინა ყაძახი,  
კარს წიხლა ჰკრა და გავიდა,  
ვით არსენა ყაჩაღი.<sup>199</sup>

საით გაპქრენ ჩიქოვანი,  
გოლცევი და ვანიჩკა,  
ფეხსალაგში დაემალნა  
შემინებულ კარისკაცს.  
ბევრი ძებნის შემდევ ნახეს,  
პირდაპირ რომ ვიანგლოთ,  
გამოცდილმა მეძებარმა  
ჟაკუნიაზ<sup>27</sup> მიაგნო.

დავუბრუნდეთ, იმ წუთებში  
რა ამბები ხდებოდა,—  
პაწა გრიშა აბაშიძე<sup>2</sup>  
თითის წვერზე ხტებოდა,  
იძახოდა: ნუთუ მართლა,  
ნეტავ, შემატყობინა!  
ჩვენი ბონდო კეშელავა  
ლავე ბიჭი ყოფილა.

რადიანი კი ამბობდა:  
 გარტყმა როგორ გაბედეს,  
 კაცი ისე, ვით აგლაძე,<sup>7</sup>  
 ტკბილად უნდა დაბერდეს.  
 ყველა სწუხდა, რომ მობრუნდა  
 ფინთად ქორონიკონი.  
 ირაკლი კი ცახცახებდა,  
 ვით ცეცხლამის<sup>277</sup> სტრიქონი.

1940 წელი



\* \* \*

„იმერეტინსკაია შუტოჩნაია“  
(გრ. აბაშიძის<sup>2</sup> ლექსების წიგნი).

\* \* \*

აღობილა, ჩაღობილა  
საბლიფგამის<sup>213</sup> კარები.  
ეს კაშმაძე<sup>137</sup> რა ყოფილა,  
ახლოს ვერ ეკარები.

\* \* \*

პოეტია გვარიანი  
სივირიან ისიანი.<sup>125</sup>  
ი ლექსები რო შოუთხბავს,  
მისია თუ სხვისი არი?

\* \* \*

აღიომ<sup>171</sup> უთხრა ილოსა:<sup>183</sup>  
შენც გამომყევი, შვილოსა!..

## ლექსი გ. კაჭახიძისა<sup>138</sup>

ტკბილია ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხე და  
კუნჭული,  
ტკბილია, როცა სუფრაზე მოაქვთ შემწვარი  
ჭუჭული,  
ტკბილია, როცა ლოგინში გეჩურჩულება ფეჩური,  
მაგრამ... ყველაზე ტკბილია თვალდახუჭული  
მუჭური.

(ლექსი კოლექტიურია)

1955 წ.



გიორგი კაჭახიძე

## გულის ჩივილი

ქუთეისს განმქიქებელი  
ბახტურის ძეა პეტრუბა.<sup>33</sup>  
მან გიასელი<sup>61</sup> გაგარდა,  
სჯობდა, რომ კეტი ედრუბა.

## კარლოსებურად

გარბოდი ოდებით უაზრო ბოდებით,  
ცუილად იქეცი, გაჰყევი ქარს.  
შენ კალე კალაძევ,<sup>131</sup> იგივე კარლო,  
დედუე, რამხელა ბითური ხარ!

ხარბოდარ, ხარ ბოდვა, აფერისტ ორდენის,  
როგორც ცრუ ქაქუნა ქაკუნა ქაკ,<sup>27</sup>  
შენ თვითონ შაიხსენ ნიფხავის ზორგები,  
სულ მალე საქვეყნოდ მოგთხოვენ ტრაკს.



გარბოდო გაღიაძე

\* \* \*

ჯანდაბას მისი კალმის მოსმანი...  
პროზას აწვალებს შალვა სოსლანი,<sup>226</sup> –  
არც მწერალია და არც მგოსანი.  
ვის მოსწრებია ვირი რქოსანი?

## დათიკოს<sup>54</sup> ბაიათი

რუსულად სფამბულს –  
მე ვთარგმნი ჯამბულს,<sup>305</sup>  
ვაგროვებ ჯამ ფულს  
და ამით ვჭამ ფულს.



## ანდაბა

აბაშიძის<sup>3</sup> ხუმრობაო  
ნუ გვონია ხუმრობაო.

\* \* \*

ეს აწუხებს ნიკას<sup>6</sup> თურმე,  
რომ მის პალტოს იკასტუმებს...

ირაკლი აბაშიძე

\* \* \*

ჩვენში გამრავლდნენ პერევოჭიკინი:  
მიქელი,<sup>202</sup> გივი,<sup>53</sup> დავითი,<sup>54</sup> კიჭა.<sup>116</sup>  
მაგრამ მითხარით, იმათი შრომით  
ჩვენს საქართველოს რა მიენიჭა?

## ლიტრედაქციის<sup>158</sup> ოთახზე

ერთ დროს აქ ხანი<sup>11</sup> იყო და  
ჩაჩავას<sup>266</sup> ხელას შვებოდა,  
კოლიას რომ შეეხედა,  
სირცხვილით დაიწვებოდა.  
გასულა ხანი, ახალი,  
მაღალი ხანი<sup>206</sup> მოსულა,  
გადაუშლია ქაღალდი  
და ბედ უქნია ბობურად.  
ჩაჩავაც დაუმალია  
და წულუკიძე ვანიაც.<sup>288</sup>  
დღეს მოსვენებას არ აძლევს  
ხალხი კაბინეტს ნახანარს,  
მარტო ანიკო ვაჩნაძე<sup>106</sup>  
ხან შეიხედავს და ხან არ.

მოჰყვება ხალხი ემადინს  
საწერკალამით და კისტით.  
ხან ლეონიძე<sup>156</sup> შემოღის,  
ხან რომელიმე უაკისტი.  
ხან თვითონ უაკი<sup>27</sup> შემოვა,  
მოაქვს სიგელი ბატისტის,  
იფყვის, გაზეთის გემო ვარ,  
მკვლევარი კონტრაბანდისტი.

ერთი მეორეს აგინებს,  
ერთი მეორის გველია.  
ბალახაშვილის მაგიერ  
გაწერელიას<sup>55</sup> რცხვენია.

## ქურულისათვის<sup>205</sup> სამღერელი

ეს ვარლამი რა კაცია...  
მუხაა თუ აკაცია?  
არც ახურავს, არც აცვია,  
ბოზს აძლევს ობლიგაციას.

# ფუნაგორისტების წერილი I კოლაჟ ნადირაძეს,<sup>187</sup> პოეტს და მაესტროს

ყველა იძახის: კოლაჟს ეს რა შვილები მაესტრო?  
ჩვენც გულით გეხმიანებით, ფუნაგორიის

მაესტროვ!

არ მომხდარიყვეს, რომ ქვეყნად შენთვის სხვა  
ვინმეს გაესწროს,  
ხანდახან უნდა მოხვიდე და ჩვენს შეკრებებს  
დაესწრო.



თორემ სასახლის დარბაბში სულ რომ უყურო  
ეულებს,<sup>102</sup>  
ვაჟკაცი კი ხარ, მაგრამა გაგტანჯავს,  
დაგასნეულებს.  
ანდა რა ხეირს დაგაყრის შალვა თავტრაკას<sup>206</sup>  
ყურება,  
ჩაჩავა<sup>266</sup> ბუზის წონა და გორგაძე<sup>72</sup> ვირის ყურება.  
მაინც ამდენი ჩოჩორი საიდან მოაბოგინეს,  
ყველაზედ უფრო პატარა გაბეთის მდივნად  
ყლოყინებს.  
ბევრი ასმუშკა პოეტი დაბეჭდეს, მოალოგინეს,  
ვანიჩკას,<sup>288</sup> როცა ეტყვიან, წერილებს  
დაასლოკინებს.  
გაძვალტყავებულ მჭედლიშვილს<sup>184</sup> იცნობ, რომ  
კრიტიკოსია?  
ქართულს უწენებს მარტვილი გამსახურდია  
კოწიას.<sup>49</sup>  
გაჩუმდეს, თორემ კოწიამ ხალხი თუ  
მისწი-მოსწია,  
გადაავიწყებს იოსებს<sup>184</sup> ნადირთ საკლავად  
წოწიალს.  
ყველა სწერს: ბოგი რაკრაკებს, ბოგი იხრჩობა  
უთქმობით,

ბოგს თმის ჯეჯილი აწუხებს და ბოგი კვდება  
უთმობით.

დღეიდან კაცს არ დავუთმობთ, დღემდე თუ  
მრავალს ვუთმობდით.

არც კაკო გაწერელიას,<sup>55</sup> არც ბალახაშვილს<sup>27</sup>  
ბემელელს,  
დემეტრაძეს<sup>90</sup> და ჭანტურას<sup>290</sup> – კლასიკოს-  
გამომცემელებს.

ბოგი მოღვაწე პროსპექტზე მთვრალივით იწყებს  
ბორიალს.

აქ ვერც სულავას<sup>228</sup> შეხვდებით და ვერც ჩხეიძე  
ბორიას,<sup>274</sup>

ვერც „ტოლეპოვარ“ ალიოს (თუმცა ალიო ორია),<sup>8, 171</sup>  
შიგ შუბლში უნდა გავარტყათ მათ ჩვენი  
ფუნაგორია.

მრავალი შენი ძმაკაცი დასახმარებლად მიგელის.  
ბოგ-ბოგებისგან ჩაგრული ასე ამბობდა მიქელი:<sup>202</sup>  
– დამეხმარევი, კოლაუ, ერთი სიკეთე მიქენი,  
კლასიკოს-გამომცემელნი განმიკიცე-განმიქიქენი.  
სხვაც ბევრი არის საკბილო მანდ სასახლეში, თუ  
გარედ,  
გვინდა, შეგფიცოთ, კოლაუ, და სიტყვა გითხრათ  
მქუხარე;

ერთად დავასხათ უხამსებს ამომთუთქავი  
   მდუღარე,  
 გოგთან შენ თვითონ მიიჭერ და ცეცხლი  
   გადაუყარე.  
 კარგად ნათქვამი განქიქვა ხალხში დადის და  
   გორაობს,  
 ვიცით, მომხმარე გჭირდება, საქმე რომ  
   დააბოლაო,  
 ჩვენ გამოგყვებით, არ გაწყენს ასეთ შვილების  
   ყოლაო...  
 შენ გაგიმარჯოს, მხოლოდ შენ, ფუნაგორისტო  
   კოლაუ!

P.S. კეშელავა\* დაგვავიწყდა და სულ ბოლოს  
   გაგებინებთ:  
 დიდი კაცი როცა მოვა, კარებს ფართოდ  
   აღებინებს,  
 სულ სასახლის რემონტია, კედლებს ფერავს,  
   აღებინებს,  
 გამოთვრება და პირიდან რეცენზიებს აღებინებს.

\* პლატონი<sup>143</sup> – სასახლის კომენდანტი და... „მწერალი“.

## გამოცანა

ქაკზე<sup>27</sup> მაღალი,  
ტრაკზე დაბალი.

(ელიტბარ პოლუმორდვინვი).<sup>III</sup>

## კარლო<sup>131</sup> – სიმონს<sup>273</sup>

ამაოდ გადავაშავეთ, სიმონ, მე და შენ წიგნები,  
თავი პოეტი გვეგონა, თურმე ვყოფილვართ  
ციგნები.

\* \* \*

გამოვიდა წიგნები  
სახელგანთქმულ ციგნების.<sup>131, 273</sup>

\* \* \*

თუ იქნება ყაბულს ჟაკი,<sup>27</sup> –  
გვსურს, ვიყიდოთ ხაბურჩაკი!



კარლო კალაძე

\* \* \*

ადამია ალიო<sup>8</sup>

არა სწევდა ყალიონს.

მაშაშვილს<sup>171</sup> წაართვა სახელი,

ბიჭია სასახელო.

როცა სენაკში იყო,

ეძახდნენ – შალიკოს.

ახლა კი – ალიოშას, –

პოეტად არა უშავს.

ამას წერს ნიკა<sup>6</sup> –

ვეჩნი მდივანიკა.



ალიო ადამია

\* \* \*

როცა ბესოს<sup>204</sup> ქათმის სკინფლიც ეფულება,

რას უშველის აგარაკი, შვებულება?

\* \* \*

ვეღარ გავირთე თავი არქივით, –

ფუნაგორით ისევ ავედერდი.

და აბრეშუმის ყვითელ პარკივით

ბჟოლის ფოთლებში დავხატე ქღენგი.<sup>204</sup>

(კარლოს<sup>131</sup> მონაწერი)

## ჩვენზე

რედაქციაში<sup>271</sup> ორი ხოხობი,  
ერთი ცოცხალი, ერთიც ფიტული.  
ერთი მდივანი<sup>6</sup> – უნაყოფობით  
მჭედლიშვილივით<sup>184</sup> გამოფიტული.

ერთი დამჯდარი, როგორც ბელინსკი,<sup>35</sup>  
როგორც ჟაკუნა ჰაკოფ ბარალი.<sup>27</sup>  
ერთიც მაღალი,<sup>3</sup> ვით ობელისკი,  
ნაუკრაინალ-ნაკობბარალი.<sup>147</sup>

ლადო<sup>16</sup>

\* \* \*

კოწია<sup>162</sup> მიდის ომშია,  
ადესის მისადგომშია,  
პოლუმორდვინოვ ელიბბარ<sup>111</sup>  
თან მისდევს, როგორც გოშია.

(ესები)<sup>16</sup>



გთხოვთ მინე დორთქიფანიძე  
და ნიკოლოზ მიწიშვილი

\* \* \*

უთხარით მხატვარ ნადარეიშვილს:<sup>185</sup>  
კისრის მოღრეცას რად არ მეიშლის?  
ეს ლადოსია<sup>16</sup>

## ორეულები

„თაობა“<sup>271</sup> რომ გაჯახირდეს,  
დაუმატეს კაჭახიძეც.<sup>138</sup>

კეშელავა<sup>142</sup> და წვერავა<sup>285</sup>  
რეცენზიებს ნაწერავან.

ნატროშვილი<sup>190</sup> და სულავა<sup>228</sup>  
მათ ნაწერებს ნასუნავან.

კაჭახიძე და ქვარცხავა<sup>245</sup>  
პოეზიას ნაფარცხავან.

ვანო წულუ<sup>288</sup> და ჩაჩავა<sup>266</sup>  
„ლელოს“ ერთად ნაქაჩავან.

კ. კალაძე<sup>131</sup> და უურული<sup>205</sup>  
დარჩენ ასე დაწურული.

ჯანელიძე<sup>307</sup> და ფალავა<sup>237</sup>  
მოგონებებს ნაქაფავან.

ლადო ასათიანი<sup>16</sup>

## რითმებისათვის

რა საოცარი კაცი ხარ, აკა კი ბელიაშვილო,<sup>34</sup>  
შენ შეგიძლია, რომ მძვინვარ ლომს დათვის  
ბელი აშვილო.  
მაგრამ იმ უღელტეხილზე ასვლა კი ძნელია,  
შვილო!

ატაკი ბელიაშვილი



ატაკი ბელიაშვილი

## ერთი მათვანი


როგორც მეფემან განვლიე სიჭაბუქისა დღენია...  
ფეხითაც ბევრი ვიარე, თუმც მყავდა მუდამ ცხენია.  
ვაჟი კაცი ვარ, პოეტი, ამისი არა მრცვენია.

## ნ. მიწიშვილი<sup>180</sup>

მთელი საფრანგეთი შესძრა,  
რომ სცემეს და ვერ ჰქოვა ნუგეში.  
შემდეგ სახელგამში<sup>216</sup> შეძვრა,  
როგორც გონიკოკი მუ..ლში.

თავი დაანება პოეტიას  
და საერთოდ ღაღადს,  
ცეკაში<sup>276</sup> ისე ხმარობენ,  
როგორც საფრანგე ქაღალდს.

კოლაუ ნ-დე<sup>187</sup>



\* \* \*

Кто сей Барон<sup>42</sup>  
И как давно  
В Грузгиз<sup>216</sup> заброшен  
как гавно?

-Ց Ե Ա Զ Ո



Ճարտան ծոճոնցամբօլու դա նոյտութ մովսամբօլու

## პორტრეტი

როცა ეფყვიან: ვერ შეძლებ  
და თუ კაცი ხარ, დაკეტე,  
რომანს დაწერილს პეტრებე  
პავლებე გადააკეთებს.

ჯერ ხომ როლანი<sup>207</sup> შეპარსა,  
ახლა ბარნოვს<sup>32</sup> არ აყენებს.  
გამქაფველების კრებაზე  
პირველი დაასახელეს.

ერთი პატარა კაცია,  
ერთი უშანსო ფინაჩი,  
გველის პერანგი აცვია,  
კანს ცხრაჯერ იცვლის კვირაში.

გაწუწებული მელაა,  
თავში უწყვია კაკლები.  
გრ. აბაშიძის<sup>2</sup> ხელაა,  
არც მეტი და არც ნაკლები.

ირაკლიმ<sup>3</sup> „ბრძანა“ – სუსტია,  
თორომ მოვარტყამ ტრააკტე.  
ნაღველით სავსე ბუშტია,  
ჩიტის სკინტლიც კი წააქცევს.

ფუტურისტობის<sup>242</sup> იდეამ  
მრავალჯერ ააკანკალა,  
მძღნერში გასვრილი თითია,  
ჩიტია ბოლოქანქარა.

მუქთად მიღებულ ბინაში  
ყოველთვის ზუსტად იძინებს.  
დიდი კაცების წინაშე  
ცმუკავს და კუდს აქიცინებს.

იმ სოკოების ზნის არი,  
ნაწვიმარბე რომ ჩნდებიან.  
იცანით, გამოიცანით:  
შენგელაია დემიან!<sup>260</sup>

დემნა შენგელაია — 70 —



\* \* \*

„ბლვისპირელი“ რომ ააწყვეს და წავიდა კოსტა<sup>162</sup>  
შინა,

ვერ იქნა და ვერ მონახეს „ოჩერკისთვინ“  
ვერსად ბინა.

ასწიეს და გამოსწიეს და მიაგდეს სადღაც კიდეს,  
ამის მეტი რა მოუვა კაცს ამ ნიკას<sup>6</sup> გადამკიდეს!  
არ იჯავრო, გევედრები, კოსტავ, ბოლმა ნუ

აგავსებს,

თორემ ძველ „ხავსს“ არ გაქმარებს და ნიკა სულ  
დაგახავსებს.

კირილე სამუშაო<sup>214</sup>


სიმფეროპოლი, 1944 წ.

\* \* \*

ალ. საჯაია<sup>218</sup> ხედავს,  
რა საოცრება ხდება:  
ზოგი აკურთხეს მწერლად,  
ზოგი ნაგავში ლპება.  
დიმ. ბენაშვილმა<sup>36</sup> სწერა  
რ. მარგიანის<sup>168</sup> ქება.

\* \* \*

ნატროშვილი<sup>190</sup> ნატრობს ხშირად,  
რომ კვლავ დარჩეს ნატროშვილად.  
შემომძვრალა სასახლეში  
დამჯდარა და გაპროჭვილა.



გიორგი ნატროშვილი

\* \* \*

არა უშავს, იკოს, იკოს...  
არ ვაშავებთ სიმონიკოს!..<sup>273</sup>

(ქლებუმის შემდეგ, 1946 წ.)

## კოტე<sup>299</sup> – რეზოსგან<sup>168</sup>

ვედარ მალავს მეხმალე  
თავის სიბოროფესა.

ღმერთო, შენ მოეხმარე  
ხიმშიაანთ კოტესა.

პროზას თუ ვერ გასდია,  
ნუ ჩაახრჩობთ ოხვრაში.

ძველი პედერასტია  
და ნაცადი ოღრაში.

ყლეყვერთა მონელებით  
კოტეს ტრაკი გახურდა.  
დაჩხაპნა ნოველები  
და ჩეხოვი<sup>270</sup> გაჰქურდა.  
კოტემ სხვა მწერლებისაც  
ნოველები ასწია.

აქო გაწერელია,<sup>55</sup> –  
ისიც პედერასტია.

ვენაცვალე ჩვენს კრიტიკოსს  
ლამაზ მიხვრა-მოხვრაში.

ქუდად ხმარობს ქალის ტრიკოს,  
ბითური და ოღრაში.

სერ კოსტუმში მოუჩანს  
ტრაკი ნაქათქათარი.

გოსუნგში<sup>75</sup> ვინ მოუშვა  
აჭარელი თათარი.  
კოტე არის ქაჩალი,  
ელის დაფნის გვირგვინებს.  
მისი გოგოს ფანჩარი  
ჯეჯილივით ბიბინებს.

\* \* \*

ამოაგდეს იგი ფესო,  
ზედ რომ იჯდა ჩვენი ბესო!<sup>204</sup>

## რჩეული რითმები

ო, მეგობარო, ო, ფილიმონა,  
ბედნიერი ხარ ყოფილი მონა.

ბილიკ-ბილიკ, ხევ და ხევ...  
რასაც დასწერ, ხევ და ხევ!

სამკერვალოში ისმოდა:  
ეს მოდა მინდა, ის მოდა!



ბესარიონ უღენტი

\* \* \*

ქორეიკა ირაკლი<sup>3</sup>  
რედაქტორ აკურატნ,  
პოეტის წოდებებს  
არიგებს ქაკურად.<sup>27</sup>

\* \* \*

ბეჭდავს და ბეჭდავს „თაობა“<sup>271</sup>  
(ჟურნალში ვეღარ ჩასტიეს)  
ალ. შენგელიას<sup>262</sup> ლექსებს და  
ბალახაშვილის<sup>27</sup> სტატიებს.

### ამის ვარიანტი:

ბეჭდავს და ბეჭდავს „თაობა“<sup>271</sup>  
ალექოს<sup>262</sup> უთავბოლობას.  
ნომერში ვეღარ ჩასტია  
ალკა სულავას<sup>228</sup> სტაწია.  
იმ აქილესის<sup>21</sup> ნაქუსლარს  
მთლად ასტებია ტრაწია.

ძლეპო შენგელია



\* \* \*

მგოსანი შალვა კუჭავა<sup>151</sup>  
ქათამს სჭამს გაუკუჭავად,  
ღვინოს სვამს თვალებუჭავად...  
ცხვირგრძელაა და ყურშავა.

\* \* \*

რომ დაფაროს სიგლახე,  
ეფარება გიგლა<sup>173</sup> ხეს,  
მაგრამ ფარავს გიგლა ხეს,  
და ვერ მალავს სიგლახეს!

\* \* \*

მარგიანმა<sup>168</sup> სახე ლოთი  
მოიწმინდა სახელოთი.

\* \* \*

ისე დადის ქორქია,<sup>249</sup>  
თითქოს ნევ-იორკია –  
დადიანის<sup>81</sup> პროფორგია.

\*

მაგრამ „მედალი“  
მაინც ნე დალი,  
თუმც ჰგონია ქორქიას  
თავი – მაქსიმ გორკია.<sup>73</sup>

\*

პოლიხრონ ცინცაძე<sup>280</sup> –  
ღორი ყრონგს წინ წაწევს.

\*

ეფარება გიგლა\* ხეს,  
რომ დაფაროს სიგლახე,  
ვერ დაფარა სიგლახე,  
მაგრამ ფარავს გიგლა ხეს.

არ არის სწორი, იხილე წინა გვერდზე.

---

\* გიგლა მებუკე<sup>173</sup> – კრიტიკოსი დიადი.

\* \* \*

რაც დედის მუძუ მივატოვე, მას შემდეგ რძე აღარ  
დამილევია, ისე გამიძვირდათ – სთქვა ერთხელ  
დავით გაჩეჩილაძემ<sup>54</sup> მისებური ჩახარხარებით.

\* \* \*


ფანჯარაზე დგას ტყემალი,  
ხე კი არა – ბოთლი...  
ჩვენი რეზო მარგიანი<sup>168</sup>  
შტერია და ლოთი!

\* \* \*

სულავა<sup>228</sup> – სულ ავა,  
წიწავა – წინ წავა,  
წვერავა<sup>285</sup> – ვერ ავა.

### სოლომონ თავაძე<sup>114</sup> ქვიშეთში<sup>246</sup>

სოლომონი მუშაობს,  
ხელი არ შეუშალოთ!



სოლომონ თავაძე

\* \* \*

ნეტავი თუ იცი, ნიკა,<sup>6</sup>  
გრიშამ<sup>2</sup> დღეს სად იცინიკა?

**გრიშა ამბობს:**

ნეტ, ია ნე ირაკლი,<sup>3</sup> ია დრუგო,  
ეშჩო ნეიბბრანნ ციგანიკ.  
სეხნიას ვგევარ, თუმც არ მაქვს  
ისეთი სიგრძე და განი.

\* \* \*

ჟურნალმა ვერ იგუა,  
გამოიტაც ვერ იგუა.  
„დამაკვირდი“ სიგუა,<sup>221</sup>  
გოგუამ<sup>66</sup> თუ გიკუა.

\* \* \*

სიმონ წვერავა<sup>285</sup> – გლახა ნოველის  
სფახანოველი.<sup>227</sup>

\* \* \*

– ამის მეტი ქვეყანაზე რა დამრჩენია –  
დილით ხაში, საღამოზე „აპალჩენია“.

\* \* \*

ლადოჯან,<sup>16</sup> შენ არ შეგფერის ტირილი,  
დაღრეჯილობა.  
ლექსს ნუ სწერ სისხლით შეფერილს, ნუ  
მოგვაყენე ჭრილობა!

## ვარ-ვარ!

ხობისპირელი<sup>245</sup> ვარ!  
ვირი ვარ და ჯორი ვარ!  
და დორიც ვარ  
და რა ვიცი, რა ვარ!  
ხობისპირელი ვარ, თუ არა,  
ესეც არ ვიცი, რა ვარ.  
ავად ვარ,  
კარგად ვარ,  
ვარ!  
ყველაფერი ვარ!  
პიონერი ვარ,  
ოქტომბრელი ვარ!  
ვარ და ვარ!  
ვარ!

## კოწოური ინტერმეცო

ქამიდანქამბე გულმოდგინედ ვთარგმნიდი

დანტეს,<sup>84</sup>

ქართულ კულტურის მოამაგე ბერი კოწონი.<sup>49</sup>

ვიგულსმოდგინეთ, ვიმოდვაწეთ, ერთად<sup>49, 295</sup>

დავანთეთ

დიდებულისა ქართულისა სიტყვის კოცონი.

მარჩბივთა ესე განვვლეთ ბჭენი ჯოჯოხეთისა,

გვსურდა ერთობილ აღმოგვეთქვა პაე და პოე.

გარნა ზნე ჩვენი ერთად ყოფნას ვერ შეეთვისა

და ნეფარება მარტოულად თარგმანში ვპოეთ!



ქონსტანტინე გამსახურდია

## ესეც შენ!

მდივანი გვყავდა ნიკოლა,<sup>6</sup>  
ვაქებდით – არა იყო რა!

## წარწერა სურათზე

ადამია ალიო<sup>8</sup>  
არა სწევდა ყალიონს...  
მაშაშვილს<sup>171</sup> წაართვა სახელი,  
ბიჭია სასახელო.  
როცა სენაკში იყო,  
ეძახდნენ შალიკოს.  
ახლა კი – ალიოშას,  
პოეტად არა უშავს.

## საამდროვო აფო(ე)რისტული

ათასად კაცი დაფასდა,  
ასიათასად რომანი,  
იმის ნახევრად გიორგის<sup>156</sup> (ლევანიძე – „ლეონიძის“)  
გაძრომა-გამოძრომანი.

## მინიატურები

გოგი მწერალი ბურთაობს,

გოგი ოთახებს იძენს.

„მნათობში“<sup>181</sup> სულთამხუთაობს  
ირინე აბაშიძე.<sup>3</sup>

გოგს ურჩევნია ოქროს კალამზე

დაბერებამდე ხელი აიღოს.

ბოლოს დროს სუსტობს კარლო კალამე,<sup>131</sup> –  
ადამიასი<sup>8</sup> არ იყოს...

\* \* \*

ვანიას<sup>288</sup> ვუძღვნათ მაჯამა,

მძღნერი ჭამა თუ რა ჭამა?

რომ ის დაბადა რაჭამა.

ბევრი დანოსი დასწერა

მისმა მურცალმა მაჯამა.


\* \* \*

მან იურისტმან კიჭამან<sup>116</sup> (თარხნიშვილი)

ფანჩარი შეიკრიჭამან.

\* \* \*

ძმად ეფიცა გოგლა<sup>156</sup> სიკოს,<sup>238</sup>  
რა გაუძლებს ორ კლასიკოსს?



სიკო ფაშალიშვილი

## შავთელური

ამბობს კლავდია:<sup>87</sup>

„მოვიკლავდია

თავს მწერლობისთვის მადააშლილი“.

ყვირის: „არიქა!“

ორი მარიკა,

მიქელაძე<sup>179</sup> და ბარათაშვილი.<sup>30</sup>

## თარგმანის გამართლება პერევოლჩიკის მიერ

ჩემთვის ლექსის თარგმანები  
ისე არის მკრთალი,  
როგორც ორჯერ ნაქმარები  
ქალი.

მე ქალწულის შერთვის ფიქრი  
არ მაქვს – ახალს არ ვქმნი.  
მე ქვრივს ვეძებ – ესე იგი  
ვთარგმნი.

(მირზა გელოვანი)<sup>57</sup>

## ს. თავაძეს<sup>114</sup>

გაცხოვნოს, ძმაო სოლომან,  
ხმისა შენისა სოლომან!

ისმინეთ სოლო მონისა,  
სიმღერა სოლომონისა.

## ფუნაგორისგების წერილი II კოლაუ ნადირაძეს,<sup>187</sup> პოეტს და მაესტროს

ფუნაგორია იწყება:  
ხემ გამოისახა კვირგები,  
რითმები ისე მოდიან,  
როგორც შავი ბლვის ბვირთები.  
შე კაი კაცო, ამდენ ხანს,  
მოვალო, ამას გვპირდები.  
თუ მოხვალ, მოდი, თორემა  
მალე შენც აგიხირდებით;  
ხომ იცი, რა ბიჭები ვართ,  
რა ანგლები და „ხიფრები“,  
დაგათროთ, გაგიმასპინძლდეთ,  
მოგართვათ შეშა კიფრები.



კოლაუ ნადირაძე

მოგვისმინევი, კოლაუ,  
საქმე გვაქვს შენთან პაწია.  
შემთხვევით თუ წაგიკითხავს  
ალკა სულავას<sup>228</sup> „სტაწია“,  
როგორა ფიქრობ: სულავა  
პატიოსანი კაცია?  
იცოდეს, რომ არ შევარჩენთ,  
რაც უგნურობა გასწია,  
„კრეწინ“ – მისებურ კილობე  
ვეზყვით რუსულად სულავას,  
გავთელავთ, დავაუძლურებთ,  
შევყრით სუსუნატ-სურავანდს.  
ისე ქე არის ნელ-თბილად,  
თუ მოიკითხავ კალაძეს,<sup>131</sup>  
დღეს, როგორც ფუნაგორიებს,  
ისე ლექსებსაც არა სწერს.  
„მნათობში“<sup>181</sup> ბის და ასრულებს  
რიჟა პოეტის<sup>171</sup> განაწესს.  
გუშინ სასახლე აანთო  
ქართული ლექსის პოვარმა,  
შრომით და ჯაფით გაზრდილმა  
სიმონმა<sup>273</sup> ნამოსკოვარმა.  
მას მუსაიფი გაუბა  
მარიჯან<sup>169</sup> მადამ ბოვარმა,<sup>164</sup>

ჩვენმა თამარა ფოფხაძე<sup>241</sup> –  
 ადამქმის გასათხოვარმა,  
 ერთ-ერთმა ქოსა პოეტმა  
 და ბევრმა მავან-მოვანმა.  
 გუშინ სასახლე აანთო  
 ერთმა რუსულმა იამა, –  
 გოლცევმა,<sup>25</sup> მისი ჩამოსვლა  
 ირაკლის<sup>3</sup> ძალზე იამა,  
 ორივე ხელი ჩასჭიდა,  
 საყელო გადუწია მან,  
 მერე ერთ-ერთი ჩაიკრა  
 ორმა ბინძურმა ყიამა.  
 ეს „ვსტრეჩა“ შენთვის ჩასწერა  
 პატარა ჟაკუნიამა.<sup>27</sup>  
 გვგონია, არის „საჭირო“,  
 რაც გააკეთა ირამა,  
 რომ მოიმატოს რუსეთში  
 მისი ლექსების ქირამა.  
 ვიცი, სასახლის ამბები  
 შენ ძალზე გაგეხარება,  
 დღე ტკბილად დაგიღამდება,  
 გაგითენდება „ხარება“.  
 თავდაცვის განმტკიცებისთვის  
 გადავიქეცით ხმალებად.



თამარ ფოფხაძე

ჩაჩავა<sup>266</sup> ქალებს ასწავლის  
აირწინადის ხმარებას.  
ჩვენი ხმა უწინდელივით  
აღარ გაისმის, აღარა,  
შ. აფხაძის<sup>20</sup> ლექსებმა  
ჩვენი ყურები დაღალა,  
საჭირო არის, კოლაჟ,  
შენი ბუკი და ნაღარა,  
თორემ როდემდის ვიხადოთ  
გადასახადი და დალა.  
ბოგი ბრიყვულად ემმაკობს,  
ფართე შარაბეც ბილიკობს –  
ჭორაობს, ვისთან ვინ რა სთქვა,  
ან კიდევ, ვისთან ვინ იყო.  
ეს შეეხება ლისაშვილს<sup>157</sup>  
და ხომგარია ილიკოს.<sup>301</sup>  
შენს ნიშანს ველით, რომ ამათ  
გვერდებში წავუბინიკოთ.  
შ. დემეტრაძე!<sup>190</sup> არც ისე  
პატიოსანი კაცია,  
ქვეშ-ქვეშა რაჟდენ გვეტაძის<sup>59</sup>  
გამონაცვალი აცვია.  
ტყუილი? კარგი ტყუილი  
ხშირად მართალსაც სჯობია,

მაგრამ ტყუილის მჩმახავი,  
აბა, რა დასანდობია.  
აქ უნდა წარმოგიდგინოთ  
ჯენფლმენი სოკოს ოდენი,  
ალ. ადამია<sup>8</sup> პოეტი,  
პატარა ლაუ სორტელი.<sup>225</sup>  
აბა, ვინ სთქვა, რომ მოხუცდა  
და წელში გაიზნიქაო  
ოცდაათი წლის მდივანი  
აგიაშვილი ნიკაო,<sup>6</sup>  
ტყვილია, ისევ ბიჭივით  
დგას, სადაც ჩვენ ვართ, იქაო,  
თუმცა ამქვეყნად საკმაოდ  
იხტუნა, იჩინდრიკაო.  
გუშინ დრამატურგ ვიქტორთან<sup>48</sup>  
ვიკისრეთ ხელის გაშვერა,  
ჩვენ პაპიროსი მოვთხოვეთ,  
მან კი პასპორტი გვაჩვენა.  
და გვითხრა, ბიჭო, ხო, მართლა,  
ჩასაკრავი მაქვს სურათი,  
თანაც გამოცვლა სჭირდება,  
დღე დარჩენილა სულ ათი.  
ღმერთო, ნე შემშლი, ვთქვი ჩემთვის  
და გვერდით მივაყურადე:

ოხრავს დ. გაჩეჩილაძე,<sup>54</sup>  
ყვითელი როგორც აყალო,  
და შენგელია<sup>262</sup> ელსმენთან  
დგას და კრუხივით კაკანობს.  
ცოლით გვესტუმრე, კოლაუ,  
და გავაჩაღებთ სამოვარს,  
ვით პოლიხრონის<sup>280</sup> ჩიბუხში,  
იმხელა ბოლი ამოვა.

ღვინო გვექნება, დათვრები,  
ლექსებს შესძახებ ცას ქებით,  
ყანწები რომ დაგველევა,  
შევავსოთ ჟაკის<sup>27</sup> „ცარსკები“.  
კოლაუ, ერთი შეკითხვა  
შენც უნდა გკადროთ ბოლოსა,  
ისე, რომ არვინ შაიფყოს,  
არც არვინ გაიგონოსა.

ასე ტყვილად რომ დადიხარ  
და არ მუშაობ სრულებით,  
ერთი გვითხარი, სადა გაქვს,  
კაცო, ამდენი ფულები!  
რომ შენი ცოლიც არჩინო  
და იქეიფო ეგრეთი,  
თუ უფალი გწამს, გვასწავლე  
ჩვენც ფულის შოვნის სეკრეტი.

იხარე, ფუნაგორიავ,  
იბარდე ერთი ორასად,  
ეს გაუმარჯოს კოლას ცოლს –  
ფუნაგორინას კოხტასა.  
ეს გაუმარჯოს კოლას ცოლს  
და ფუნაგორისტ კოლასა,  
ჩქარა ვუსურვებთ პატარა  
ფუნაგორისტის ყოლასა.  
მტრებს მწარე ფუნაგორიის  
ისრებით გავუსწორდებით,  
ხელებ გაშლილი მოვდივართ  
ისე, ვით ლაუ სორტელი.  
ასლი დედანთან სწორია,  
პლატონის<sup>143</sup> სულის ცხონებამ,  
გადაათეთრა ჟაკუნაზ<sup>27</sup>  
მესხის ქუჩაზე მცხოვრებმა.  
ავტორები კი, ვინცა ვართ,  
შენც კარგად გემახსოვრება.

\* \* \*

ბიჭი ვიყავი მარტივით, მოტივი მქონდა მარტივი.  
პროსპექტზე ვქუხ და გავკივი ბალახაშვილი  
ეაკივით.<sup>27</sup>

გამზირზე დაფორიაქობს  
ბალახაშვილი იაკობ.

\* \* \*

გერმანია წამოვიდა, ვერაგულად თავს  
დაგვესხა...  
როგორც იქნა, გავაჩერეთ „მოსკვა რეკას“  
სათავესთან.  
ეს კაცი კი ისე მოდის, ისე თარგმნის, ისე სცელავს  
რუსთაველს<sup>210</sup> და ჩახრუხაძეს,<sup>268</sup> ჩიქოვანს<sup>273</sup> და  
ასფურცელას,<sup>2</sup>  
დროზე თუ არ გააჩერეთ, არ ეყოფა ჰონორარი,  
ადგილზევე შეისწავლეთ, მოგბავნილი ხომ  
არ არი,  
ჩიქორთული თარგმანებით პირდაპირ რომ  
გულს უმიზნებს,  
კაცი არ ხართ, ქრისტიანი, გააჩერეთ ნუცუბიძე.<sup>195</sup>

\* \* \*

ყველა პოეტი ღექსის ქურდია,  
ფილოსოფოსი ხომ კიდევ მეტი,  
მაგრამ კოწია გამსახურდია<sup>49</sup>  
სასაცილოა, როგორც პოეტი!



გთნეტანტინე  
გამსახურდია

\* \* \*

ბესო<sup>204</sup> მიუშვი ნებასა,  
დაიწყებს მოხსენებასა.  
თუმც ახალგაზრდებს აგინებს,  
თვით შეეყრება სნებასა.

\* \* \*

სოფელ სორმონიდან ჩამოსული სვანი მგოსანი სუ-  
ვერიან ისიანი<sup>125</sup> ამოსთქვამს საკუთარ ღექსს,  
სვანურ სიმღერას, არასასიამოვნო ასულ ბაისო  
სისორდიაზე.

(ბონდო კეშელავას<sup>142</sup> ნათქვამი)

\* \* \*

ეს კრიტიკის ლიმიტი,  
ბენაშვილი დიმიტრი,<sup>36</sup>  
ამდენ წერილს რომ აცხობს,  
რა სურს, რო სთქვას იმითინ?

\* \* \*

გაივლის ეს დრო და მოვლენ სხვა დროები,  
გაჰქრებიან ანდროები<sup>119</sup> და სანდროები,<sup>102</sup>  
დარჩებიან ლადოები<sup>16</sup> და სანდოები.

## ენის გასატეხი

აგიდგა ამ დროს, ანდრო ლომიძევ?<sup>160</sup>  
რად გინდა, ამდონ განდონს რომ იძენ!


(გარის ხმა).

\* \* \*

ახლა იქ ყოფნა, სადაც იღობა,<sup>183</sup>  
სასაცილობე სასაცილოა!  
მისი პარნასი სასადილოა.

\* \* \*

სანდრო ეულს<sup>102</sup> ავშარაბე  
გამოება ქავეარაძე<sup>243</sup>  
და მიჰყავდა ავ შარაბე.



სანდრო ეული

\* \* \*

მიდის-მოდის გაჩეჩილი დავითი,<sup>89</sup>  
მაგრამ, ნეტა, რა კეთდება ამითინ?  
(იმდერება „პარახოდის“ ხმაზე).

\* \* \*

იმდერება პარახოდის ხმაზე –  
სიმდერა დ. გაჩეჩილაძეზე.<sup>54</sup>  
ეს ფუნაგორია ეხება დ. დემეტრაძეს.<sup>99</sup>

მიდის-მოდის... მიდის-მოდის დავითი... (დემეტრაძე)  
რა კეთდება... რა კეთდება ამითი...  
ტაში, ბესო,<sup>204</sup> ტაშია...  
ვალერიან<sup>51</sup> გენაცვალე სამდივნოს კრებაშია.

\* \* \*

კლუბში ისმის ძახილი:  
„ტაში, ბესო,<sup>204</sup> ტაშია“...  
„ვალერიან,<sup>51</sup> გენაცვალე  
სამდივნოს კრებაშია!“

\* \* \*

ამდენი ლექსი რად დაგვაყარე?  
ძველი ნაგავი რად არ გვაკმარე?  
რად აგვაქოთე, რად აგვამყრალე,  
რა დაგიშავეთ, ძვირფასო კალე?!<sup>44</sup>



\* \* \*

ქალები ბობოხიძე

ჭაობები ამოაშრეს,  
[შეუერთეს] მოაშორეს ფოთს რიონი,  
მაგრამ დარჩა ორი კოლო:  
პოლიო<sup>4</sup> და როდიონი.<sup>249</sup>

\* \* \*

### პატიკომზ” თქვა:

ჩემი საქმე მუდამ არის  
აჩეჩილი, დაჩეჩილი.  
მე ჰაინეს<sup>313</sup> მირჩევნია  
ჩემი დავით გაჩეჩილი.<sup>54</sup>

\* \* \*

მუდამ ვიყავ ბიჭი ნიკა,<sup>6</sup>  
ცინიკა და მდივანიკა...

\*

ნიკა, ნიკა, მდივანიკა!  
სეკრეტარო მესიაჩნიკა.  
იქრონიკა, იპანიკა,  
[და პატარა] შე საბრალო  
ციგანიკა!

\*

პერევოჩიკ პოდლი ნიკა  
პერევოდიგ სპოდლინიკა.



ნიკა აგიაშვილი

## იღო მოსაშვილზე<sup>183</sup>

გორგაძეს<sup>72</sup> ცეცხლი მოვსეტაცე,  
ჩიქოვანს<sup>273</sup> ბამბის ჩხრიალი  
და კაჭახიძეს გიორგის<sup>138</sup>  
ევკალიპტების შრიალი.  
გომიაშვილის<sup>71</sup> სხაიპერს  
მიჯნურისადმი ალერსი,

ქურულიც<sup>205</sup> დავაზიარალე,  
მაგრამ უფრო კი ალექსი.<sup>71</sup>  
ვანიჩკას<sup>288</sup> – ბასრი კალამი,  
შალიკოსგან<sup>206</sup> რომ დარჩა მას,  
მისხალი რამე არ ჰქონდა,  
რას წავართმევდი ჩაჩავას?<sup>266</sup>  
პოეტ-დრამატურგ კალაძეს<sup>131</sup>  
ლექსები სიმონოვანი,<sup>222</sup>  
ლეონიძეს<sup>156</sup> და მაშაშვილს<sup>171</sup>  
შაირი ჰაეროვანი.  
ალ. ადამიას<sup>8</sup> ტყვილები  
და ყრუ რითმების წყებანი,  
მარტო სოლიკო თავაძეს<sup>114</sup>  
ვერ გამოვტაცე ებანი.  
თითო ხმა ყველას წავართვი,  
სიქა გავართვი ყანწელებს,<sup>282</sup>  
ბალახაშვილის<sup>27</sup> არ იყოს –  
გენიალურად დავწერე.  
ავდექი, ერთად შევკრიბე,  
ხმა-ხმას შეება, ილომა.  
წიგნი გამოვეც ქებული  
მოსიაშვილმა ილომა.

## ერთი საბრალო ვინმეს ეპიფაფია

აქ განისვენებს ავთანდილ,  
სიკვდილმა არ შეიცოდა.  
თვლა არ იცოდა ათამდი,  
არც წერა-კითხვა იცოდა.

დიდხანს აწვალეს სენებმა,  
მუზამაც დიდხანს აწვალა  
და გაჰქრა მისი ხსენება,  
როგორც კი გარდაიცვალა.

## ილხოშის<sup>301</sup> ა-„ბ“-სარება

ვიყავ პოეტი!.. მძულდა სამყარო...  
ბოლოს ვიფიქრე, თუ გავეტარო:  
წაველ ახკომის<sup>22</sup> რედაქციაში,  
და რაც მომადგა ლექსი ყიაში,  
ჩამოვაკვესე უცბად რკინაზე.  
და თუმც იმ სიტყვებს აკლდათ სინაზე,  
მაგრამ ბიჭებმა ასწონ-დასწონეს და მოიწონეს.  
ლენრაიონის მუშებს მივმართე  
ღმერთივით ლექსი, გაგრძელებული.

მაგრამ მიმტრეს და დაამახინჯეს,  
ამიტომ დავალ აღელვებული.  
მე განგი ბენი<sup>45</sup> მყავს დდეს მეგობრად,  
კალე<sup>44</sup> და ფრიდონ<sup>188</sup> ჩემთან არიან...  
გოგის<sup>310</sup> მოპარეს გუშინ შარვალი,  
ამიტომაც ის გადაირია.

რას ჩამაცივდა შობელძალლ ვარლამ,<sup>205</sup>  
რა უნდა ჩემგან, რას მემართლება?  
დავსწერე ლექსი, ამას არ ვმალავ:  
„მოჯამაგირის გასამართლება“.  
ვედარ დავდგები აწი თბილისში,  
რა გამაჩერებს ამდენ ვირებთან?  
უნდა წავიდე სადმე ციმბირში  
„ჩემი ძმა“ ტომსკელ კომკავშირელთან!

1930 წ.

ილია ჭოშტარია



\* \* \*

არ გემინება, აგიაშვილო? <sup>6</sup>  
დაწექ, ლოგინი აგია, შვილო!

## წარწერა პლაკატზე

კოწო<sup>162</sup> გახდა ღვინის ტიკად,  
ნადირაძეს<sup>186</sup> თავი სტკივა.  
ასაღებენ მძღნერს ბუბლიკად, –  
„ძირს სიმინდის რესპუბლიკა!“



## მუნასიბი გრიშასი<sup>2</sup>

ამ ბოლო დროს ლექსი გოგლამ<sup>156</sup>  
ძალზე გაგვიგოგლიმოგლა.

## ჭიაკოკონა

სჩანს, ჩვენ ჩამოვრჩით ჩინმაჩინეთში უჩინმაჩინურად ჩანჩალს და ჩოჩორი ჩანგის ჩონჩხივით ჩაიქცა ჩარექჩარექად. ჩვენთვის ჩეროშიც ჩამოცხა. ჩიტები ჩონჩორიკს ჩხრეკენ. ჩხირებით ჩხირკედლაობა ჩანასახთა საჩეჩად ჩაითვლება საჩეჩლის ჩხეტებე. ჩემი ჩეჩმა ჩუმია.

რედაქცია გადაიქცა აქციების მისაქციელად, რამაც უცბად საცოდავად შეაცდინა ცოდვილის ცოლი. ცბიერმა ვიღაცამ სადღაც რაღაცა გააცურა. ცის ცვარი ციმციმით ცდილობდა ციაგურ ციმციმს. ცალი ციცინათელა ცანცალით ცვივა ცივცივ ცხავში ცოცხლად. ცირა ცოქალი ცურივით ცრემლს ცრის.

გაბაფხულზე მზე ემზადება მოგვერის მოსაზვავებლად. ბრაზილიაში გაბრაზებული ბუზები ბაზარში ბობობენ ბბულით. ბარბაბანი ბარივით ბრიალებს და ბელზებელი ბეგ მიემგზავრება ბემოზედაზენის ბეგანზე.

უხვმა ხელმწიფებ იხილა ახალი ახალუხი და ხელი შეახო უხილავს. გახარებული მახარე ხარხარებს ხახით, ხის ხოში უხურს ხრინწიანს.

ფრიდონ აფრინდა და ფრთამოტეხილი ფრთაფარ-  
ფატით ფართო აფრასავით მოფრინავს ფერად ფა-  
რადეისავით.

წლიდან წლამდე ვწანწალობდი წაწალთან წელ-  
მოწყვეტით წალამწახურულ წალოში წაწოლილი  
გადამწყვეტ წლამდე.

დარუბანდი დურბინდით დავთირე. დავითს დავთა-  
რი დაებნა და დავლური დაუარა დაირის დალაბან-  
დტე – დაფდაფით.

ჯორჯიაშვილს უჯიჯგვა და ჯოჯო მორეჯგვა გა-  
რეჯაში ჯმით.

## ერთი უცნაური პოეტის შესახებ

მე ბაირონის<sup>25</sup> თმა მაქვს თუ ცხვირი,

ეგ სულ ერთია, ნიჭი ვარ მაინც,

ცოტა პოეტი და დიდი ვირი.

ჩემი რითმაა: „მაინც“ და „რაიც“.

ნუ გეშინიათ, ჩემო ბიჭებო,

ბელეტრისტობის დიდი მაქვს რიდი.

ყველაზე მეტად მიყვარს ვირები,

მე მათს ჩოჩორიქს რითმებად ვთვლიდი.

დღეს თუ გამწირა შემოქმედებამ  
და დაივიწყა ჩემში პოეტი,  
ბაირონისტულ სულისკვეთებით  
ფეხსალაგების გზებით მოვედი.

\*

ბლაჭიაშვილი<sup>47</sup> არვის ვეგონო,  
გოგი ვარ, გოგი, ჯიბლაძე<sup>310</sup> გვარად.  
პურის წიგნაკმა წამართვა გონი,  
უკაპეიკოდ დავდივარ მარად.  
მე უფულობამ ცრემლად მაქცია, —  
გამომიცვალეთ ობლიგაცია.  
„უჩარდიონმა“<sup>131</sup> გამაბითურა,  
დიალექტიკა არ ვიცი — თუ რა?..  
აქამდე მშიერს ბედმა რა მიყო:  
დავრჩი მარტოკა საცხოვრებელში...  
ხუთმეტ გირვანქა პურსა ვჭამ დღეში...  
ვაი, თუ მაინც აღარა მეყოს!  
ნიკავ,<sup>6</sup> გამიშვი, ტფილისში წავალ,  
წამალს ვიყიდი, თავს მოვიწამლავ!

1932 წ. დეკემბერი

გიორგი ჯიბლაძე



## ეპიფანიის ნაცვლად

კარლო კალაძე<sup>131</sup> – პოეტი ცოტა,  
დაბადებული ჩ.მ.ძ.ღ.ნ.რ. წელსა.

## აკაკი გაწერელიაზე<sup>55</sup>

შამილბე<sup>255</sup> თუ ვერ სწერს რომანს,  
სწერს ქრონიკებს გაჭიმულად.  
ხან ცოლსცოის<sup>235</sup> შეაცუებს,  
ხან შეუყეფს ხაჯი მურაგს.<sup>314</sup>  
დოცენტობას ვერ ეღირსა,  
გერონტობას<sup>248</sup> ნატრობს მარად.  
დემეტრაძის<sup>89</sup> პარნასილან  
კომენტარით გადმომდგარა  
ჟაკუნიას<sup>27</sup> მიმდევარი,  
ბესო ჟღენტის<sup>204</sup> ნაბოლარა.

გრ. აბაშიძე<sup>2</sup>

აბაშიძე გაწერელიაზე



## К. Бобохидзе<sup>44</sup>

Бобохидзе – пиит Кале.  
Обосрался в Редут-калэ.  
С головы до ног он – в кале,  
Как Баранина в хинкале.

*K. H. (ქოლავი)*<sup>187</sup>

\* \* \*

იმერელი საჭურისი<sup>204</sup> –  
ღირსი ჩემი პანზურისი.

\* \* \*

ფანტე, ჰეი, ლიმონი ვერაბე,  
პანზელეიმონ ბერაძე!<sup>137</sup>  
  
მელიგონ ბალანჩივაძე,<sup>26</sup>  
მე ლითონს ბალანში ვაძლევ·  
  
ჩარლზ დიკენსის<sup>92</sup> ოლივერ ტვისტ,  
ჯვამს სიკეთეს ორივესთვის.

\* \* \*

„ვი ნე გნაიტე“, ბესოს<sup>204</sup> ენა  
„კაკ ასტალსია ბებ თრდენა“?

**ხორო:**

„ნიეტ ნე გნაემ“, ბესოს ენა  
„კაკ ასტალსია ბებ თრდენა“.

არ უშველა ბესოს ენამ,  
ისევ დარჩა ბებორდენად.

**ვარიანტი:**

**კითხვა:**

უდივლიაიუს, ბესოს ენა,  
ამსიგრძე და ამოდენა,  
კაკ ასტალსია ბებ თრდენა!

**პასუხი:**

ია ნე გნაიუ, ბესოს ენა,  
ამსიგრძე და ამოდენა,  
კაკ ასტალსია ბებ თრდენა.



ბესარიონ ულუნტი

## ბონდოსებურად<sup>142</sup>

იკითხე – სწერე, სწერე – იკითხე;  
რაც წაიკითხე – გადასწერე კვლავ!  
ბაღი, ქალგამი, ყვავილი და ხე  
აქე – ადიდე, ადიდე – აქე.  
აქლურტულებულ მერცხალს ნუ მოჰკლავ!  
წინ წყალი იყოს, უკან – მეწყერი,  
და იმის თავიც მოექცეს შუაში,  
ვისაც არ უყვარს ბულბული, მწყერი,  
ჭიაღუების სასტიკი მტერი –  
ნისკარტყვითელა მამალი შაშვი.  
როგორც ციცარი, მარტო იარე,  
იარე მარტო, როგორც ციცარი!  
რა არი შენთვის ქათქათა მთვარე,  
მიწა რა არი, ზეცა რა არი,  
თუ ლამაზები არ გაიცანი?  
საამურია ცხოვრება ჩვენი,  
ჩემი ცხოვრებაც საამურია...  
კახური ღვინის აქე გამჩენი.  
გიშრისნაირი ულვაში მშვენის,  
ლექსის წერის დროს სალამური ვარ!  
თუმც გამერია ჭალარა თმაში,

მაგრამ, ძვირფასო, თუ დამიჯერებ:  
როს მოგენაგროს კალმის თამაში,  
ამიქლერტულდი, გენაცვა, მაშინ:  
სწერე – იკითხე, იკითხე – სწერე.

36 წ., I/II

## ცურცლა<sup>2</sup> (ლექსი-გამოცანა)

ის ქოჩორა ბიჭი იყო.  
თმა შვენოდა ბნელბე-ბნელი,  
მაგრამ შემდეგ გაიპუტა,  
შემდეგ გახდა ბელბებელი –  
მაშაშვილის<sup>171</sup> გვამში ძრომით  
აღარ შერჩა დერბე-დერი.  
ერთი წიგნი დაგვიწერა  
ცურცლამა და დამცურცვლელმა –  
ნაკვესების კრებულია –  
ეწოდება „ასფურცლა“.



გრიგორ აბაშიძე

თავის თავი ამოსწურა,  
ვერ გაექცა იაფ ფასონს,  
ვერ იქნა და ვერ გასცილდა  
ადამიას<sup>8</sup> დიაპაზონს.  
შერჩა ქისა ისევ ისა  
და სახელი პამპულისა,  
ადამიას რაზმერისას,  
კალანდაძის<sup>129</sup> ამპლუისას.  
ბრუციანი ის არ იყო,  
მაგრამ იცით, რა მომხდარა –  
„ლეონიძის“<sup>156</sup> მამულებში  
საქურდავად ჩამომხტარა...  
„ლეონიძის“ გვამში ძრომამ  
ცალი თვალი წამოთხარა.  
ფრთხილად იყოს მაგ ჩუჩელა,  
კიდევ არსად შეიპაროს,  
თორემ ფეხში მოვაყოლებთ  
უშველებელ რკინის პალოს.  
ფეხსაც მოვტეხთ, თუ ამგვარად  
სხვის მამულში იმორიგა  
და იმგვარად იჩახუნებს,  
ვით სხირტლაძე სიმონიკა.<sup>230</sup>

მოკლე კუტუ მას არ ჰქონდა,  
კუტუ ჰქონდა გრძელბე-გრძელი,  
მაგრამ შემდეგ დაუმოკლდა,  
როცა გახდა ბელბებელი.  
ირაკლის<sup>3</sup> რომ პირი მისცა,  
მინეტისტი როცა გახდა,  
ირამ უთხრა: შენი ასო  
უმოქმედოდ ხომ თლად წახდა,  
უმოძრაოდ გიკიდია  
და მაგივრად აძლევ პირსა,  
ეხლავ ძირში უნდა მოგჭრა,  
ღირსი არ ხარ ტარებისა.  
და ამგვარად მოსჭრა ირამ  
ცურცლას ასო თავის ხელით,  
გაებარდა შემდეგ, მაგრამ  
დარჩა, როგორც სპიჩკის ღერი.  
არ იქნება ეს ლაქია,  
რომ ოდესმე გამოსწორდეს,—  
კუზიანის გასწორება  
არ მოხდება არასოდეს.  
მუცელბე რომ გაიჭაჭოს,  
ვერ მიიღებს მაინც ორდენს,  
— მშობელსაც რომ გაჰყიდიდეს,  
— ტანზედაც რომ გაიძრობდეს.

გავათავოთ გამოცანა,  
ნამეტანი გაიწელა,  
ჩვენ გვგონია, უკვე იცნეთ  
ცვედანი და გაიძვერა.  
ჩიქოვანი<sup>273</sup> ასე ამბობს:  
— ფრანციცელად უყვარს წერა!  
ჩვენ გვგონია, გამოიცნობთ  
და შეგიყვანთ ეს ექსტაზი,  
ვინც ამას ვერ გამოიცნობს,  
დემეტრაძემ<sup>274</sup> შესცეს ტრაკში.

## ანდაბა

მდივნები წავლენ-წამოვლენ,  
მწერლები დარჩებიანო...

\* \* \*

სჯობს, რომ იყო სულ ავად,  
ვინემ საშა სულავად.<sup>228</sup>  
თუ გსურს გახდე სულ ავად,  
თუქსუს, ნახე სულავა.

\* \* \*

გუია,<sup>38</sup> ტამარა,<sup>241</sup> კლავდია<sup>87</sup>  
ყლისთვის თავს იკლავდიან  
Но... ни Тамара, ни Гуя  
Не получат ни хуя.

## კარლო კალაძეზე<sup>131</sup> და თამარ აბაკელიაზე<sup>1</sup>

თუმცა ბევრჯერ აშეხურდნენ –  
მაინც კრავენ ბავს,  
ცოლი დადის, აჩუქურთმებს,  
ქმარი ლექსებს თხბავს.  
მას ერთგული ჰგონია და...  
თურმე სხვა კი ტყნავს.



დარღვეული გალაძე

\* \* \*

მომწყინდა ჯამბული<sup>305</sup> –  
ბობოხიანი.

აშ უნდა ვთარგმნო<sup>54</sup>  
დოდოხიანი!<sup>95</sup>

\* \* \*

### ირაკლიმ<sup>3</sup> თქვა:

ეს ახალგაბრდობა ბდვა თემებს შეება,  
ბოგი არ იბეჭდება და ბუოგიც მწყრალია.  
დავუბეშტე ლომიძეს<sup>161</sup> პოემა ვუეება,  
რა ვუყოთ, რვო არ ვარგა, რვო მხვოლოდ წყალია!

\* \* \*

უორდენოთა რიგებს აკლდება,  
მაგრამ რამდენი დარჩება მწყრალი...  
კარლო კალაძე<sup>131</sup> გაირაკლდება<sup>3</sup>  
და მის ლექსებშიც ჩადგება წყალი!..

## კაჭოს<sup>138</sup> სონეტი

გადმოეყუდა საწოლიდან, ვით მაჭახელა,  
როგორც თონიდან ატკვლეცილი პური რაჭული.  
თმაშეფერქილი, გაკრეჭილი და გაქნაჭული –  
კაჭახიძეთა მთელი გვარი რო ასახელა.

წიგნის ფურცელაში ჩაეყვინთა, თვალის გახელა  
ვერ შეძლო მერე და შეწყვიგა კბილმა კრაჭუნი...  
მხოლოდ თაგვები წრუწუნებდნენ: კაჭა... კაჭუნი...  
ხმა კი არ ისმის, ქანდაკივით სდუმს კაჭახელა.

ხმები გავარდა: გარდიცვალა, კაჭა მკვდარია...  
აქ საჯაიას,<sup>218</sup> იქ მარგიანს<sup>168</sup> გაუხარიათ.  
გავუბომოთო, ჩავჩაროთო ცხვირში არშინი!..

...ასწიეს კუბო... წითლად ღუის ცხვირი-ბოლოკი  
და ცხვირის გასწვრივ სევდიანი, ვით ნეკროლოგი,  
ძლივს მიჰცუნცულებს ტრაკმიმხმარი

ხიმშიაშვილი.<sup>299</sup>

\* \* \*

კოწოს<sup>49</sup> შემოქმედება  
ღობე-ყორეს ედება...

## სტატიის ჩივილი

შალვა<sup>206</sup> მკრეჭს, ვანო<sup>288</sup> ბუტბუტებს,  
კოლია<sup>266</sup> ყელში ხითხითებს.

გაოცებული ილია<sup>7</sup>

შეცდომებს დინჯად მითითებს.  
უფერულსა და გაკრეჭილს

შემდეგ გიორგი<sup>190</sup> მკალავს.

და უწყინარი თვალებით

მე ვემსგავსები შალვას.

\* \* \*

ნუ აყვები გურულებს,  
თორემ გაგაურულებს!<sup>205</sup>

\* \* \*

არ გავს იმ დიდ მამიას,<sup>80</sup>

ყვავი ჩხიკვის ძამია...

ფორმალისტობს ძალიანს

დუდუჩაძე მამია...<sup>98</sup>

აბდალედა გურული,

თავზე გადაფუნებული!

\* \* \*

წელუკიძე ვანიაი,<sup>288</sup>  
კრიტიკაში ვანიაეტ!

\* \* \*

პოეზიას ობლად უცქერს,  
არვინა ჰყავს ნათესავი,  
ყრუ რითმების არს მთესავი:  
ზოგან – წითელ, ზოგან – ყვითელ,  
ზოგან – თეთრი, ზოგან – შავი,  
შენგელია ალექსავით<sup>262</sup>  
ხელმეორედ სალექსავი!

\* \* \*

ლექსს მოაშორეს რითმის ჯავარი,  
დარჩა სტრიქონი, მაგრამ რავარი?  
ნარაღიანალ<sup>206</sup>-ნაჩაჩავარი.<sup>266</sup>

(ავტორი, მგონი, მირზა გელოვანია)<sup>57</sup>

ეს არის სწორი. დ. გ.<sup>54</sup>

\* \* \*

ლექსს მოაშორეს სილამაზე, ლექსის ჯავარი,  
დარჩა სტრიქონი, ნარადიან<sup>206</sup>-ნაჩაჩავარი.<sup>266</sup>

ეს დამახინჯებულად არის ჩაწერილი.


\* \* \*

რადიანმა<sup>206</sup> თუ ჩაგიგდო,  
ამოგაგდებს, მოგსპობს,  
კალმის წვერით შენს ნაწერბე  
ითამაშებს ფოქსტროტს.



## ჩივილი

როს ავიღებ სტიპენდიას,  
გადვეყრები სადმე გივის,<sup>53</sup>  
დაგინახავს ფულიან კაცს,  
შეანელებს ჩემბე კივილს.  
ვერ მიშველა ვერაფერმა:  
ხან გავექეც, ხან ვთესავდი,  
სადაც შეველ რესტორანში,  
თავს დამადგა მნათესავით.



შალვა რადიანი

## გიასელბე<sup>61</sup>

მას ტანსა პალტო აცვია,  
სახე აქვს მყეფარ ძაღლისა,  
ძაღლის ტყავისა ქუდივე  
აძევს სარქმელად თავისა.  
პოეტი არი, მწერალი  
ლექსისა მეტად ავისა.  
პეტრემ თქვა – ბახტურიძემან:<sup>33</sup>  
ვაი, რა უშნოდ ბლავისა!



## საჩივარი

პირველ კოლიას<sup>6</sup> მემახდნენ,  
მეც მიხაროდა ძალიან,  
შემდეგ შესცვალეს პირი და  
მიწოდეს ნიკა-ძამია.  
არ მოერიდნენ ამასაც,  
მიძახდნენ: „ბიჭო ნიკოლოზ!“  
სახელის დამკვიდრებისთვის  
რამდენი უნდა ვიძროლო?



ნიკა აგიაშვილი

## საყვარელ ალექოს<sup>262</sup>

ძმაო, სინანულის ცრემლებმა წალეკოს  
ეს ჩვენი სხეული.  
წალეკოს, ათრიოს ქისტეთს და სალეკოს  
და ესეც არ ეყოს:  
ზღვაშიგან ჩასძიროს წყეული,—  
თუ შენთვის ეგ საქმე გვდომოდეს...  
იგი რა კაცია, შენთან რომ ომობდეს?  
აქ მთები შეითქვნენ კლდოვანნი,  
კოშკები სვანური  
და თერგის ხმაური.

მირბა გელოვანი<sup>57</sup>

გ. ჯაბუშანური<sup>303</sup>

ლ. ბალიაური<sup>29</sup>

(ახ, სად არიან ახლა ესენი? ნ. აგიაშვილი).<sup>6</sup>

\* \* \*

ჟაკი<sup>27</sup> არა ჩანს, ჟაკი არა ჩანს,  
მაგრამ პროსპექტზე ბოგინობს ჟაკი...

სხედან:  
მიხეილ ჯავახიშვილი,  
ილო მოსაშვილი,  
დავით სულიაშვილი,  
სანდრო შანშიაშვილი

დგანან:  
ლეო ქაჩელი,  
გერონტი ქიქოძე,  
შალვა დადანიანი,  
გახილ გორგაძე,  
გალაკტიათნ ტაბაძე



## „არიფიონის“<sup>14</sup> გამოვლინება

სულები ცაში გაბანეს,  
და მისცეს სუფთა ფერი.  
შემდეგ დაპხედეს კაპანელს<sup>15</sup>  
და ის აღმოჩნდა... მძღნერი!




ღეგან შეტრეველი  
და კონსტანტინე  
ქაბანელი

უყვართ ლექსები წრფელი, —  
არ აკარებენ ფიორს.  
თურმე ეს მეტრეველიც<sup>175</sup>  
აფსამდა „არიფიონს“!!  
  
ახ, არიფებო, ახია  
თქვენზე ასეთი დამბლა!  
მიართვით ახლა კახიანს<sup>139</sup>  
ეს ნეხვით სავსე ტაბლა!

## კამათში

ბესო<sup>204</sup> სოლომონს<sup>114</sup> შეება,  
დარბაზს გაჰქონდა გრიალი.  
დასცა და ტიპი მოსცეხა,  
მზია ლაური მზიანი.

წამოდგა ვაჟი სოლომან,  
ბესოს ეტაკა ფხიანი.  
— ან მე მოვკვდები, ან ბესოს  
ენას მოუვა ბიანი...



ნიკოლოზ ჩაჩაგა

## საბაიათოდ

ფუტურისტი<sup>242</sup> კოლია,  
ჩაჩავა ნიოგოლი...<sup>266</sup>  
მას მეტრაკე ჰერნია  
ჰუმკინი<sup>203</sup> და გოგოლი.<sup>65</sup>  
თავზე აჯვამს „არიფებს“,<sup>14</sup>  
ფორმალიზმის მტერია.  
როს ავანსებს არიგებს,  
ქოთს, ვითარცა მძღნერია.

\* \* \*

წელუკიძე ვანია,<sup>288</sup>  
ვხედავ დიდი ხანია,  
მაგ უნიჭო კალმის წვერით  
ყვერი მოგიფხანია.  
ჩვენ გიმადლით, მაგრამ გზუქსავს  
შენი დიდი ხანია.\*

\* \* \*

ამ ბოლო დროს მეცნიერნი  
გაიგარდნენ პროცენტულად.  
ჟაკიმ<sup>27</sup> გახსნა რუსთაველზე  
ლიცეი და დოცენტურა.  
გივიც<sup>53</sup> დადის ლექციებზე,  
როგორც დიდი პროცედურა.  
— ჯინორია?<sup>312</sup> — პკითხეს ჟაკის.  
უპასუხა: — ოჩენ დურაკ!

---

\* რადიანი.<sup>206</sup>

## მწერალთა საქალაქო კრებაზე

### ადგილები მოხსენებიდან:

ი. აბაშიძე:<sup>3</sup> სანდრო [შანშიაშვილის<sup>256</sup>] ეულის<sup>102</sup> გოგიერთი ლექსი არ აკმაყოფილებს მკითხველის გაზრდილ მოთხოვნილებას, მაგალითად, რას ნიმნავს სფრიქონი:

ოცი წლის ილა  
ოქტომბრის კბილა?

**სანდრო ეული:** (წამოვარდება) რით არის ილა ირაზე ნაკლები? ილა და ირა მონათესავე სახელებია.

**პირველი ხმა ადგილიდან:** რა ამბავია, ნეტავ,  
რა მოხდა?

**მეორე ხმა:** უეჭველია, აქ რაღაც მოხდა.

**მესამე ხმა:** ამ ლაყბობაში სულიც ამომხდა.

\* \* \*

ბიჭი ვარ და... ნაძალადევისა,  
ხელში მაქეს დანა, ძალა დევისა!

\* \* \*

ვისაც სახელად ჰქვია ბორისა,<sup>274</sup>  
სახე და ფანიც უგავს ღორისას...

\* \* \*

მიდი კარლოსას,<sup>131</sup> ნახევი გრიშა,<sup>2</sup>  
ვიქტორთან<sup>48</sup> აწყობს კარტს ვიიგრიშად.  
უთხარ: „ლექსებს სწერთ, თა-ს... ვი ი გრიშა?“



გამოლით გალაძე და ვიქტორ გაბისკირია

## სიმღერა გოგიავაზე<sup>62</sup>


ფუნაგორია ბიზღს იწვევს მასში,  
თუმც თვით ფუნაა ნასათუთარი.  
ამაყობს იმით, რომ ფუნის ბლვაში  
ჰყავს ხომალდები მას საკუთარი.  
შეჰქმნის რაღაცას, ეს მტკიცედ სჯერა...  
სჯერა – წარმოშვას ფუნამ ყვავილი.  
იქცეს ცისფერი ვირის [ბლავილად] სიმღერად  
ხმაჩახლეჩილი კლიმის ბლავილი.  
ამის თავდები არის სულავა,<sup>228</sup>  
ფუნის მეხოტბე და მეგობარი.  
ნეტავ, ვიცოდე – საშა სულავამ  
რად ჩაიდინა საქმე ამგვარი?  
წვერავას<sup>285</sup> კლიმი ნიჭს ეხვეწება  
თან ვნებიანად ჰკოცნის გავაზე.  
რა ვქნათ, რომ ასე უცბად მთავრდება  
სიმღერა – თქმული გოგიავაზე!

\* \* \*

არც ბალბაკი<sup>28</sup> წამიკითხავს და დიდი ჰომერიც<sup>315</sup>  
კი...  
დატრაბახობს ვაჟკაცურად იაკინთე ჰომერიკი.<sup>157</sup>

## შალვა რადიანზე<sup>206</sup> და ქეთო ირემაძეზე<sup>124</sup>

ქმარი წერს სულ მკვდრებზე...  
ცოლი თარგმნის დიდროს.<sup>91</sup>  
ფეხბურთზე და ცირკზე  
აბანდებენ დიდ დროს.



შალვა რადიანი

\* \* \*

სხვისი დარდი რომ იმღერო, გაიბერო უნდა  
მიტომ?  
ბაირონის<sup>25</sup> სოლიტერო და პუშკინის<sup>203</sup> პარაბიტო.  
ჩემი ტოლი ვერ გახდები, რა გინდ ბალადები  
სწერო.  
ქაკის<sup>27</sup> ტრაკში გამოხმები, საცოდავი ძალლის  
მძღნერო!<sup>53</sup>

\* \* \*

რაჟდენმა<sup>59</sup> თქვა: გამვეობას მეცილები,  
დემეტრაძე?<sup>90</sup>  
გვიან მივხვდი, თორემ დღემდის ასჯერ უნდა  
დემეტრაწე!

\* \* \*

შეიყარნენ წიგნის წინ  
მკითხველი და ვაკელი.<sup>103</sup>  
მკითხველმა თქვა: თუმცა წიგნს  
კითხვა არ დავაკელი,  
მაინც უნდა გავუწყოთ  
ლექსების სიაუგე,  
ან შიგ არაფერია,  
ან მე ვერა გავუგე!



თონა გაბელი

## მონადირე

„სად არის იხვი?!“ – შესძახა სანდრომ,<sup>102</sup>  
ნადირობისას ლურჯ ტბის ნაპირას.  
იქვე ჩამოჯდა ის უსაბანდრო,  
ლექსის დაწერა მან დააპირა.  
იხვი და ჯიხვი აფრინდნენ ამ დროს  
(ალიო<sup>171</sup> არის მოწამე ამის).  
მაშინ თავგზარი დაეცა სანდროს  
და ჩაუვარდა ტბაში კალამი.

\* \* \*

### ლადო<sup>16</sup> ოტყვის:

ვის აამღერებს თქვენი ქურნალი, ეს „თაობაა“<sup>271</sup>  
თუ უთაობა?  
მაგას აკლია ფრიდონის ცეცხლი და ტარიელის  
გამბედაობა.  
ლექსებს არჩევს კაჭახიძე,<sup>138</sup> პრობას არჩევს  
სპორტსმენი.  
ნიკა,<sup>6</sup> ეთერ,<sup>297</sup> აბაშიძე<sup>3</sup> სხედან როგორც  
მოწმენი...  
და ალექო შენგელია<sup>262</sup> გვერდზე უმით მოწყენით.

### გრიშა<sup>2</sup> ამბობს:

ყველა ვთარგმნე, ვინც ქე ვიცი...  
ახლა დამრჩა – მიცევიჩი.<sup>177</sup>

\* \* \*

ჩემო მიქელ,<sup>202</sup> შენ რა გინდა ლიტერატურაშია?  
წადი, მიქელ, იმუშავე კომენდატურაშია.  
მიქელ მილიჩ, შტო ვამ ნადა ვლიტერატურე?  
პოჩემუ ნე რაბოტაეშ ვკომენდატურე?

## ლადო<sup>16</sup> – დიმიტრისადმი<sup>36</sup>

„თაობაში“<sup>271</sup> ლექსის გემო ერთხელაც არ  
გამასინჯეს...  
საქართველოს თუ ვუნდივარ, რაღა უნდა  
აბაშიძეს?<sup>3</sup>  
გამახელეს, ბენაშვილო,<sup>36</sup> გამაცოფეს, გამაგიქეს,  
რითმა ვეღარ მოვიგონე, ვხმარობ შალვა  
აფაქიძეს.<sup>19</sup>  
ეს წერილი, რუსთაველის პროსპექტიდან  
მონაბერი,  
მოვა შენთან თავდახრილი, ისე – როგორც მონა  
ბერი;  
იტყვის: თვალებს ბენაშვილის კიდევ უნდა  
დავენახო,  
პოეტებო, მომღერლებო, სახლო, ეზოვ და ვენახო!  
მერე წუთით გადირევა, ეგონება თავი  
სტამბოლს...  
შევიშლები და კაცს მოვკლავ, ახლა რომ არ  
დავისტამბო.

\* \* \*

სანდრო<sup>256</sup> გის,,კრწანისს“ ჰკითხულობს,  
არტისტობს, ისმის ბოდება.  
აღარ ათავებს... გაგიქდა, —  
დამსწრეთა გული ღონდება.  
დაამთავრა და... კრიტიკოსთ  
შექნეს მიღება-მოღება.  
გამოუცვალეს სახელი,  
დარჩა — „ირაკლის გოდება“.

1942 წ., ოებურგალი



სანდრო შანშიაშვილი

დიდო ლადო სირბილაძე,<sup>224</sup>  
ამ მწერალთა სახლის ხვითო.  
მე რომ მმართებს, იმ ფულიდან  
გთხოვ — დღეს არა დამიქვითო!

\* \* \*

ლიტონდი<sup>159</sup> მოწყენილია,  
ისმის ჩოთქების რაკრაკი.  
ვით აკაკი<sup>283</sup> და ილია,<sup>289</sup>  
გის ილია და აკაკი.\*

## ერთი ხევსურული

ლადოს,<sup>29</sup> მირგას,<sup>57</sup> გაბრიელს...<sup>303</sup>  
იდიდოს კავკასიონი, მწყალობენ მთიულ ვაჟები...  
თქვენი სიტყვები მივიღე, დათლილი, როგორც  
კაჟები,  
ისე მოვიდა იალტას, არ მოუთხოვავთ საშვები.  
(თუ სადღეგრძელოც შემისვათ, არ დაივიწყოთ  
ხაშები).  
თქვენ სამ მადლობა, ბიჭებო, მოგონებისთვის,  
თბილისთვის,  
ერთი წერილიც არვისგან ჯერ არ მომსვლია  
თბილისით.  
რის ეშინიათ, არ ვიცი, რატომა სდუმან, ვინ იცის?

---

\* ილო მოსაშვილი<sup>183</sup> და აკაკი სირაძე.<sup>223</sup>

არც ჭლექითა ვარ სნეული, არც მუნით, არც  
სიფილისით.

ცხრა თაბახ წერილს თუ წერენ, ჩემ საქმეს აგი  
არ შველის,  
ერთი პატარა წერილი სად არის აგიაშვილის?<sup>267</sup>  
მაგი რომ წერად დაჯდება, თითქოს კუჭი აქვს  
აშლილი...

(აქ დიდებული რითმაა – ჩაჩიბაია არჩილი<sup>267</sup>).  
ლადო, მივიღე წერილი რითმებში

გადახლართულად.  
მუდამ მიკვირდა, როგორ სწერ ასე „ლამაზად“  
თათრულად!

ასე როგორ სდგამ ასოებს უცხო რამ  
მრავალსართულად?  
ყოჩად, მე ვფიქრობ, არა ღირს ლექსების წერა  
ქართულად.

ნუ გეწყინება, გაგაო,<sup>29</sup> ჩემი ხუმრობა კაცური.  
ბევრ გავატანე ხუმრობას სიყორულ გულში  
ნაწური.

ბევრმა გამიგო კეთილად, ბევრმა მიწოდა  
მაცდური,  
ვერ მოვიშორე აქამდე ეს ჭირი ახალგაბრდული.

შოთამ<sup>210</sup> როგორ სთქვა? არ მახსოვს (ვიცი,  
იტყოდა ჯეროვანს):  
სჯობსო, მგონია, სიკვდილი სიცოცხლეს  
არსახელოვანს;  
მაგრამ შოთაის ნათქვამი ჯერ არ ეხება  
გელოვანს.<sup>57</sup>  
ჰო და ეძებდეს ბამთრისთვის ის პალტოს  
ორსახელოვანს.  
მე შენ გეტყვი და, პალტოსთვის ხუთასი მეტრი არ  
ეყოს...  
მეტრო-ნახევარს იშოვნის, უციდოს და უჩარექოს.  
მაგას რა უჭირს, აიღოს – ნარკომმესტპრომში<sup>189</sup>  
დარეკოს,  
შენ ის სთქვი, რა ეშველება გაგრილატებულ  
ალეკოს?<sup>262</sup>  
უნდა იბრძოლოს პალტოსთვის ფრანგულითა და  
ლეკურით.  
ნეტავ, მანახა პალტოში საჯაიასებრ<sup>218</sup> შეკრული,  
რედაქციაში გვიჩვენოს ძველი მიმოხვრა მეგრული,  
ბურგბე ეწეროს წარწერა: „ამხანაგებო,  
ნე კურიტ!“  
გაბრიელ,<sup>303</sup> ისევ ხომა გაქვ სიდინჯე  
მცირე-ზევსური,

გადასაწერად თუ გაძლევს მოთხოვობებს  
 ძმაი-ხევსური?<sup>29</sup>  
 შენ იცი, ხევის ოსტატო, სად გამოაბა ხევს ყური,  
 შენს შაირს შემონატროდეს ძველი შაირი  
 ბესხური –  
 შენა მწერ: იალტაშია თუ გავიჩინე წაწალი...  
 თქვენ ჩემზე ეშმაკები ხართ, თქვენ არ დადიხართ  
 ცალ-ცალი.  
 გოგონებს გამოესკვნებით, როგორც ბოჩოლებს  
 ბაწარი...  
 სად შემიძლია, გეთაყვა, გაბო, მაგდენი წანწალი!  
 სხვა კი, ვინ იცის, გოგონებს ამ დროს რა რიგად  
 ნატრულობს...  
 ვინმე კაბიან ორფეხას, ვინმე სამგლე და სატუროს.  
 დამით ისიგმრებს ლამაზებს, განა უშნობე  
 ხალტურობს,  
 ჩემი არ გჯერათ? ჰკითხევით ნიკას<sup>6</sup> და  
 ასტვაცატუროვს.<sup>18</sup>  
 მე ნიკას ჯავრი გამომყვა, ვერ მიშოვნია  
 მკურნალი.  
 ვერ ავურჩიე საცოლე, სანამ კიდევ აქვს უნარი...  
 მაგი უცოლოდ დარჩება, საცოლე გაუხუნარი,  
 მანამდე ასი ნომერი გამოვა ჩვენი ჟურნალი.<sup>271</sup>

ყირიმში გადმოხვეწილმან დავწერე ესე უსტარი.  
დავჯე და რითმებს ვაწებებ, ვით მეკალოშე  
                        კუსტარი.

სეგმანს<sup>101</sup> ვინაგრი, სადაც მაქვს რითმები  
                        მინასუსტარი,  
ჩემთვის ებოძოს რითმაი – ჰო, მაგალითად:  
                        „კუს ტარი“.

ეპ, დავიღალე, ბიჭებო, სრულდება სამი საათი...  
სანამდე ვწერო, არა ვარ რუსთაველი<sup>210</sup> ან  
                        საადი.<sup>212</sup>

...

ჩამთვლიმა, მთხოვენ თვალები: ლოგინისაკენ  
                        წა, ადი!

ახლა დამტოვეთ მშვიდობით, დაბრუნებამდე  
                        მომეშვით.

ჩემი მდაბალი სალამი ჩვენს პოეტესა  
                        ნონეშვილს.<sup>194</sup>  
სალამი ყველა „პაპკიანს“, ლექსები უდევთ  
                        რომელშიც,  
მათი გაძლების უნარი ცოტალა დარჩა ხონელში.

ირაკლიო<sup>3</sup>

1938წ., 3/XII, დამუ, იალტა

\* \* \*

Мы готовы побожиться  
И уверить всех навек,  
Что Ираклий Абашидзе<sup>3</sup>  
Нехороший человек.

A. Конштейн<sup>149</sup>



օրականո ածանօթյ

"Հայոց" ԿԸ Հ. Հանոն

### օրականո ածանօթյ<sup>3</sup>

Սաշրջութեար, Սամոսկովյ, Սաხոնյ ու Սաօալքյ,  
Մեծա Բանգայ, Երեկոլյչան, Թօնլուսմո Ռոմ

գաօարգյ.  
Թօրոյթ օւյ օւօանօվ<sup>125</sup> յյ Ի՞զօդա Թօսկովույցն...  
յյ Ի՞զօդա, յյ Բամովա, Ռոցորց օպո, օւյօ օւյ...  
յը Սայրտուգ, Սեցատա Մորու (օգյցօ, Ռոմ առ  
գամուստ).  
մացրամ ցԻ՞ամցըս: յը ծարատո առ օյինցձա  
սածուստ.

„საბოდიშოს“ იმერეთში უმღერიან ბატონებსა,  
ბატონობა აგაშოროს ღმერთმა, დაგწვას

მარტო ლექსად.

მოუოხე „ჩვენს თაობას“<sup>271</sup> და სასახლის ბატონებსა.  
მარგიანი<sup>168</sup> კი არა ვარ, სალაქუცო გითხრა რამე,  
მხოლოდ იგი მენანება, ქეიფი რომ ჩაგიშხამე.

მაგრამ მჯერა, თუ მეწვევი, დვინოს ჩაფით  
დაგისხამენ,

არ დალევ და... დარდიმანდთა ოჯახიდან  
გაგრისხავენ.

რადიანი<sup>206</sup> კი არა ვარ, ხან ეს არი, ხან ის არი.

მისი ლურჯი კაბინეტი თურმე ერთი ხანის<sup>11</sup> არი.

ხან კალამი უკავია, მაგ საცოდავს, ხან ისარი;  
ისევ პბეჭდვენ წერილებსა ქალნი არამხანისანი.

„თაობაში“ ვერ მოვდივარ, ნიკასაგან<sup>6</sup> გაგიგია.

ჩემი ლექსი და უსტარი ფიანდაბად გაგიგია.

მალე მოვალ და კარები ჩემთვის თუ არ გაგიღია,  
სულ დავლეწავ, რაც მწერალთა სასახლეში

აგიგიათ.

ნონეშვილი<sup>194</sup> კი არა ვარ, – ფული დასტად ამიღია...

(არაფერი უჭამია, საწყალობელს, სამი დღეა),

არც ჟაკი<sup>27</sup> ვარ, არავისგან ავანსი არ წამიღია.

ვაჟკაცი ვარ, დამილეწავს, თუ კი საღმე

დამირტყია.

პო და, ასე, შენც უთხარი ნიკას, ეთერს<sup>297</sup> და  
ერემას,<sup>18</sup>  
თუ მოვიდა, დაიმალეთ, თორემ ყველას  
დაგერევათ.

ყველასათვის ეს შაირი გარიყელი,  
ახლა უნდა დავისვენო, მეც მჭირდება „კანიკული“.

### მინაწერი:

ლექსაობა დაგიწუნე, გაგაბრაზე – გაგეგება,  
თორემ სხვაგან: ხალხში, ძმებში მიმღერია  
შენი ქება.

პოეტი ხარ ჯეროვანი, ვით გაკადრო განქიქება,  
მე მგონია, უნდა მოხდეს, ირა, ჩვენი შერიგება.

ლადო ასათიანი<sup>16</sup>

1939 წ., 4 იანვარი, ტფილისი

### ირაკლის<sup>3</sup>

შენ ხალტურშიკთა იყავ გენია...  
და ეს ხალტურა ახლაც თანა გდევს.  
ახლა, როდესაც ასე წრფელია  
გჩა პოლუსამდე და ხასანამდე...

## იაკობ ბალახაშვილს<sup>27</sup> – მეცნიერობისა და ფუნაგორისტის

ფუნაგორია სტილია ამომავალი კლასისა,  
ბევრის პერანგი შეღება, ბევრი მწერალი გასრისა.  
შენ გაგიმარჯოს, ჟაკუნა,<sup>27</sup> შენ [მაგლი რო]  
  მოთავე ხარ კასისა,  
მომხვეჭი, მომპოებელი ფულისა ბევრ ათასისა.  
შენა ხარ, ჩემო ჟაკუნა, პატარა მატარებელი,  
ფოსტა ხარ, ფუნაგორის კარდაკარ  
  დამტარებელი.  
შენა ხარ ჩვენი გამრყვნელი და ჩვენი  
  გამტვინებელი,  
საწყალი ფუნაგორისტის შენა ხარ დამტირებელი.  
მე შენ დაგარქმევ, ჟაკუნა, ლიტერატურულ  
  კუხნის ქურდს,  
და ჩემის ხელით დაგხურავ გამსახურდიას<sup>49</sup>  
  ბუხრის ქუდს.  
მაინც რა არის ამ წელში ამდენი საშინელება,  
მიწის ძვრა, დიდი წვიმები,<sup>118</sup> სიცხისგან  
  გასულელება,  
კოლა ჩაჩავას<sup>266</sup> „სონეფი“, ვიქტორ გოლცევის<sup>70</sup>  
  სტუმრობა,

და ახლა კიდევ „ნიანგში“<sup>191</sup> გრიგოლ ცეცხლაძის<sup>277</sup>  
ხუმრობა.

ფინთია წუთისოფელი, თუ ჩაგაფრინდა  
ფანჩარში...

რ. მარგიანის<sup>168</sup> არ იყოს, გაეკიდება მაშაშვილს,<sup>171</sup>  
რომ აისახოს სვანეთი მინიაფურულ [პობაში]

ფორმაში  
და დადგეს დიდი პოეტი,<sup>171</sup> როგორც უშბა და  
გორგაში.

შენ იცი, ერთმა უგნურმა თავი რო გაიმიტინგა,  
საქმე რა არა ჰქონდა რა, იმდენი იხტუნ-იტლინკა,  
რომ საკუთარი მარჯვენა საკუთარ მძღნერში  
იტიკა, –

ამას მაგონებს გიორგი ნატროიშვილის<sup>190</sup>  
კრიტიკა.

ნატროშვილი ნატრობს ხშირად,

რომ არ დარჩეს ნატროშვილად.

თავი გაირადიანოს,<sup>206</sup>

ანდა გაიროდიონოს.

ქორქია<sup>249</sup> თუ ქავეარაძე,<sup>243</sup>

სულ ერთია: კვალს არ აჩენს.

პო, მართლა, ჭაკო-ჭაკუნა, თუ იცნობ, როგორც  
ასეთსა,

იმ სახელგამის<sup>216</sup> აფერისტს, იმ ვიღაც  
კაკუშაძესა,<sup>127</sup>  
რა გვიქნა იმ შობელძალლმა, როგორ ჩაგვაგდო  
ენაში,  
სხვებმა, თუ გინდა, მიქარეს, რაღას ერჩოდნენ  
ბენაშვილს?<sup>36</sup>

იმ კაკუშაძეს ჰქონია ტექრედაქტორის წოდება.  
საწყალი შ. დემეტრაძე<sup>90</sup> – მოდი, ნუ შეგეცოდება...  
მივიღე შენი თხზულება ნაქარგი, ნაკოხტავები,  
გამზირბე მომისმენია შენგან მაგ წიგნის თავები.  
შენ სხვას ადიდებ, ჟაკუნა, შენს თავს კი აყრი  
ქვიშასა,  
შენ იცი, შენი ქოჩორი რომ ენატრება გრიშასა?<sup>2</sup>  
კიდევ მოგწერდი ბევრ რამეს, მაგრამ შიში მაქვს  
ღალატის,  
სწრაფია ფუნაგორია, ხელიდან ხელში გადადის.  
აკანონებს და ანმტკიცებს ლიტერატურულ  
სინიდისს,  
ჟინი სჭირს მწერლუკანების<sup>49</sup> მონიკელებულ  
ცილინდრის.

ლადო ასათიანი<sup>16</sup>

1940 წ., 10-VIII, აბასთუმანი

## პასუხი ლადო ასათიანს<sup>16</sup>

შენგან ყოველ წეთს ბარათს და ფუნაგორიას  
ველოდი.  
იყო დრო, წერდი სატირებს, გავრცელებაში  
გმველოდი.  
რად დაივიწყე ვანიჩქა,<sup>288</sup> გორგაძე<sup>72</sup> ჭკუით  
მელოტი?  
„ანარეკლს“<sup>50</sup> ხომ არ ჰკითხულობ, ხომ არ  
გაერთე „ლელოთი“?<sup>291</sup>  
აქ საშინელი სიცხეა, ბორჯომშია ისევ შალვა<sup>206</sup>...  
ქავეარაძეს<sup>243</sup> და ცირულის<sup>281</sup> გაუმჯდავნდათ  
შორით მალვა.  
მოსაშვილი<sup>183</sup> სოფელშია, დუმით ლესავს ვაჟას<sup>104</sup>  
გორდას,  
შალიკუნა დემეტრაძე<sup>90</sup> დირექტორად  
[წამოსკუპდა] წამოგორდა.  
ალ. ადამია<sup>8</sup> დაბრუნდა, ჩამოხსნა ჭორის გუდაო,  
თუმც ვერ დაწერა პოემა, ამბავი ვერ მოგუდაო.  
„მაგრამ ჩავასხით“, – სთქვა შალვამ, – „კინაღამ  
გაიგუდაო“.  
ინგოროვამ<sup>123</sup> განაცხადა: „მოვიკვლიე  
არგუმენტი,



ბაგდე ინგოროვა

ვერ დამირღვევს ფრ. რუხაძე,<sup>211</sup> კეპელიძე<sup>141</sup>  
ცოდნით მეტი,  
ვერც კაკო გაწერელია,<sup>55</sup> ცხრა წელს რომ არქივს  
დაჯდესა...  
„ჯანგარი“, „დავით სასუნცი“ – ვამბობ –  
ეკუთვნის რაჟდენსა<sup>59</sup>.  
კეშელავა<sup>142</sup> გოსკინპრომში<sup>74</sup> კონსულტატობს,  
სცენარისტობს.  
ქველი ირა აბაშიძე<sup>3</sup> მტერ-მოყვარეს აღარ ინდობს.

თამარ ფოფხაძე<sup>241</sup> კვლავ დადის ალ. ჭეიშვილის<sup>291</sup>  
პოზაში,

ხაშმის და ფინთის სუნი დგას, ვით ქუთათელის<sup>250</sup>  
პროზაში.

შენი წასვლა გულს გვაკლია, წვიმაა თუ დღე  
მზიანი,

გუშინ ბრიჩკით სვანეთიდან ჩამოსკიტლდა  
მარგიანი.<sup>168</sup>

ჩვენ იმწამსვე გავეშურეთ ნოვი ტფილისის  
კრიშასა,<sup>193</sup>

აქ ახალ ამბად ეს არის, თმები ამოდის გრიშასა.<sup>2</sup>

მგოსანი მგოსნად დარჩება,

ქლესა ირაკლი<sup>3</sup> ქლესადა.

კავშირში წევრად მიგიღეს,

პასუხს მოველი ლექსადა.

### **მინაწერი:**

შენმა ახალმა სატირამ ბევრს თავში ჩაუკაჯუნა.  
მოსკოვში აეროპლანით გაფრინდა გაწო კაკუნა,<sup>55</sup>  
შენს ჯანმრთელობას, ჩქარ ნახვას ბახუსს ვსთხოვ  
უკო-უაკუნა.<sup>27</sup>

1940 წ., 25-VIII, თბილისი

\* \* \*

მატილდამ ტრაკით გალახა შვილი.  
აფირდა ქაკი ბალახაშვილი.<sup>27</sup>

## ვ. ტალახაძეს<sup>233</sup> – ტალახში მოსვრილს

თუმცა ამ შენს გვარს ლაფის სუნი სდის,  
მასში შევიცან სიბრძნე ქართველთა,  
ჩანს, გულთმისანი ყოფილა კაცი,  
ვინც შენს წინაპარს ამ გვარს აძლევდა.  
სიბრძნეს სიგიჟედ, სიგიჟეს სიბრძნედ  
ადვილად ვაქცევთ, ისე მარდი ვართ.  
ზოგი სიბრძნეს ხდის და ზოგიც – აბსურდს  
კატეგორიულ იმპერატივად.  
ამ იურისტმან კალმით დალეწა  
აღმაშენებლის<sup>83</sup> ყველა ტაძარი,  
თამარის<sup>115</sup> კოშკი, ერეკლეს<sup>100</sup> ხმალი,  
ერის დვაწლი და ნაამაგარი.  
სახელმწიფოსთან გამართა ერთმა  
უჩინარივით ბრძოლა მედგარი.  
და ლამანჩელი რაინდის<sup>152</sup> შებით  
შელეწა ქართლის მეფის ბეგთარი.

თქვა: „ის ჭორია“ და ისტორია  
ფიცხლავ შეცვალა, მას ის არ სჯერა,  
ისტორიკოსმა დაჰკრა წერაქვი  
და გაბუქმა, რაც ვერ ასწერა.  
არ პგავს ჯავახელ ჯავახიშვილებს,  
მხდალ ევროპიელთ ნათელთმიანებს,  
დონკიხოტსა<sup>152</sup> და უძლეველს  
ის თავისთავში აერთებს.  
ო, ტალახაძევ, ამ აბრებისთვის  
ბევსი<sup>112</sup> გრძელ ყურებს ჯილდოდ გიბოძებს.  
ერწმუნეთ მხოლოდ მელნით დაწერილს,  
ქვები რად უნდათ ისტორიკოსებს.  
და შენ ამისთვის, მხოლოდ ამისთვის,  
თუნდ ყოფილიყავ შენ თავად ღმერთი,—  
ძეგლს აგიგებდით ტალახისაგან  
და ტალახ აბრებს ბედ დავაწერდით.  
ჯერ კი ამტკიცე შენი აბსურდი,  
ვიდრე შენს სიცილს ბაგე მფარველობს.  
უღირსი შვილი ბევრი ყოლია  
მრავალწამებულ ჩვენს საქართველოს.

1956 წ.

\* \* \*

ჰე, დოდაშვილო რუსიკო,<sup>94</sup>  
რად დადიხარ უტრუსიკო.  
ბიჭები სულ კუდში დაგდევს:  
ლადო,<sup>224</sup> მიხა,<sup>113</sup> უტუ,<sup>218</sup> სიკო.<sup>238</sup>  
ვით გაუძლებ ამდენ ქაქუნს,  
გასცვეთს ქვასაც კუტუ, ციკო.

\* \* \*

ისე, ვით სულაკაური,<sup>229</sup>  
თუ ხარ გიგლასთან<sup>302</sup> ხუხვაში,  
როს წაიკითხავ ხუხაშვილს,<sup>302</sup>  
და, მით უმეტეს, თუ ხარ შიგ,  
თუ ფეხსალაგი ვერ ნახო,  
შიგ შეუძახე – ბუხარში!




## შალვა დადიანს<sup>81</sup>

გენაცვალე „კაკალ გულში“,  
„ნაპერწელიდან“ გაჩენილში.

ჩვენი შალვა დადიანი,  
გვარით დიდი გვარიანი,  
კალმით არის მადლიანი  
და შრომით ბარაქიანი,  
ჭამასმაში მადიანი,  
თვალტანადად შნოიანი,  
ხნოვანი და არც ხნოვანი,  
სწყალობს ცირა – ბანოვანი.  
ბრგე ვაჟკაცი – გულოვანი,  
ვერ ამაგრებს გალავანი,  
შორს დასტოვა „პრასიანი“,  
გახდა მწერალ-ფალავანი.  
დაშვრა რაზომ ამოდენი,  
დაშვენდება მას ორდენი  
(გაიხარებს აპოლონი).

აპ. წელაძე<sup>287</sup>

1939 წ., 31 იანვარი, თბილისი



შალვა დადიანი

\* \* \*

კიკაცომ<sup>190</sup> დაიკიკაცა,  
გარს შემოერტყნენ შვილები,—  
არ იყვნენ მისი შვილები,—  
არც მისი შვილიშვილები,—  
ანა<sup>128</sup> რომ ჩამოიკითხა,  
სულ გულს იცემდა დანასა,—  
ხან შაგბერაშვილს<sup>258</sup> წყალობდა,  
ხან — კალანდაძე ანასა...  
ბოლოს კვლავ ზურგი აქციათ,  
ალბათ, ვერ მიყვნენ ხანასა,  
ისევ შალიკო<sup>206</sup> მოსძებნა,  
გაჰკნაჭა, გაალამაზა...  
კიკაცომ დაიკიკაცა,  
ჩანს, ვიღაც მგოსნად ჩარიცხა,  
მოსდევენ სტამბის ბიჭები —  
იერემია<sup>18</sup> და განიჩქა.<sup>288</sup>  
მესტამბეს ლუდი დაუსხით,  
ლაშები გაუქონია,—  
დოინქაშვილის<sup>97</sup> გაფსმული  
პოლტავის ლუდი ჰერნია.


არღუთი არღუთი არი,  
კიკაცომ გაგვიარღუნა...  
ბიჭებო, ვირის პიტნაი  
ხომ არ გახდება ტარხუნა?!

## იოსების<sup>184</sup> გოდება

„ჩვენს თაობასა“<sup>271</sup> ვეძებდი,  
ვერ ვნახე, დაკარგულიყო...  
გულამოსკვნილი ვსტიროდი,  
სადა ხარ, ჩვენო სულიკო?  
ვკითხავდი ოთახს ცარიელს,  
მტვერით რომ ავსებულიყო,  
ან რედაქტორი სად არის,  
ან ნიკა<sup>6</sup> მისი სულიკო?  
მაგრამ პასუხი არ მომცა,  
ოთახიც გაბუზულიყო...  
ნეტავი გამაგებინა:  
სადა ხარ, ჩვენო სულიკო?

\* \* \*

„მნათობში“<sup>181</sup> ბჭობა გამართა  
ოცდაერთს ირა აბაშმა.<sup>3</sup>  
ლამაზი სიტყვით ილომა,<sup>183</sup>  
ვით თევზი, გაათამაშა.  
ზოგს ნერწყვი გადააყლაპა,  
ზოგს თვალნი აუციმციმა.  
უეცრად ხალხს გააჩუმა  
დ. შენგელაიას<sup>260</sup> სიცილმა.  
ამ დროს გამოჩნდა დოდო<sup>13</sup> და  
სიმაღლით ყველა დაჩრდილა.  
დოდოსთან ირ. აბაშიძე<sup>3</sup>  
გადიქცა სერგოს<sup>146</sup> აჩრდილად.



გალერიან დოდიძე, ალექსანდრე კუპრაშვილი, ემილიან აფხაძე,  
ნატალია ჯაფარიშვილი, დიმიტრი ალექსიძე, სერგო კლდიაშვილი

\* \* \*

თმა ორი დერი კვლავ შერჩა  
ჭაღარა თავის ქალაბე.  
მაგრამ მამია<sup>98</sup> არ არის,  
ის გახლავთ კარლო კალაბე.<sup>131</sup>

\* \* \*

აწ სურვილი აგისრულდა, შვილო,  
ნუ შეარცხვენ მამის ულვაშს, შვილო,  
უკვე მწერალი ხარ, ამისულაშვილო.<sup>12</sup>



\* \* \*

ვინდა ანდობდა მამის ულვაშს შვილს?  
ეს აწუხებდა ამისულაშვილს!<sup>12</sup>

## გასაგებ ენაზე – ჩიქოვანისეული<sup>273</sup> ჩიქორთული


მთვარე, ვით თორნე, დაითარნება,  
ქათქათა თავით, ქუთუთო ფართო.  
თარო თარივით ქართას ფერდება...  
ურართუ თვაურს ორთას ამართავს...

\* \* \*

კიდევ ჩიქო-„ვანური“.<sup>273</sup>

## ქაკისტების სიმღერა

აბა, რით გაგახარო,  
სადილად ვჭამთ მაკარონს...  
ლუდის მეტი არაფერი  
პირზე არ გამაკაროთ...  
  
ჩემო ლექსო, იქუხე,  
ბრინჯაოზე მაგარო...  
გახდი გრძნობის გვირაბი,  
ანდა ფიქრთა მაღარო!..



სიმთხ ჩიქოვანი

## ნიკას<sup>6</sup>

დაჯდა ორი მდივნის სკამბე\*  
ტელეფონი ისე ცელქობს,—  
მოიშალა მის ჟინაბე  
და ბორძიკობს, ვით ალეკო...<sup>262</sup>  
სიცხის ბუღით და განგაშით  
გულით სწუხს და სულით კვნესის...  
კვალად არის ტყვეობაში  
ის და მისი „სერვანტესი“ ...<sup>220</sup>

1940 წ.

\* \* \*

ერთხელ, 1940 წლის ერთ ბაზეულს, რეზო მარგიანმა<sup>168</sup>  
და გიორგი შაგბერაშვილმა<sup>258</sup> ლექსად მისწერეს ლადო  
სირბილაძეს:<sup>224</sup>

იცი, ლადო?

ეს ამბავი რომ გაიგო, არ გეყოფა სიცილადო.  
რა იქნება, სალაროდან ჰონორარი გვიწილადო?  
რომ ეს ფული რესტორანში იქცეს შემწვარ  
წიწილადო.

შემოვუსხდეთ, ცივი ღვინით ყელი  
ჩავიჭინჭილადოთ.

\* „მნათობისა“<sup>181</sup> და „ჩვენი თაობის“<sup>271</sup> რედაქციაში.

## ნაწყვეტი წერილიდან

...სიმონ ჩიქვანს<sup>273</sup> კბილები აქვს  
ჩასაჯენი, სარემონტო...  
წინა – ყველა დაუძვრია,  
სხვებს ჩაამტვრევს, ალბათ, ბონდო...<sup>142</sup>

დღევანდლამდის ვერ შევიტყეთ:  
რგანშია თუ გაგრაშია  
(თმები რომ აქვს უღრანი ტყე)  
ჩვენი გრიშა აბაშია?<sup>2</sup>

ლექსო<sup>71</sup> მოხსნეს ლექსთამჩენი  
მთების დიდი მეგობარი...  
ისეთია, როგორც რეზოს<sup>168</sup>  
დევეთგერის ნასახლარი.

ალიოშა, ჩვენი კოკი,<sup>218</sup>  
ორი დღეა – ჩამოვიდა,  
სიმღერები ორი კოკით  
მოიტანა შამშოვიდან.

ყელლერია ვოლდემარი<sup>9</sup>  
ხატავს „უცნობ ქალის პორტრეტს“.  
მრავალ მწერალს ამ რომანით  
უსათუოდ გააკოტრებს.

ასათიანს<sup>16</sup> აბასთუმანს  
ყოფნა მეტად მოეწყინა,  
ცოლი გზავნის ათას თუმანს,  
ლადო მაინც ქუხს და გმინავს.

აქ რითმების ძებნის ღროა,  
ძვირად ფასობს კარგი ლექსი,  
აღარავის აღარ მოაქვს:  
არც ალიოს,<sup>171</sup> არც ალექსის.<sup>71</sup>

მწერლები თუმც გვყვანან ოხრად  
(სამი არის კონსტანტილე),<sup>49, 162, 295</sup>  
ბოგი ბის და მხოლოდ ოხრავს,  
დანარჩენი ჰეთცავს ტილებს....

1940 წ., 20-VIII

ლადო აფალიანი



\* \* \*

ერთი პოეტით იწონებდა თავს ქუთაისი...  
ისიც წავიდა მეოცნებე და ნაღვლიანი.  
ცნობილი ლექსით და ქართული სიდარბაისლით  
წავიდა ჩვენგან ჩვენი ლადო ასათიანი!<sup>16</sup>

შ. კ.

\* \* \*

არ ვარ პოეტი, არც – ლიტფონდელი.<sup>159</sup>  
გამოვკრეტინდი, როგორც რონდელი,<sup>209</sup>  
მიტომ არ მომცეს, ალბათ, ორდერი...  
არ ვარ პოეტი, არც – ლიტფონდელი!

არ გამოვიდა „ჩვენი თაობა“,<sup>271</sup>  
თუმცა დავუწყე ნიკას<sup>6</sup> დაობა.  
მკლავს სახელგამის<sup>216</sup> მე უთაობა,  
არ გამოვიდა „ჩვენი თაობა“.

მაშინ, რაც უთხრა ლექსომ<sup>71</sup> კალესა,<sup>44</sup>  
ახლა მე თქვენთვის ისევ გავლექსავ.  
მას შემდეგ ყველას ეს აწვალებსა,  
მაშინ რაც უთხრა ლექსომ კალესა!

„მნათობში“<sup>181</sup> მარტო ქუთათელია...<sup>250</sup>  
ამბობს: „აქ ყოფნა, კუტა, მნელია!“  
მეოთხე ნომერს ხუთად ელიან.  
„მნათობში“ მარტო ქუთათელია...

სად ჩვენი რეზო<sup>168</sup> და სად აკაკი,<sup>223</sup>  
ამაზე არის დღეს ლაპარაკი...  
ყველას ჰგონია იგავ-არაკი,  
სად ჩვენი რეზო და სად აკაკი?

1940 წ., აგვისტო



## საყვედური

ვარ მაშაშვილი,<sup>171</sup> ვგუგუნებ,  
სახელიც მქვიან აღიო.  
„მნათობს“<sup>181</sup> ვანათებ, ვამოვეც  
მხოლოდა ერთი ცალიო.

თუ იგვიანებს „მნათობი“,  
არ არის ჩემი ბრალიო.  
მაგინებთ, მიზებს არ ეძებთ,  
სად არის სამართალიო?

ხუთი ნომერი გამოვეც  
და არა ერთი ცალიო.  
ვინც ერთის მეტი ვერ ნახა,  
იმას დაუდგეს თვალიო.

\* \* \*

სურს, რედაქტორი, პოლიოს<sup>4</sup> –  
მთარგმნელად ჩაიყოლიოს.

\*


გ. კალანდაძე<sup>129</sup> სვინდისიანი  
მოსკოვს წავიდა ვით ისიანი.<sup>125</sup>



გიორგი გალანდაძე

## მთავარი მინგრელისა<sup>81</sup>

მადლი გამჩენს, რომ ეგნატე<sup>192</sup>  
და ილიაც<sup>289</sup> იყო ჩვენში.  
მათ ნაწერებს ყველას ერთად  
რომ შევყინავ გუმბათებში,  
ზოგს ამბავად, ზოგს რომანად,  
ზოგს ღრამად და ზოგსაც კენჭად,  
შემდეგ მონტაჟს გავუკეთებ,  
წარმოგიდგენთ ყველას ერთად.  
ნახეთ, დასტკბით, ხე-ხე-ხე-ხე!  
ვინ არ იტყვის თქვენში მართალს?  
ამ ჩემს ბაქროს<sup>110</sup> ერთი შეხეთ,  
სრულად არ გავს ილიასას.  
ვილალობე და გუმბათებს  
მივაყენე ყველას ჩრდილო, —  
სამონტაჟო თუა სადმე,  
გთხოვთ, დადიანს დაურჩინოთ!



შალიგა დადიანი

## ჩიმონ სიმოვანი<sup>273</sup>

ართი, მართი, ვფიცავ წკურუმს:  
დიდი არი კაფის ძალა.  
მზე ამოვა აღმოსავალს  
და დასავალს, ვფიცავ, ჩავა.  
და წვიმის დროს მოვა წვიმა,  
დაისხმება, როგორც შარდი...  
მაშასადამე, სველდებით,  
დოხორები თუ არ შადით.



სიმონ ჩიქოვანი

## კუტიანს რა გაასწორებს?

შარშან თუ ვერ გაიმარჯვა,  
ახალს იტყვის ეს ზამთარი.  
და პიესა დრამტრაკული  
მანქანაბე მან<sup>55</sup> ცხრა ცალი  
გადაბეჭდა, დაუგბავნა  
აკაკის<sup>237</sup> და ერთიც დოდოს,<sup>13</sup>  
ერთი სოხუმს, ერთი თელავს,  
ერთი ფოთსა და ერთი ხონს  
(დანარჩენი ინახება,  
ველისციხე თუ მოითხოვს).

## კაკაბ ყვარყვარაძე<sup>126</sup>

პოლიკარპე ყოველდიღით  
ჩვენ სასახლის ბაღში მჯდარი,  
ცას შეჰყურებს და აბოლებს  
მუდამ რევისორზე მწყრალი.  
ერთხელ დასდო ოქროს კვერცხი,  
შემდეგ აღარ მოიკრუხა.  
არ გსმენიათ, მას საჯაროდ  
თუთაბერის მსგავსად უთქვამს:  
— დავწერ, მაგრამ ვინ დამიდგამს?  
ვიდას შესწევს ამის ძალი?  
პიესებს სწერს ყველა ლენჩი,  
ყველა გლახა და აბდალი!  
თხოვნა არის: იმათ რიცხვში  
არ ჩასწეროთ ჩემი თავი!



პოლიკარპე კაკაბაძე

\* \* \*

ნონეშვილი იოსება<sup>194</sup>  
წვერულვაშით იმოსება,  
პაგონებით დარდიმანდობს,  
აუხდა, რაც იოცნება.  
მაგრამ ლექსებს რისთვისა სწერს,  
ტყვილა რაფომ იოსება?..

პაგონებით, გაგონებით,  
არც ნიჭით და არც გონებით!



## ნაწყვეტი პოემიდან

თუ მაღალ პოეტს ეძებდეთ,  
მიმართეთ ილო მოსაშვილს.<sup>183</sup>  
პოეტიაში ისეა,  
როგორც თხა მწვანე ბოსტანში.  
მიწას მოპფინა ფარჩებად  
თვისი ლექსების ფურცლები...  
მისგან მწერლობას დარჩება  
მხოლოდ ჩლიქი და ცურცლები.

იოსებ ნონეშვილი

## იმავე პოემიდან

იღოს,<sup>183</sup> ვით წყევა, თანა სდევს  
ლორთქიფანიძე კონსტანტინ,<sup>162</sup>  
ციგნობის, მუხანათობის  
და მძ....ის ჭამის ოსტატი.  
მან გული ორი ორდენის  
ოქროსფერ შუქში შეხვია,  
მაგრამ ორდენმა რა უყოს,  
თუ თვითონ გული ნეხვია?..



კონსტანტინე ლორთქიფანიძე

## იქიდანვე

კალეს<sup>44</sup> და კოლაუს<sup>187</sup> შორის  
თურმე არც ისე შორია,  
რადგან ორთავეს მიარჭვეს  
მესამე კატეგორია.  
იქვეა ჩვენი სოლომან,<sup>114</sup>  
სიმონ,<sup>273</sup> ჩხეიძე ბორია.<sup>274</sup>  
დათიკოს<sup>54</sup> ჭამა რად უნდა, —  
პოეტი განა დორია?

## ბალადა ერთი მოყმისა<sup>156</sup>

ნეტავ, სახელად რა ჰქვია, ან სადაური კაცია?  
ვერავინ გამოარკვია მისი სახე და ნაცია.  
პირში გიღიმის, ნამდვილად გველის პერანგი  
აცვია.  
ქართველს არა ჰგავს ქველობით, ღორმუცელა  
და თავნება,  
თუმც თავის ძველქართველობით მოგვსპო და  
გამოგვავნება.  
იმას შვრება და აკეთებს, რაც კი სურსა და რაც  
ნებავს.  
ამბობს, იგია მწერალი, სხვა ერთმანეთის  
ქურდია,  
მისი საქმე და ხელობა მარტოკა ფართიფურთია.  
საიდან შემოგვაჩეჩეს მეორე გამსახურდია?<sup>49</sup>  
ფეხისალაგი გახადა უკვე მწერალთა კავშირი,  
რად გვჭირდებოდა სახადად მოსვლა, მოხეთქვა  
ამ ჭირის?  
ტაკიმასხრები გაგვხადა, ჩვენს ბედს ვწყევლით  
და დავსტირით.  
გვპირდება, მალე გაგვიხსნის კავშირში გოგლას  
სკოლასა,  
დაჯდება, კარგად აგვიხსნის...

სჯობს, თავმჯდომარე არ გვყავდეს ასეთნაირის  
ყოლასა.

მოვიდა, მთლად აურია მწერლობის  
დასტურლამალი.  
სადღა მოვძებნოთ, სად ვნახოთ ამ უნდო ჭირის  
წამალი?

თავიდან ვით მოვიშოროთ თავის ჯარით და  
ამალით?

მუზეუმიდან კავშირში გადმოიტანა ბარდელი,  
გვაკვირვებს, რაფომ შეგვწირეს გოგლას  
მწერალი ამდენი?

რაფომ გახადეს კავშირი გოგლას ოჯახის  
არტელი?

ნეტავ, ის კაცი ვინ იყო, გოგლა ეგონა მჩიანი?  
მწერლებში კაცი არ იყო, რომ არ გვყოლოდა  
გიარი?

მუზეუმს დარჩენილიყო ეს „რედკი“  
ეგზემპლიარი!

# სანდრო ეული<sup>102</sup> ქუთაისში

გრალედია სამ მოქმედებად

## I მოქმედება:

ქუთაისი. თეატრი. ყურადღებიანი აუდიტორია. სცენაზე სანდრო ეული კითხულობს უკუმველებელ ლექსს, რომელშიც დაუსრულებლივ მეორდება სტრიქონი: „დასცხე, დაჰკარი, დასცხე, დაჰკარი!“ კ. კალაძე<sup>131</sup> და გრ. აბაშიძე<sup>2</sup> (პრეზიდიუმში) მოთმიწებით უსმენებ.

## II მოქმედება:

ლექსის კითხვა გრძელდება. აუდიტორია სკამებს აჭრაჭუნებს და ერთმანერთს უმწეოდ შესცემის. გრიშას და კარლოს ჩაეძინათ.

## III მოქმედება:

ლექსის კითხვა გრძელდება. აუდიტორია გმინავს: გმინვა გოდებად იქცა. კარლოს და გრიშას გაეღვიძათ. მათ შორის ასეთი დუეტი იმართება.

**გრიშა** – (გაოცებით) სანდრო ეული კიდევ აქ არი?

**კარლო** – (მძვინვარედ) დასცხე, დაჰკარი! დასცხე,  
დაჰკარი!

**გრიშა** – (შეშინებული) სანდრომ აიღო ხელში  
ფანქარი!

**კარლო** – (მედვრად) დასცხე, დაჰკარი! დასცხე,  
დაჰკარი!

**მაყურებელი** – (შვებით) შენს პირს შაქარი! შენს  
პირს შაქარი!

**სანდრო** – (ახალგაღვიძებულივით თვალებს აფეთქებს)  
ეს რა ხალხია, – ურჩი, მზაკვარი!  
(მუცელს და ღიპს აიგაცებს და გარბის).

**ყველანი** – (გიურის აღტაცებით)  
დასცხე, დაჰკარი! დასცხე, დაჰკარი!  
(ტაში, რომელიც ოვაციებში გადადის).

### ტრადიციის ბოლო:


**მემატიანესაგან:** ასე თავდება ეს ტრადიცია...  
/ / / / / ეს ხომ რჩეულთა ნაზი ბედია!  
ასეთი არის ბრბო – სალახანა:  
( არ აბულბულებს ყვავის  
) ბახალას,  
ასე თავდება ეს ტრადიცია.



სანდრო ეუდი

\* \* \*

გამოიცან – ვინ არის?  
ტრეპაჩებში წინ არის!  
ძე ნიკოსი.  
ძმა სიკოსი.  
ქმარი ფეფიკოსი.  
მამა თინიკოსი.  
მძახალი შალიკოსი.<sup>60</sup>  
მძუძე ოსიკოსი.  
ფრიად ცინიკოსი.  
ეპიკოსი.  
აკადემიკოსი.<sup>156</sup>



\* \* \*

გიორგი ლეონიძე

ღვინოს ასხამს ლასიკუნა,  
სიმონა<sup>273</sup> სვამს კლასიკურად.

\* \* \*

თარგმანებზე გადავედი,  
ლექსის წერას მეც ვუკელი,  
ასე, ძალაუნებურად,  
მეც ქე გავხდი ბეწუკელი<sup>41</sup>...

## ს. ჩ-ს<sup>273</sup> და ვ. გ-ს<sup>48</sup> მსგავსება


სიმონმა ლექსები ლექსებს ვერ დაამგუანა.  
სჭირდება ამიტომ მას იპეკაკუანა  
და რადგან რითმებში ის არის კუანა,  
ჩამოვავს ამიტომ ჩვენს ფუ-შე-ცუანას.

\* \* \*

### ერთი ვარიანტი:

კახელ გლეხად დაგოგავდა,  
ლუკმას ოფლით იძენდა.  
გიგლა იყო, გაგოგლავდა,  
გაგვილეონიძევდა.<sup>156</sup>

მკერდს ორდენი დეიკოსა  
და სასახლის კარებში  
ჩაჯდა აკადემიკოსად  
ეს კახელი კამბეჩი.



გიორგი ლეონიძე

## ესეც მეორე:

კახელ გლეხად დაგოგავდა,  
პურს ოფლის ღვრით იძენდა,  
გიგლა იყო, გაგოგლავდა,  
გაგვილეონიძევდა<sup>156</sup> ...  
დააქეს თავი გასაპნული,  
რომ გვირგვინის ლოდინში  
სადმე ვინმეს უკან შეძვრეს  
ცახცახით და ბოდიშით.  
მას ფოლკლორი ჩავაბარეთ:  
იცის ლექსის წამალი –  
ეს იმას ჰგავს, მელას ანდო  
თავქოჩორა მამალი.  
ჩვენ გვეგონა მისი ლექსი  
და ხალხური გვაჭამა.  
თან გვატყუებს: პოეტობა  
გადმომცაო ვაჟამა.<sup>104</sup>  
სიყვარულით თავის თავსვე  
ისლაქავს და ილოშნის.  
კელნერშების ხარჯზე მოსწონს  
ჭამა სასადილოში.

ამ ბოლო დროს დიდებისთვის  
ისე მაგრად იომა,  
ლამის გლეხი ლევანიძე  
დავსვათ ბაგრატიონად.  
გულს ორდენი მიიკოსა  
და სასახლის კარებში  
შედის აკადემიკოსად  
ეს ალაზნის კამეჩი.

\* \* \*

ქურულისათვის<sup>205</sup> ყოველი რედაქცია წიწამურია.  
იგი „კრასინბე“ გადამჯდარი მიდის მყინვარზე.  
ჰაერმსხვრეველით მიანგრევს სივრცეს და  
უხარია,  
იქ დაინახავს შამილს,<sup>255</sup> წიკლაურს, დააჯვამს  
თავზე,  
ეამბორება მოწიწებით თითონ ფიროსმანს<sup>239</sup>  
და თუ „დაეცა, დავარდა ძირს“, იმდერებს  
„ლაშქრულს“.  
სიკვდილის წინ სურს, სადარიალო ააგიროს მან.  
ზურგი აქცია სამშობლოს და ლექსებს  
დაშაქრულს.

## სიმღერა ფართობზე


მოდაზე ნაკერ ფარაჯით  
და წითელ თმების კაშკაშით  
„მნათობში“<sup>181</sup> შემოალაჯებს  
ლექსის გენია მაშაშვილ.<sup>171</sup>

ლევანს,<sup>17</sup> გოგუცას<sup>5</sup> შეუბლვერს,  
შეიხსნის პალტოს ღილებსა.  
ლევანი კუდს არ გაუქნევს,  
მხოლოდ ერთს გაუდიმებსა,  
ააელვარებს სათვალეს,  
მრავალ რედაქტორთ მხილველსა.

გარეთ ხმაური გაისმის,  
სჩანან კავკასის ქედები,  
შვილებს გზავნიან საომრად  
ილიას<sup>289</sup> ქართვლის დედები,  
აქ – მჟავე სიდარბაისლით  
იცქირებიან კედლები.

ალიო კისერმოლერით  
შინაურ რითმებს დაათოვს,  
მაგრამ ეს რითმაც, ოხერი,  
ბოლოს დროს რისთვის დალატობს?..

ფართობო, ოდეს მნათობო,  
ეხლა ბედკულო სანათო!



აღით შაშაშვილი (მირცხულავა)

აკად. მარტინ გარებაძე

\* \* \*

მოტეხილ ტოტჩე შემჯდარა ბულბული.  
ქვეშ შესდგომია ვარლამ ქურული.<sup>205</sup>  
მას, ასქესებულს, სურდა რძე ჩიგის...  
ნაცვლად მიიღო ბულბულის სკლინგი.

II. 36 წ.

\* \* \*

ერთია თეთრი, მეორე შავი. –  
ორივე სანდროს შეურცხვეს თავი!  
(შანშიაშვილგე<sup>256</sup> და ეულგე<sup>102</sup>).

## საცეკვაო ტაშ-ფანდურზე

ქამთაბერის ასელი,  
ჯაფარიძის<sup>308</sup> დასმული,  
პიესაც და ავტორიც  
ორივ თავლაფდასხმული (ტაში!).

### შაირი ძველებური

გგბა სიარულმა დალია,  
სიპი ქვა – წყლისა ჩქერამა.  
ეს ნაგროშვილი გიორგა<sup>190</sup>  
სადისკუსიოს წერამა,  
და გგადი ბიგგას ავტორი<sup>247</sup> –  
ბონენაშვილის<sup>113</sup> ცქერამა.



— 70 —

გიორგი ნატროშვილი

\* \* \*

ეს ნაგროშვილი გიორგა<sup>190</sup>  
ომამდე იყო იორდა.  
ახლა ძლივს დაჩაჩნაკობს,  
მთლად მოეშალა იოგა.

\* \* \*

ყველას ე დიდ კაცები, უღრინავ და ქმენ.  
რა შვაშია მწერლობა და რა შვაში ხარ შენ?  
თუ კაცი ხარ, დრობე წადი, მალე დაგვეხსენ.  
თორემ შენი გადამკიდე, შეგვყრი რაღაც სენს.

\* \* \*

ბერლინი და ბესტაფონი ხომ ორივე ქალაქია?  
ხომ ორივე მწერალია ილია<sup>289</sup> და მალაქია?<sup>236</sup>

\* \* \*

ართხ კოპმენინი<sup>149</sup> ნათქვამი ქართულ-რუსულად 1939 წ.

Есть в поэзии – о, горе! –

აბაშიძე უცებ ორი.<sup>2,3</sup>

\*

Прочитал стихи Ираклия,<sup>3</sup>

Подумал: „не дурак ли я?“

\*

Всевишний Бог велел, не так ли? –

Чтоб Абашидзе был Ираклий.<sup>3</sup>

Зачем же к нам пришел

Еще один – Григол?<sup>2</sup>

\*

Ираклий<sup>3</sup> მწერალი საბჭოთა  
Получил знак почета.

\*

ხარ ბედნიერი,  
როგორც მიღიციონერი.  
მაგრამ, შენ, ირაკლი,<sup>3</sup>—  
დიდი ლაწირაკი.

\*

Шенгелая არი სამი,<sup>168, 260, 261</sup>  
Как им быть, не знают сами.



ირაკლი აბაშიძე

## სიცხის დროს თქმული

პატ და პატაშონს მაგონებს  
პოეტი აბაშიძენი.<sup>2,3</sup>  
თუმც პოეზიას რას მატებს  
მათი სიმაღლე-სიგრძენი?  
პრეზიდიუმში ქანაობს  
ირა,<sup>3</sup> ვით ბობი ჰამაკში.  
უფალო, რად მოგვაქციე  
ამ ოღრაშების ბანაკში?  
რად დაგვიღონე გულები,  
ცოფნეს<sup>82</sup> გმირობით ნალხენი?  
გვანახე ჩვენი მწერლების  
სიწუნკლე-სიჩათლახენი?

## გივი გაჩეჩილაძეს<sup>53</sup>

ჩემო ძმაო, გივი,  
ვაი, როგორ წახდი...  
მთარგმნელობა დაჰგმე  
და პოეტი გახდი.

კაცო, თურმე მგოსანს  
 ნიჭი უნდა ნაღდი...  
 დაუძახე მუგას:  
 „რწყილო, ახტი, დახტი“.  
 აბაშიძე გრიშას<sup>2</sup>  
 თავს ვერ გადაახტი,  
 თითქო ფუნა იყოს,  
 შიგ შუაში ჩახტი.

## გრიგოლ აბაშიძეს<sup>2</sup>

გრიშავ! წამყვან პოეტად  
 გინდა აგვიკაკანდე.  
 შენ ოლიმპი გგონია,  
 თავს თუ აწევ ტრაკამდე.  
 კაცო, შესდექ, ნაწყლია!  
 რად ვერ იცან აქამდე?  
 ან და, შე უბედურო,  
 განა ოლიმპს ტლაკავდნენ?



გრიგოლ აბაშიძე

## **დავითისა<sup>54</sup> და კოლაუს<sup>187</sup> გაბაასება კატეგორიის საკითხებზე**

### **კოლაუს**

კალედან<sup>44</sup> კოლაუმდისინ არცთუ იმდენად  
შორია,  
ცეკაში ნიშნად დაუსვეს მესამე კატეგორია.  
არ დაივიწყეს სოლომონ,<sup>114</sup> მიქელ,<sup>202</sup> ელიზბარ,<sup>111</sup>  
ბორია,<sup>274</sup>  
დავითს კი ჭამა რად უნდა, განა პოეტი ღორია?

### **აქა პასუხი კოლაუსი**

კალედან ჩვენს დავითამდე მართლაც არც ისე  
შორია,  
მოგეხსენებათ, პოეტი დიდი მსუნაგი ღორია.  
პოეტთან საქმის დაჭერა ხათაბალა და შარია.  
ეს საქმე იცის, განსჭვრიტა ეს ყოველივე შ....მ.<sup>257</sup>  
დავითმა ფხალი მიირთვას, კოლაუმ შთანთქოს  
ვარია.  
– ამ ქვეყანაზე თანაბრად, [განა] ნეტავ, ვის  
გაუხარია?

### **აქა პასუხის პასუხი დავითისა**

დავითს კალეს რომ ადარებ, კოლაუვ, ტყვილად  
ირჯები.

ერთ ქვაბში მოუქცევიათ კალე-კოლაუს ნიჭები.  
მახსოვს, ხვიდოდი ამ ქვეყნად მწუხარედ  
დანაღრიჯები,  
ახლა თოფრაკით თან დაგაქვს  
კარაქ-პამიდორ-ბრინჯები,  
დაგაქვს და ტკბილად ღიღინებ, პურ-ღვინით  
გაგიხარია...  
მაგრამ ვაი თუ გაფრინდეს შენი შემწვარი ვარია,  
ამბობენ, ქარის მოტანილს ისევ წაიღებს ქარია.

### **კიდევ პასუხის პასუხი დავითისა**

ფუნაგორისტა მამავ და  
სატირთა ბაირახტარო!  
მგოსანო, ოლიმპებიდან  
პირდაპირ ფლავში ჩამხტარო,  
შენ, ვისაც უპაიოკოდ  
არად მიგაჩნის სამყარო,  
რა გინდა, რას მელექსები?  
გიჯობს ფარ-ხმალი დაჰყარო.  
მერე რა მოხდა – დაგნიშნეს  
მესამე კატედორისტად...  
ფიქრობ, საშობოდ სუფრაზე  
გადააგორებ ღორისთვის  
შეგყურებ პაიოკისთვის  
სირბილით დაღლილს, დაფეხვილს...

და შენს სუფრაზე ვერ ვნახეთ  
თუნდაც ჭინჭრაქის თავფეხი.  
იქნებ მაგ კატეგორიით  
საქმე მივიღეს ფუნამდე,  
კვლავ გნახო დებერტირკაზე,  
ქათამს უკნიდან სუნავდე.

### **აქა მუ-2 პასუხის პასუხი კოლაუსი**

დავით, დამშვიდდი: ნიავი მე ვერ წამართმევს  
ვარიას,  
ჩემი და კალეს დარებით, სჩანს, ერთობ  
გაგიხარია...  
ნუ დაენდები შენს მუზას დიაცებრ  
სუსტ-თავქარიანს,  
შენი ამგვარი ჩერჩეტი ჩვენთვის ყველასთვის  
მწარეა.  
ცხოვრება ზოგჯერ მურაბა, ზოგჯერ კი ცხარე  
ძმარია,  
თუ გსურს, დარწმუნდე – დასუნე უკან გარიყულ  
მარიამს.<sup>50</sup>

მუზამ თქვა: მუდამ მეშლება კალე-დავითის  
კარიო:  
ერთათ ცხოვრობენ მგოსნები მზისა და მთვარის  
დარიო!

ერთათ დამეებს ათევენ პოეზიისთვის მკვდარიო.  
დავითი კალეს<sup>44</sup> შესჩივლებს: ხარ

პოეტ-ცოლის<sup>264</sup> ქმარიო,  
მაგრამ რად დახვალ ჩემსავით ჩამომხმარ-  
ჩამომჭკნარიო.

სჩანს, არ დაგვინდო საწუთოომ და თავტე  
გვაფსამს მთვარეო!

ნეტავ, ვიცოდე, ჭაბუკო, ბედ-იღბალს რათ  
ემდერები?

ტანჯული სახით დადიხარ, ტანჯულად გაიყურები,  
ხან ბესოს-თუქსუს<sup>204</sup> გახედავ, ხან ირას<sup>3</sup>

შეებდურები,  
დახვალ და ბებერ ვირივით ჩამოგიყრია ყურები –  
შენის შეხედვით სუყველას ცოდვით აგვევსო  
გულები!

მესამე კატეგორიამ ნუ თუ ეგ გული დაფლითა?  
ჯერ ტყლაპი უნდა მიირთვა, თუ გინდა გაძლე  
თაფლითა.

შემდეგ ეგების მოგართვან მოხრაკულებიც  
ტაფითა,  
მაგრამ ფათერაკს ერიდე ლუკმების ჩქარი  
ყლაპვითა.

სჯობს, ღვინო ჭიქით მიირთვა, ვიდრე ჩაცეცხლო  
ჩაფითა!

თავზე გვირგვინი რათ გინდა, თუ გასვრილი  
გაქვს ლაფითა?

ვხედავ, რომ შეგშურს, მგოსანო, შენ შენი  
წარჩინებანი,  
მართლაც, თავს ჯიდა დამადგეს, შემასხეს  
დიდი ქებანი,  
ჯილდო მომართვეს ხონჩებით, ჟღერდა ჩანგი  
და ებანი,

ფულით ამავსო ირაკლიმ,<sup>3</sup> მანიჭა მივლინებანი.  
და რადგან ქართულ რითმების, ვატყობ, იწყება  
კლებანი –

უკვე დრო არის, ვიხმარო რუსული სიტყვა:  
ებალი!

არა, სჯობს ფულის მოხვეჭა – ყოველსა  
მოსახვეჭელსა!  
ვინ დაიწუნებს ამ სიბრძნეს უდაოს და უეჭველსა?  
მაშ, რითა ვჯობნით, მითხარი, დედაბერს მატყლის  
მჩეჩელსა?

გამსახურდიას კოწიას<sup>49</sup> – პირის ტრაკივით  
მღმეჭელსა,

ირაკლის,<sup>3</sup> ან ლორთქფანიძეს<sup>162</sup> – მძღნერის  
კევივით მდეჭელსა,  
ან გოგლას<sup>156</sup> – თვისი ულვაშის, როგორც  
უანჩარის მკრეჭელსა,  
შეჯმულსა, თავსლაფდასხმულსა, კაცურ კაცების  
მეჭველსა?

გასრულდა! კატეგორია მინიჭებია ყველასა!  
განგება ანაბდაურებს ამ სოფლათ ჭირთა  
თმენასა!  
ალბათ, შესწყვიტავ ქუჩებში მშიერ ძალლივით  
რბენასა,  
გადაეჩვევი, მგოსანო, ტრაკით კაკლების  
მტვრევასა,  
ისე, ვით ყრმობის ასაკში სავირეს ხელით  
ქნევასა.  
სუკებს და დოშებს იგემებ, იგრძნობ  
გეაღმაფრენასა  
და თუ სიმშილით ისევე მიეცი ცრემლთა დენასა –  
თითი ჯერ ტრაკში იტუცე – მერე გაუსვი ენასა  
და შენი ლექსი მქეხარე ყველას დაუტკბობს  
სმენასა!

## ნატროშვილზე<sup>190</sup>

წინად ლექსი ურჩევნოდათ  
ვალუტას და ბანკის ვექსილს,  
ეხლა, როგორც სუპი „ლაფშა“,  
უმარილო არის ლექსიც.  
და რომ მასის გემოვნებას  
პოეზია შააგუოს,  
რედაქტორმა უსათეოდ  
ლექსმი უნდა ჩააკუოს.



გიორგი ნატროშვილი

\* \* \*

კიჭამ<sup>116</sup> სთქვა – იონას<sup>103</sup> უთქვამსო:

რაღა ჩემზე კრიტიკოსობს ყველა ცრუ და  
ყაბილარი?

ნეტა რაი მეიძიეს ჩემს დრამაში საცილარი?

ვისაც ვჯნიხე ყურიძირში, ვათამაშე შამილაი,  
ქუდის ნაცვლად ბინძურ თავზე დავახურე

კარდალაი.

მე შამილის<sup>255</sup> სისხლი მიდუდს, არ გეგონოთ  
აბდალაი!

\* \* \*

რედაქტორობას<sup>190</sup> „ლიტგაზეთში“<sup>158</sup> დიდხანს  
ელოდა,  
ებრძოდა იღბალს გადატირებულს.  
ეღირსა, მაინც ვერ ისვენებს, სერავს ველოთი  
რუსთავლის გამზირს ასფალტირებულს.  
სიტყვა და საქმე, კოხტა ბიჭი, ქუთეისს დარჩა, –  
„პერიპეტია-სიტუაციით“.  
კლასიკოსები, მფერწაყრილნი, სიკვდილს  
გადურჩენ,  
თუმც დაეტაკა ბევრჯერ ვაცივით.  
ვაჟა,<sup>104</sup> აკაკი<sup>283</sup> ახლა მისი მამობილია,  
სიტყვას იტყოდნენ ჭკვიანს, აზრიანს.  
„გაზეთურობას“ ეწეოდნენ, კერძოდ ილია,<sup>289</sup> –  
საქართველოში ბუმბერაზია.  
მაგრამ კვლავ დასცხებს, მალე ვნახავთ ისევ  
კიოდეს:  
„შეტევა მარჯვნით, შეტევა მარცხნით!“  
რედაქტორობა თუ დასცალდა თვე თრიოდე  
და არ დამთავრდა ველობე მარცხით.

## ლოცვა

ღმერთო, შეუნდე ხელმრუდ იოსებს,<sup>194</sup>  
თავს ჩვენი ლექსით იგენიოსებს.  
ისე გაგქურდავს, არც გაიოცებს,  
კახი გვეგონა, სჩანს მოიოსებს.  
ღმერთო, შეუნდე ტანწვრილ იოსებს,  
თავს რომ ცილინდრით იკურიოზებს.



იოსებ ნონეშვილი

## სიმღერები ირაკლი აბაშიძეზე<sup>3</sup>

1

როცა ქვეყანას კაცი აკლია,  
გრიშაც<sup>2</sup> ის არის, რაც ირაკლია.

2

(ხონელების სიმღერა-პიმნი ირაკლიზე  
მისი მდივნობილან მოხსნაზე).

სასტაიანიე გამითაავდა,  
გამამივიდა ბითურიი.



აკაკი ფადაგიძე

\* \* \*

ეს ფაღავა<sup>237</sup> რა ყოფილა, უნდა შესცე ექვსჯერ  
ნაჩი,  
რადგანაც სურს სამ იოსებს\* თავი უკრას  
ექსტერნაცში.

---

\* სამი იოსები – მჭედლიშვილი,<sup>184</sup> იმედაშვილი<sup>122</sup> და „გიმოთქს  
ლედვის“ ავტორი.<sup>76</sup>

\* \* \*

სამსახურში რომ არ დადის,  
სულ დაყვება კოსტანტილეს.<sup>162</sup>  
თუ მოვიდა, ცხვირს იჩიჩქნის,  
დაჯდება და ხოცავს ტილებს.<sup>111</sup>

\* \* \*

გურიაში დაიბადა  
შეწირული<sup>206</sup> – ღონდლო ბიჭი.  
მუშაობა არ უყვარდა,  
არც სწავლაში ჰქონდა ნიჭი...  
(შემდეგ იქნება გაგრძელება).

## ამონაკვნესი

ორმა პოეტმა ლექსის წერის დროს  
დააჭკნო ვარდი, დასაჯა ია.

რად მიგვატოვეთ ასე უდროოდ,  
ასათიანო<sup>16</sup> და საჯაია?<sup>218</sup>

1940-იანი წლები

\* \* \*

პიესას განა ჯაფა იძლევა? –  
თქვა ბედოვლათმა ჯაფარიძემა.<sup>308</sup>



შიხვილ ჯაფარიძე

## აღ. ქუთათელი<sup>250</sup> – პოეტი

გამეთისთვის ლექსს თუ ეძებ,  
პოეტია თუ გსურს –  
ადექი და შეუკვეთე  
ალექსანდრე თუქსუსს.


ორდენოსნებს თუ ჩამორჩა –  
ხომ დაგიწერს ასეთს –  
წერტილიდან წერტილამდე  
მოგიზრაწავს გამეთს.

\* \* \*

სუყველამ რამე უნდა იღონოს,  
რომ მოაწონოს თავი გიხონოვს.<sup>234</sup>

\* \* \*

გაბესკირია ბოჩია<sup>48</sup>  
რა პადხალიმი ბოშია.  
წკმუტუნებს, კუდს აქიცინებს,  
როგორც პატარა გოშია.  
სხვაგვარად როგორ მოიქცეს  
თავის შესაფერ დროშია.  
ხან კოკელაძის<sup>148</sup> ტრაკშია,  
ხან კანდელაკის<sup>133</sup> პროჭშია.



გიქტორ გაბესკირია

\* \* \*

სიმონეთი ჩიქორთული.<sup>273</sup>

## ძველთაძველი, აწ აღდგენილი

ერთხელ ვიხილე ერთი ქალი ნააკაკარი  
(თურმე ასეთი ქალიშვილიც დაიბადება).  
მან მითხრა: ქალებს აკაკისთან გვიყვარს კაკანი,  
სხვის საბუდარში კი ნამდვილი კვერცხის ჩადება.  
(ეს აკაკი გაწერელიაზეა<sup>55</sup> თქმული).

## პავლე საყვარელიძეზე (პატარაზე)<sup>215</sup>

გამოდგება „ქვა და რკინა“  
მუთაქად და საბნად,  
მაგრამ „მწერლად“ დააწესეს,  
თავს დაადგეს დაფნა,  
ვისაც არ გაქვთ ფეხსადგილი, –  
ან უკვეა სავსე, –  
ადექტით და მას დააჯვით  
დაფნით შემკულ თავზე!



პავლე საყვარელიძე

\* \* \*

რაკი თავს გრძნობს ბუ ნებრივად,  
ლექსებსა სწერს ბუნებრივად.  
(ეს უკანასკნელი მოდის რითმაა!).

\* \* \*

გამოგნახეს, ამოგთხარეს  
ბარითა და წერაქვითა.  
ვინ იყავი, სად იყავი,  
რა იყავი, სერაფიტა?<sup>219</sup>

## ვეშაპელის<sup>107</sup> ქვრივი<sup>296</sup> და სოსო მამულოვი-გრიშაშვილი<sup>76</sup> ბათომში

ბათომში ვართ. ტალღებს ზღვაზე  
გაუმართავთ კრივი.

გრიშაშვილს კი უწევს მკლავზე  
ვეშაპელის ქვრივი.

ქვრივის ჟინი ამ მეტრაკეზ  
მაინც ვერ გაჰკურნა...  
ამას უცქერს ყოველივეს  
ვეშაპელის ურნა  
და... გრძელდება ტყნაურობა,  
ვით ქორწილში ბურნა.



იოსებ გრიშაშვილი

## შეჯამებული ფუნქციორია

(ბ. ქლენგს, <sup>204</sup> კ. ლორთქიფანიძეს, <sup>162</sup> ვ. წულუკიძეს, <sup>288</sup>  
შ. რადიანს, <sup>206</sup> ბ. ბუაჩიძეს, <sup>45</sup> გ. ბუხნიკაშვილს, <sup>46</sup>  
კ. კალაძეს, <sup>131</sup> ბ. ჩხეიძეს, <sup>274</sup> ს. წვერავას <sup>285</sup>)

მათ აამყრალეს და ააქოთეს  
ლექსით და პროტით ჩვენი პარნასი.  
ამათ, მკითხველო, როგორც გინდოდეს –  
გინდ დააკუე და გინდ დააფსი!..



წინ:

შამშე ღებავა,  
სანდრო ეული  
უძაბ:  
ბეტრე სამსონიძე,  
ბენიტო ბუაჩიძე

## მუნასიბად თქმული ერთგან

რას გვერჩოდით, დამჯდარიყო მისთვის ეტლის  
კოფობე –  
სასახლეში მოგვიყენეთ, გაგვიეფის კოპობეთ.  
მწერლობა სურს, იჭინთება ძველი ბუასილივით, –  
არაფერი გამოუდის, კაცი დნება ცვილივით.  
კრიტიკოსობს ივანიკა წულუკიძის<sup>288</sup> ჯიბრაზე,  
ვაჟკაცია, როგორც თაგვი, ჩვენი გოგი ჯიბლაძე.<sup>310</sup>

\* \* \*

მწერლობა მიმნად მე დამისახავს, –  
ერთად გვბეჭდავენ მე და მისაკას\*.

## მკითხველისაგან

მეჭორ-მედრამე-მემითე  
ატირდა ლევან გოთუა:<sup>68</sup>  
„რატომ არ დადგეს „დავითი“,  
ნახეთო, ურიგო თუა.“



ლევან გოთუა

\* მისაკა – მწერალთა კავშირის დარაჯი.

\* \* \*

ღმერთმა დასწყევლოს წვერავა,<sup>285</sup>  
მაგი გოგლამდეც<sup>156</sup> ვერ ავა,  
ლექსებით დამასნეულა –  
თუ მოგკვდი, მისი წერა ვარ.

\* \* \*

არ დაგინდობს დათიკო,<sup>54</sup>  
გინდ ქალივით ენაზე.  
ბესო ჟღენტის<sup>204</sup> არ იყოს, –  
მძღნერი ადევს ენაზე.

\* \* \*

მწერლობაში მოვიდა,  
მაგრამ ქე დგას იქავეს.  
თუმცა მკვლევარია<sup>55</sup> და  
აქებს საბას<sup>198</sup> იგავებს, –  
ეს ცვედანი, უტვინო,  
მგონი – მოიმიქავებს,<sup>178</sup> –  
აბა, რატომ არის, რომ  
ხშირად საჯდომს იქავებს?

\* \* \*

ღუნიბიდან გადმოხედა  
რედაქციას ზერელეა,  
რომანისტი გამქაფველი  
კაქი გადამწერელია.<sup>55</sup>



ქოლაუ ნადირაძე

## გამოცანა

ქვეყნად არ ჰყავს მეგობარი, არც ნათესავი,  
მარტოდ მარტო დატანტალებს ვირის ყლესავით,  
უყვარს ვარდი, ქორფა გოგო, შეშა კიტრები,  
თვალებიდან ცრემლი სცვივა, როგორც  
სკინტლები,  
რომ შეხედო, თითქოს კაცს ჰგავს, ხურავს  
შლიაპა,  
სინდის-ნამუსს იგი ჰყიდის ძალგე იაფად,  
სულელ ფუნაგორიების არის მლექსავი,  
ვერ იცანით? ჭკვიანია ვირის ყლესავით.  
(არის კოლაუ ნადირაძე<sup>187</sup>).

\* \* \*

დურაკის ნაცვლად მოსულა დურაკ –  
ლიტერატურის პროკურატურა.

\* \* \*

განა არ ჰქონდა ურალს მეტალი?  
მაგრამ რადგანაც იყავ დედალი,  
აი, მედალი ტებე ნე დალი...<sup>204</sup>

\* \* \*

ჩვენში ასეთი წესია, –  
სერგო<sup>294</sup> შეადგენს ჯერ სიას,  
ვინ ვისტე უკეთესია.  
სიტყვას მიცემენ ბესიას,<sup>204</sup>  
მერე იწყებენ სესიას.

\* \* \*

პოეტებმა რომ მიიღეს  
მივლინება ნაგომარში, –  
ყველამ ერთხმად დაიძახა:  
„რესტორნისკენ, შაგომ მარში!“

## გ. ქიქოძეს<sup>248</sup>

ბურგიელიძეს ჩამოგავს  
სიბრძნით და მჭერმეტყველობით.  
კავშირში ნაბად დაგოგავს,  
სკეპტიკოსია ხელობით.

ცოცხლებზე ვერ ათქმევინებ  
სიტყვებს ცოცხალს და გამართულს.  
ამტკიცებს: „ქრისტიანობა  
მოჰყვა ეპოქას წარმართულს“.

სწერს გადაღეჭილ სტატიებს,  
ვინ იცის, რისთვის იწვალა?  
რაც შეეხება პარტიებს,—  
სუყველა გამოიცვალა.

კაცმა არ იცის, რა უნდა,  
რა უყვარს, რას ეფერება.  
ასე დაბერდა, გახუნდა  
და დარჩა დამჭკრნარ ყ....ბად.

გერთნტი ქიქოძე



\* \* \*

ლეონიძის<sup>156</sup> როხროხი

ფუჭი ლაი ლაია...<sup>294</sup>

\* \* \*

ოდეს 1952 წ. დემნას<sup>260</sup> პალტო მოპარეს სასახლეშიგან,  
რიფსიმებ<sup>278</sup> გარდერობიდან და გიორგი ლეონიძეზე<sup>156</sup>  
თავისი „პოლუმუბკა“ ათხოვა, რომ სიცივისგან არ  
გათომილიყო, მის მუნასიბად გიორგი შაგბერაშვილმა<sup>258</sup>  
ეს შაირი გამოიქვა:

სანამ ახალ ბამთრის პალტოს  
შეუკერავს არტელია,—  
დემნა გოგლას პოლუმუბკით  
პოლუპრედსედატელია...



აიგანზე: გიორგი ლეონიძე, სერგი ჭილაძია, ირაკლი აბაშიძე.  
ეზოში: ?, რიფსიმე, დემნა შენგელაძა, შუხრან შაჭაფარიანი,



## განთქმულია ქვეყნად

განთქმულია ქვეყნად ლეონიძის<sup>156</sup> კვებნა,  
შალვას<sup>1</sup> უდარდელობა, საშას<sup>2</sup> ქუთათელობა.  
პაიჭაძის<sup>200</sup> ბუცი, დემნას<sup>260</sup> ფაციუჟუცი,  
მაშაშვილის<sup>171</sup> მდივნობა, ილოს<sup>183</sup> შერმადინობა.  
აბაშიძის<sup>3</sup> მეფობა, სრული უიმედობა.

განთქმულია ნავსი, კლდიაშვილის<sup>146</sup> მსგავსი.  
ფასი ლორთქიფანიძის,<sup>162</sup> ილოს კითხეთ, მან იცის.  
კაკაბაძის<sup>126</sup> ხუმრობა, ქუჩიშვილის<sup>252</sup> სტუმრობა.  
ქიაჩელის<sup>247</sup> გვადი, კაჭახიძის<sup>138</sup> კვატი.  
მამა ღმერთის წყალობა, ბობოხიძის<sup>44</sup> გალობა.  
კონსტანტინეს<sup>49</sup> მარჯვენა, იაკინთეს<sup>157</sup> გაჩენა.  
რ. გვეტაძის<sup>59</sup> ჩოჩორი, აბაშიძის<sup>4</sup> ქოჩორი.

(კარლოს<sup>131</sup> ნათქვამი)

---

1. დადიანი;<sup>81</sup> 2. ქუთათელი;<sup>250</sup> 3. ირაკლი;<sup>3</sup> 4. გრიშა.<sup>2</sup>




გიორგი შატბერაშვილი, რეგაზ  
მარგაანი, ვიქტორ გაბეჟერია,  
ალექსანდრე ქუთათელი, სანდრო  
შანმიაშვილი, ბესარიონ უდენტი,  
აქაგი ბელიაშვილი, გიორგი ნატ-  
როშვილი, სერგო კლდიაშვილი,  
სიმონ ჩიქოვანი, შალვა რადიანი,  
კარლო კადაქე, მიხეილ ჩიქოვანი,  
გალაგტიონ ტაბიძე

\* \* \*

მოქეიფეთა ერთმა ჯგუფმა ერთ-ერთ კრებაზე ლექსად  
მისწერა გ. შატბერაშვილს:<sup>258</sup>

ბელაგიანს გეველრებით უბელაგონი:  
თუ ხარ, ძმაო, შენი ჯიბის გუბერნაცორი,  
კრების შემდეგ გვანახულე რუბენ ბაგონი.\*

გიორგი შატბერაშვილი



## პაროდია

მე, ირაკლი აბაშიძე,<sup>3</sup>  
ამ ბოთლების ქვეშე ვწევარ,  
რომ შემეძლოს ამ სუფრიდან,  
ძმებო, მხრების წამოწევა,  
მე სიცოცხლეს ხელმეორედ  
შევწირავდი დვინის მხარეს,  
შევწირავდი ხაჭაპურებს,  
დღეს რომ გულზე მომაყარეს.

\* რუბენი – რაჭველი ოფიციანტი რესტორან „დარიალში“.

ვინც დამხედოთ, გადაეცით  
საქართველოს ძმებს და ლოთებს,  
რომ მისი ძე – აბაშიძე  
აქა ვცლიდი სავსე ბოთლებს.  
არ ვუშვებდი ამ სუფრასთან,  
ვინც რომ არ სვამს, არა მსმელებს.  
მე სუფრაზე არა ვწევარ,  
აქ თამადად დამაყენეს.  
და ვუბარებ ყველა ქართველს,  
მისი წმინდა ვალი არი,  
მოკვდეს, მაგრამ ყანწით შესვას  
და იმდეროს თარალალი.

\* \* \*

ალიომ<sup>171</sup> გადინადირა მთანი მაღალნი კლდისანი,  
მიადგა „ხელოვნების“<sup>298</sup> კარს, კბილნი გალესა  
მგლისანი.  
გეგმას გაკრა და გამოკრა, – წიგნები არის  
სხვისანი.  
„ჩემი სჯობს წიგნის დაბეჭდვა, აგრეთვე ჩემი  
მმისანი.  
თუ მოყვარესა არ არგე, სხვა რაა ჩვენი მიზანი,  
ეს საქმე ასე იქნების, ამას არ უნდა მისანი“.

\* \* \*

ოდეს მზეცხელი იყო და გ. შატბერაშვილი<sup>258</sup> ყინვას ნატრობდა, თან ვალებით იყო დაფვირთული, მაშინ აღმოთქვა ეს მუნასიბი თვითონ მან გიორგიმ:

ჰაი, გიდი, შატბერაშვილო,  
ბოლო დროს დავალიანდი,  
იშკილებიდან დავარდი,  
გალადოავალიანდი!<sup>19</sup>

17/VII-56 წ.

დროშა



\* \* \*

„ბემელს“ რუსთველი ამშვენებს,  
ქუთაისელთა საელჩოს,  
ოთარის<sup>275</sup> რა დაამშვიდებს,  
ლამის ღვინოში დაიღრჩოს.

ამიერიდან იმერი თავის ქოჩორით გამოჰყო,  
იმდენი იინგრიგანა, თავი „მნათობში“<sup>181</sup> ამოჰყო.  
ამ კაცის საქმე მაკვირვებს,  
გული ჰქონია ქვიტკირის,  
თავისთვის ვერ მოუვლია  
და საქართველოს მისტირის.

\* \* \*

ახალი მოდა მოსულა –  
აბაშიძე გრიშა,<sup>2</sup>  
ნეტავ აქამდე სად იყო  
ნუთუ ეხლა იშვა?  
(პოემის დაბეჭდვის შემდეგ).

„ნიანგში“<sup>191</sup> რომ დაუნიშნავთ  
ეხლა ჩვენი გრიშა,  
ახალ ხუმრობას მოვისმენთ,  
აწი რაღა გვიშავს?  
პრემიაზე წარადგინეს  
აბაშიძე გრიშა –  
მაგრამ პრემია არ მისცეს,  
ქალს კი ირთავს, ვიშ!.. რას!..

\* \* \*

რუსებმა პოლუმორდვინოვი<sup>191</sup> ჩვენ გამოგვიგჩავ-  
ნესთ, მორდვინოვი<sup>182</sup> კი თვითონ დაიტოვესთ.

\* \* \*

პოლუმორდვინოვი – პოლუზედგინიძე.<sup>191</sup>

\* \* \*

სასახლის ცისფერ დარბაზში  
აღარ გის აწ ეულია.<sup>102</sup>  
ამბობენ: ან ავად არი,  
ანა და „აწეულია“.  
ამიტომ გენოს<sup>244</sup> ულვაშიც  
აწ უფრო აწეულია.



რედაქცია: 1. ხილოვან თოდრია, 2. სანდრო ეული, 3. ილია ხინგელი, 4. სიმონ წეველი, 5. ხარიტონ გარდოშვილი. უახლოესი თანამშრომდები: 6. გახილ გორგაძე, 7. ნოე ზომლეთელი, 8. გრიგოლ ცეცხლაძე, 9. იოხებ გრიშაშვილი, 10. ხიკო ფაშალიშვილი, 11. ალექსანდრე მაღულარია. მხატვრები: 12. დავით ნაცვლიშვილი, 13. თხევარ შმერლინგი, 14. ლადო გუდიაშვილი, 15. სამსონ ნადარევიშვილი, 16. გ. თომექ, 17. გასილ კროტკოვი, 18. ი. ქორქაშვილი. გამომცემლის გამგე 19. უ. ჯაში.

\* \* \*

ცეცხლაძე<sup>277</sup> იჯდა ბათომს, ფლატესა,  
და სთხზავდა ლექსებს – მჩატე-მჩატესა...

## ახალი – რომანსი

ფოთის აქეთ, პორტის ხიდზე...  
ჩვენ ვიხილეთ ბობოხიძე<sup>44</sup>  
(ოცნებობდა იგი სკინტლზე).  
ევალიპტზე იჯდა ტრაკით,  
შთაგონებულ მგოსნის სახით.  
„ვაშა პოეტს!“ – შემოვმახეთ  
(ფოთის ხიდზე – პორტის აქეთ).

## ძველებური

ბარიკადებს არ უგანდაგანა,  
უყვარდა იმას ბობთან სირბილი.  
გავსილი ჰქონდა ფინთით ნაგანა  
და მიაფოვა კეკლუცი ლილი.

ქედმაღალი კალე<sup>44</sup>  
მიარღვევდა რკალებს.  
მედგარი და მტკიცე,  
ბრძოლებს შენაფიცი.

## სასიხარულო ამბავი სასახლეში დილის სიფთაზე

დღეს დილით არც კი ვიყავ მოსული, –  
ძირს გაჰკიოდა ჩვენი ილია,<sup>301</sup>

რომ მაკარონის სახით მოსულა

კრუპეული და კვერცხის ფხვნილია.

მიტროც<sup>36</sup> ამოწმებს: დიდებულია,


ბებერი დედლის დადებულია!

## გამოცანა

ქე მიხვდებით, ვინც იცით:  
ერთ დროს გახლდათ კრიწიკი;  
პრობა დაუქარგია  
ახლა ნარემარკალი...  
ომში დაუკარგია  
საწყალს ცალი ბარკალი;  
აქაც არი –  
იქაცო...  
ნაკაცარი  
კიკაცო!<sup>190</sup>

## ასათიანური<sup>16</sup>

რა ოსტატი ხარ და რა მწერალი,  
მაგ ავტოს თავი თვარ ანაცვალე.  
თავზე გეხურა მრუმე ცარგვალი,  
და ახლა თუმურ ქუდში გასცვალე.  
სახკომატებში<sup>217</sup> რომ დაცანცალებ,  
რა დაგიშავეს, რისთვის აწვალებ?  
ლიტფონდს<sup>159</sup> მოსთხოვე ლატიფუნდია, –  
ქვიშხეთს, კოჯორს თუ საგურამოში.  
რაც უნდ იჭინთო, გამსახურდიავ,<sup>49</sup>  
კოლხიდასავით მაინც ამოშრი.  
ხომ მოგცეს ავტო? – ჩაჯექი მარტო,  
რაღა გამწყრალებს, სად პრაწავ თვალებს?!



კონსტანტინე გამსახურდია

## პა, თაიგული – ერთად შეკრული

1. აფხაზეთის ცნობილი კრიტიკოსი და მოაზროვნე – ბესარიონ ლაყბობა (ბ. ქლენჭი).<sup>204</sup>
2. საფრანგეთის განთქმული რომანისტი – მარკიზ აკუე დე კუა (შ. დადიანი).<sup>81</sup>
3. ჩინეთის გამოჩენილი ლირიკოსი – ფუი შე ცუანა (ვ. გაბესკირია).<sup>48</sup>
4. აბისინის პოეტი-ლაურეატი – დათიკო რაცუა (დ. გაჩეჩილაძე).<sup>54</sup>
5. იაპონელი ნოველისტი – მეპრო(ზე) ნი-კო-უს უდ-გე-ბო-და (ნ. ლ.).<sup>163</sup>
6. მინგრელთა კრიტიკოს-მაძიებელი და მკვლევარი – ჭუჭუ წვრილია, იგივე ფორმალისტი რუსთა და ქართველთა – კაკოით უტვინიანოვი (აკ. გაწერელია).<sup>55</sup>
7. იტალიის პოეტი, ფორმის წვრილოსტატი – კარ-ლოს პირტრაკა (კარლო კალაძე).<sup>131</sup>
8. ღოქტორი ცრუპლატონნოლოგიისა, მაგისტროსი ჭოროლოგიისა და ბოლტოლოგიისა – პატენი კეშ-ლერ თომაზო ბორი (კეშელავა პლატონი).<sup>143</sup>
9. ლათინთა ნოველისტი – სერიო ცუინი (სერ. კლდი-აშვილი<sup>146</sup> ან შ. ჩარკვიანი<sup>265</sup>).

10. მადამ ბოვარის<sup>164</sup> ფერცხალი – მგოსანი ბანოვანი მარიანა მიმიცია (მარიჯან).<sup>169</sup>
11. რომანისგი და ნოველისგი ძველი ხონიდან სიმეონ სკოტ პირუტყვა (ს. წვერავა).<sup>285</sup>
12. რემინელი კრიტიკოსი – დავით გავნესკუ ფინთესკუ.<sup>54</sup>
13. აფხაზი პიიჭი – ტიციან ტრაკბა (ტაბიძე).<sup>232</sup>



14. ქმოსანი (თუ მგოსანი?) – სიმონ მეჯმია, იგივე სიმეონ გონდონი (ჩიქოვანი).<sup>273</sup>
15. შეა ვოლგის პოეტი – გრიგოლ პიტლინი.<sup>277</sup>

16. ამერიკიდან ჩამოსული ოჩერკისტ-პოეტ-პროგა-იკ-კრიტიკოსი – ნიკაპტონ სკინგლერ (მიწიშვილი).<sup>180</sup>
17. ირანელი მისტიკოსი და ვირიყლოსი – იბნ-ალა-ფინთოუს (მაშაშვილი).<sup>171</sup>
18. თურქეთის ბრძენი – გრიგოლ ყვერიძეი.<sup>156</sup>



**მიხეილ ჯაგახიშვილი**

19. უკრაინის მწერალი – მიხას პიზდუხა (ჯავახიშ-ვილი).<sup>304</sup>
20. Знаменитый траковед – Семен Мимѣвели (ົງ-ງෙල).<sup>284</sup>
21. ქართველთა სასიქადულო მვილი, ცნობილი მი-

ნეტისტი, ბალერინა და პორტრეტისტი – შალომ თხლეუემ (რადიანი).<sup>206</sup>

22. საცოდავი შესტიდესიატნიკი – იოვანე ლელო-ლუბოვი (წულუკიძე).<sup>288</sup>

23. ასირიელი მეხოტბე – ერაყლე სარგადანაყლაპი (ირ. აბაშიძე).<sup>3</sup>

24. კახელი განმქიქებელი, ისტორიის მამა და კრი-ტიკის ქარცეცხლი – გეურჯ ბრანწევს (ნატროშვილი).<sup>190</sup>

25. ფუტბოლისტი და ლელობურთელი – ჭელიოშა დე ბარძაყი (ჭეიშვილი ალ.).<sup>291</sup>

26. ქართული რეპერტუარისა და სანახადობის უფ-როსი, კრიტიკის ლიმიტი ბენა ბრეიია (ბენაშვილი).<sup>36</sup>

27. ნაფიცი რეცენზენტი ადგილობრივი – ერემ ცვატ (ერ. ასტვაცაცუროვი).<sup>18</sup>

28. კახთა მეფე-მგოსანი, ალაზნის ლომი – სანდრო პროჭიაშვილი (შანშიაშვილი).<sup>256</sup>

29. ავლაბრელი პოეტი – ნიკალა ფეხსალაგოვი (კო-ლაუ).<sup>187</sup>

30. რუსკი ვირტუოზი – პავლო გავნოხვატოვ (პაოლო იაშვილი).<sup>121</sup>

31. ფანსტატიკოსი – ქან ცუელოს (ივ. ყიფიანი).<sup>254</sup>

32. ლიმპანსკი მეტრ გრანდ მიგელ დე თერჯოლეს ი ტყანსე (მიქ. პატარიძე).<sup>202</sup>

33. ნაგიძ ციკმეტი – ნაგი კილასონია.<sup>144</sup>

\* \* \*

სიმონ ჩიქვანის<sup>273</sup> მოსკორილს,  
ლექსად ასაღებს მოსკოვი...  
პრემიის მიღების გამო.

\* \* \*

გომბორა გოგლა<sup>156</sup> დაათრო  
ჭინჭრაქა ჭილაიამა.<sup>294</sup>  
შავი ულვაშის ცმაცუნით  
გამოუთხარა „იამა“,  
თავზე წაადგა ირაკლი,<sup>3</sup>  
პანდური ჰკრა და იამა.

ესე ამბავი გალექსა  
მარგველაშვილმა იამა.<sup>167</sup>  
შემდეგ ქალაქში განავრცო  
ალიო ადამიამა.<sup>8</sup>

1954 წ. გამაფხული



გია მარგველაშვილი



\* \* \*

რაზისკალი  
პროზის კალე...<sup>44</sup>

დ. გამარჯვილაძის<sup>54</sup> მიერ დემნა შენგელაიას<sup>260</sup>  
და ჯიბუტის<sup>311</sup> შეტაკებაბე თქმული.

1954 წ. აპრილი, პლენუმი

\* \* \*

გიორგი როხროხაძეა<sup>156</sup>  
ფუჭი ლაი ლაია.<sup>294</sup>

\* \* \*

ამას ამბობდა ნაჩინაიუში:  
დედავ, გამიშვი საჭილაოში,  
თორემ ამდენი შემოტევისგან  
ლამის გამიჩნდეს ნაჩში ნაოჩი.

ნე გავარიტე პრო ჭილაია,<sup>294</sup>  
ისიც კი იცის, პროჭმი რაია.

კარლო<sup>131</sup>

1954 წ. გამაფხული, 5 აპრილი, პლენუმი

სერგი ჭილაბია



\* \* \*

სერგო ჭილაძა.<sup>294</sup>

\* \* \*

ჭილაძე,<sup>294</sup> გაიძვერა,  
წელს გაგვიძლებ, გაისს ვერა!

\*

როგორც მცირე გირა ყლის, —  
დაეკიდა ირაკლის.<sup>3</sup>

\* \* \*

კაჭახიძეა<sup>138</sup> პოეტი, ჩუმი, წყნარი და ბუნჩური...  
 მისი მუზაა — ბობები, უპრეტენზიო მუჭური,  
 დასწერა: ჯიხაიშის ცა ეპოქის ლივლივიათ...  
 მიყვარდა კერძო საიხვე და ჩუმი ციცუნიათ.  
 სულ დადის მარგოყლესავით, არავის  
 მიეგმასნება...  
 შემდეგ სტრიქონში რითმისთვის ვიხმაროთ:  
 „ვიეტნამს წებავს“.

\* \* \*

მერი კუილაძე – გ. მერკვილაძე.<sup>174</sup>

\* \* \*

კოლწევრმა უთხრა კოლწევრსა,  
მოგიტყნამ ვიქტორ გოლცევსა.<sup>70</sup>

ეს ნიკას<sup>6</sup> რითმებია.

1951 წ.

## ანონიმური

თუ სიმონთან<sup>306</sup> გამსახურდი,  
გაქანდები, კოსტა,<sup>49</sup>  
და ჩადგება რიგში  
აკადემიკოსთა.

თუ არა და – გერონტივით<sup>248</sup>  
დაგჭირდება მოცდა.  
ასე იცის სამსახურმა  
აფხაზთა და ოვსთა.

\* \* \*

იანვარსა და ივლისში  
კონსტანტინე<sup>49</sup> ბის ვილისში,  
ხან გაგრას წაგრიალდება,  
ხან დაფლასუნობს თბილისში,  
ვინ მიაშავა მანქანა  
მაგ ქარაქუცა ვირიშვილს?



აბანი მ. გ. ვ.

ამა ვიცხულ, ხახოთ მათ ვა 3/4 ჯილდური  
გუნი ზოგ მარ მავრო სუსტება  
სუსტება გუნი უმინდონ მავრო! 3  
ჩა 3/4 მა ვიცხულ

ვი კაცო ვ.

კონსტანტინე  
გამსახურდია

## სოკო-ცუანას

სოკო-ცუანა არს სოკო მყრალი  
ფუნასა ბედან ამოხული...

ქართული ლექსიკონი

მეც გავიგონე ეგ შენი ლექსი,  
მაგინებელი და გესლიანი.  
მაგრე შეჰყეფდა კბილების ღრჭენით  
ბესიკს<sup>40</sup> ჭაბუა ორბელიანი.<sup>197</sup>  
შენც, როგორც ჭირი დამემართები,  
მაგრამ გინებით ნიჭს ვერ შეიძენ.  
ხარ წერა-კითხვის უცოდინარი,  
ო, ჩემთ სიმონ ბურგიელიძევ!  
ხბოსავით სველი და დავარცხნილი  
თავი კრიტიკის ქვეშ მოათავსე.  
ბესარიონის<sup>204</sup> ენით ასლექილ  
ბანალს იმშვენებ ბანალურ თავზე.  
შენ, ქუჩა-ქუჩა ყიალის შემდეგ,  
ყოყლობინობით იმთავიდანვე  
შემოდგი ფეხი და მწერლობაში  
შენ ფეხის სუნი შემოიტანე.  
შელიმ<sup>259</sup> თუ ლექსით უკვდავყო მერი,  
და ლეონარდომ<sup>155</sup> კი – ჯიოკონდა, –

სიმონ ჩიქოვანს<sup>273</sup> ლექსების თემად  
ჩემი მსუქანი დუნდული ჰქონდა!  
პოეტო, გმადლობ უკვდავებისთვის,  
და გაგახაროს ამ მაგალითმა:  
ყური დაადევ, მაშ, ამ უკანალს,  
რომ მოგასმინოს რითმაზე რითმა!  
ძროხის შარდის და ფუნის პოეტი  
სულ მუდამ ახლო იდექი ტრაკთან.  
და შენი ენა იმათბე მყრალი  
ახლა ბინძურად ალაპარაკდა.  
შენს ჩაყვითლებულ კბილებს ეტყობა,  
რასაც მიირთმევ ყოველდღე, სიმონ!—  
ნატრულობ – ტრაკი სხვა პოეტებმაც  
ტიციანივით<sup>232</sup> რომ გაისივონ.  
წიგნად აკინძულ მაგ შენს ნაგავში  
სოკო-ცუანას რომ გაეხარა,—  
ო, სიმონ, სიმონ, არ იქნებოდა  
შენზე ფუყე და შენზე მკვეხარა.  
ჯერ კუდის ძირში მუცელგამძლარი  
და მერე რქაზე მჯდარი თამამად,—  
ყანიდან ხარებს ჩამოყვა ბუზი  
და გლეხებს უთხრა შენისთანამა:

„ხომ დავაჩინე აზრთა ოქმები  
 ტიალ მინდორებს, საბრალო გლეხო?“  
 ხარს გაეცინა მისი ბზუილი  
 და გლეხს სიცილად სულ აღარ ეყო.  
 სოკო-ცუანას დაგადგი ფეხი...  
 გასკდი, ამყრალდი და გაჰყევი ქარს!  
 ამაზე მეტი რა შეგაგინო? –  
 შენი ლექსების ავტორი ხარ!..

### **მინაწერი შემდეგ:**

შეგჭამდი, მაგრამ გული მერევა  
 და შენს ხელობას როგორ მივმართო?  
 ეგ არი შენი ბედნიერება,  
 რომ ჩიქოვანი მძღნერი ხარ მარტო!\*

\* \* \*

გაბისკირიას<sup>48</sup>  
 მამის ცხვირი აქვს,  
 ამისულაშვილს<sup>12</sup> –  
 მამის ულვაში.



ვიქტორ გაბეგინია

---

\* დაწერილია ს. ჩ-ს<sup>273</sup> ლექსის პასუხად.

\* \* \*

ირაკლი აბაშიძის<sup>3</sup> უკანასკნელი ლექსი, წარმოთქმული  
და გამოთქმული მის მიერ, როცა ის იჯდა ტრამვაისა  
შინა ა/წლის ? ნოემბერს...

„ორივ მიყვარხართ:

შენცა და მეცა...

მაგრამ მე თვითონ

სეროჟამ შემცა!“

ეს უფელობის დროსაა ნათქვამი, როცა თვით ჯიბეცა-  
რიელი იყო და ორ ქალს ერთად ეარმიყებოდა.

სეროჟა – უფელობაა.

1950 წ.

\* \* \*

გვეტაძის<sup>59</sup> მუზა ვირია,

ოცნება დაუზიანდა.

პოეზიაში რაჟდენი

ცოლ-შვილით შემობბრიალდა.

დაწერა ნოდარიადა,

დაწერა რამაზიადა.

ახლაც დგას ვირის ყლესავით

და იყურება ბვიადად.

\* \* \*

ბესარიონ დონქოვანი...<sup>204</sup>  
თინათინ გაედენთილია...<sup>97</sup>  
ბესო ბესიფსია ხანდახან... (იხ.)

## ნაწყვეტი დაკარგულიდან


მაშინ, როცა ქართველ მწერლებს  
ურისხდებათ ღმერთი,  
სამდივნოში თავს წამოყოფს  
ბესიკონა ჟღენტი...<sup>204</sup>

\* \* \*

ჩვენი ალექსა<sup>71</sup> დადის ყოჩივით,  
ტვინში ბნელი აქვს ბანგის პროჭივით.

\* \* \*

გომიაშვილო ალექსა,<sup>71</sup>  
შენს კაბინეტში მამეფსა.  
აქამდის ბლომად გიფსი მე,  
ახლა მოგიჯვამს რიფსიმე.<sup>278</sup>



ალექსი გომიაშვილი

\* \* \*

პოეტების ხმა მოისმა:  
„გვაგინებენ, ეს წესია?  
უკან უნდა ამოისვა  
ბესო ქლენტის<sup>204</sup> რეცენზია!“

\* \* \*

გაბოზებულა საწყალი  
ბელიაშვილი აკაკი.<sup>34</sup>  
რუს პროსფიტებებს ასწავლის:  
— ცკალში კიკინებს ბაკაკი.



აკაკი ბელიაშვილი

\* \* \*

გაუნათლებელიაშვილი.<sup>34</sup>

## საშა ქუთათელი<sup>250</sup> მიქელ პატარიძის<sup>202</sup> ბინების მშენებლობაზე

პრეისტორიული ბალადა

მე, სამწუხაროდ, ვერ მოვხვდი  
ამ „კამედიის“ თამაშში.  
შ. დემეტრაძემ<sup>90</sup> მიამბო,  
უნდა ვერწმუნო ამაში.  
სახელგანთქმული კაცია  
სუფრაზე, სმაში, ჭამაში...  
განგებამ ამოაშენა  
ღვინისთვის დიდი ჭა მასში.

თურმე, როდესაც მიქელმა  
მიხიკ-მოხიკა ფულები,  
არ დარჩა „უჩრეკდენია“  
ტფილის-ქალაქში სრულებით,  
მოჯღანა მაიაკოვსკი<sup>165</sup>  
და ჰერედიაც<sup>99</sup> შებილწა,  
შეპყარა ერთ დღეს ცოლშვილი  
და გულმხურვალედ შეპფიცა:  
„საცხოვრებელი სახლისა  
უნდა დავიწყო შენება.

მიქელის ბინა იქნება  
ტფილის-ქალაქის მშვენება.  
თვით ჰოთიკა და როკოკო  
მასთან არ მოიხსენება“.  
ეს, თურმე, ღმერთო, შეგცოდვ,  
რაჟდენსაც<sup>59</sup> ასე ენება!

ასე, ამრიგად – მიქელმა  
მაღალი ღმერთი ახსენა,  
ფიცარს – ფიცარი დააკრა,  
აგურს აგური აშენა.  
ზოგისთვის თავად იშრომა,  
ზოგიც ასწია მთავრობის,  
ზოგიც ბორჯომში იშოვნა  
სომხებთან მამათმავლობით.

და ასე დიდხანს აშენა  
მიქემ ფიცარბე – ფიცარი.  
გ. ლეონიძის<sup>156</sup> გამოთქმით:  
შერწყმული-შენამტკიცარი.  
ბოლოს გამოჩნდა ბუხარი,  
ვით კეშელავას<sup>142</sup> ბოხოხი.  
ატყდა ოჯახში ყიჯინა  
და სიხარულის „ოხ-ოხი“.

უმეხილეოდ ხეხილი  
არ გამოდგება ხეხილად.  
საჭირო იყო, შენობა  
სპეციალისტსაც ეხილა.  
სულ ერთი იყო: პირადად  
პეტრეს, პავლეს თუ ცოტნესა...  
მაგრამ კი აუცილებლად –  
ბერძნული სტილის მცოდნესა!

ამ მომენტიაც მიქელმა  
საქმე იმგვარად დაშანსა,  
მშენებლობაზე მოწვევა  
არგო ქუთათელს საშასა.  
იმ დროს ფილისის ქუჩებში  
ტაქსი ძალიან გახშირდა.  
საშაც ეწვია მიქელსა,  
ფეხით კი არა ტაქსითა.

და მიულოცა მიღწევა  
გულწრფელ მეგობრულ გრძნობითა...  
ბავშვებმა დასცხეს ყიეინა:  
– ძია საშუალა მოვიდა!  
ატყდა ხარხარი მქუხარი  
და სიხარულის „ოხ-ოხი“.

ჭერბე კი იჯდა ბუხარი,  
ვით კეშელავას ბოხოხი.

– საშა, ძვირფასო, მერწმუნე,  
ვერ შეამოწმებ აქედან,  
საჭირო არის ასვლა და  
მაღლა ჭერიდან დახედვა.  
რადგანაც მემსახურები,  
ბოლომდე მომყევ მსახურად,  
ზევითაც თვალი მოავლე,  
ვიდრე დავხურავ სახურავს!..

– მიქელ, ამას რას მიპირებ?  
დღეს, მგონი, შენი წერა ვარ.  
მაგაბე, მჯერა, ვერ ავა  
თვით ვირთაგანი წვერავაც.<sup>285</sup>  
სახურავამდე სახლს გავწვდე,  
ვა, განა ამოტელა ვარ?!

– ნუ გემინია, იქ ასვლა  
ძნელი არ არის სრულებით.  
მოდექი აქეთ კედელთან,  
მე ბურგით დავიღუნები.  
შენც მოდი, გურგბე შემაჯექ,  
ხერხი სჯობია ხანდახან.

ზურგიდან ჭერბე შეჯდები,  
ძველი სპორტსმენი არა ხარ?

საშაც ამგვარად მოიქცა,  
და ხელად ჭერბე მოექცა.

ო, ამის შემდეგ რა მოხდა,  
ნუ მკითხავთ, ღმერთო, შეგცოდეთ!  
ნუ შეუბდალავთ ავტორსა  
უმანკოებას ესოდენ.

საშას მუცელი ასტკივდა,  
მარტოდ დარჩენილს ჭერბედა.  
ერთი შეხედა ბუხარსა,  
ერთი წუთით კი შეჩერდა,  
ღიმილმა ბაგე გაუპო,  
როს დაინახა ცარგვალი,  
ახლო მივიდა ბუხართან,  
ფრთხილად შეიხსნა შარვალი...  
მკითხველს იქნება ჰერნია, –  
ცუდი რამე სწადს გულითა? –  
არა, ის მხოლოდ ბუხრის თავს  
დააჯდა, როგორც უნიგასს.  
და მეგობრობის მეხოტბემ  
სირცხვილ-ნამუსი მოსპო რა,

კოწიას<sup>49</sup> სტილით რომ გითხრათ:  
გაიჭინთა და მოსკორა.


ცოტა ხანს იდგა სვეტივით,  
ვიდრე ხვანჯარი შეიფსკვნა.  
საჯდომით ილიმებოდა,  
ვცან წულუკიძე ვანიჩქა.<sup>288</sup>  
ბოლოს ამ საქმის ჩამდენმა  
ენამწარემ და კვიმატმა,  
ისევე ბუხარს შეხედა  
და ხარიგონი<sup>105</sup> ინაგრა.  
გამოხახოცი ქაღალდი  
მიჰკროდა, როგორც ვექსილი,  
აქა-იქ კურკლაც ეყარა  
გაბესკირიას<sup>48</sup> ლექსივით.

ქვევით რა მოხდა, ნუ მკითხავთ.  
ვთქვათ, ვერც გაიგეს იქ ესა:  
ავტორი საშა ქუთათელს  
ვერ შეახვედრებს მიქელსა.  
საშა ჭერიდან დვთის ნებით  
გადაფრინდება ბარადა  
და გათავდება მიქელის  
მშენებლობაზე ბალადა.

## ეპილოგი

ეს მეორე დღეს, როცა მზე  
თავბე დაადგა ტფილისსა,  
წამოდგა მიქელ, ეწადა  
ცეცხლის დანთება დილის ქამს...  
ბუხარში დახვდა საგანი,  
მსგავსი რაჭული სტვირისა,  
ქუთათელაძის ნაქნარი,  
იაპონური სტვილისა.

სად იყო ამ დროს საშურა?<sup>250</sup>  
ჩემამდე ამბად მოვიდა:  
პროსპექტზე დასეირნობდა  
ცხვირში თამბაქოს ბოლითა.  
მას ხელში მარაოებით  
ესალმებოდა შორიდან –  
ორი ლამაზი ყვავილი,  
ირ. აბაშიძის<sup>3</sup> ორი და.



ალექსანდრე ქუთათელი

\* \* \*

დილით „მნათობში“<sup>181</sup> შევედი, მაგრამ იქ არვინ  
არ იყო,  
არც ნიკა აგიაშვილი,<sup>6</sup> არც მთაწმინდელი  
შალიკო.<sup>10</sup>  
დამიხვდა მეტად გამწყრალი მარტოდენმარტო  
ორდე-ლა.<sup>86</sup>  
ამბობდა: რომანს თუ ბეჭდვენ, მითხარით  
ერთი-ორდელა?  
ფიცი არ მჯერა ირაკლის,<sup>3</sup> მეტადრუ  
ლორთქიფანიძის,<sup>162</sup>  
ისევლე ნიკას მივმართავ, სუყველაფერი მან იცის.  
1951 წ.

\* \* \*

ისმინეთ საქართველოში სუყველამ ჩემი ლექსები,  
რითმებს მოგართმევთ, მეტს ვერას, თუ გსურთ და...  
დაგესესხებით.

\*

პო, პოეტებო, არა და არა, არ დაიჯეროთ  
ბოდვა ნიკოსი,  
ინკუბატორით ჩეკავს პოეტებს ერთი უტვინო  
ბოტანიკოსი.

\* \* \*

აკადემიკოსთ წრეშია  
ეს გრიშაშვილი სოსო.<sup>76</sup>  
აშოღლანები ხვნეშიან:  
— ე მანდ რა გინდა, ბოგო?!



## გამოცანა

აქეთ-იქით მძრომელია,  
ყველგან ნახავთ ბალანაშლილს.  
ვერ იქნა, ვერ მოერია  
ჟაკუნია ბალახაშვილს.<sup>27</sup>  
ცირკზე გაცვლის ორბელიანს,<sup>198</sup>  
შამილსა<sup>255</sup> და ბარათაშვილს.<sup>31</sup>  
გამოიცან — რომელია  
რეცენზენტი<sup>55</sup> კარან-დაშის.<sup>136</sup>

ითხებ გრიშაშვილი

\* \* \*

როდის იყო, რომ დაპქონდა  
გალომებულ ბუდას კევრი?  
მაშაშვილი<sup>171</sup> პოეტია,  
მირცხულავა<sup>171</sup> — ბუდალტერი.

## პინას<sup>69</sup> და მინას<sup>272</sup> – ირა<sup>3</sup> და ნიკა<sup>6</sup>

ჯამაგირის ანგარიშში  
ას-ას მანეთს დაგჯერდებით.  
თუ ახლავე გამოგვიწერთ,  
აქ ჩვენ მეტს არ გავჩერდებით.  
ამბობენ, რომ ჩვენს „მნათობსაც“<sup>181</sup>  
აქ ექნება მაღე ბინა,  
და სულ ახლოს გვეყოლებით:  
ჩვენი მინა, ჩვენი პინა.  
(იმ დღეს ვიშოვნეთ 100-100 გ.).

## რითმისათვის

ასე ამბობს ლევენფიში,<sup>154</sup>  
მაღე დამინძრევენ პირში...



სერგო კლდიაშვილი

სერგო კლდიაშვილი "სერგო"

ა. ჭავჭავაძე

\* \* \*

ქოსა-რიკი – სერგო კლდიაშვილს<sup>146</sup> შეარქვა  
კარლომ<sup>131</sup> ქოსარიკის<sup>150</sup> მიხედვით.

## ჩ. სიმოვანს<sup>273</sup>

გამოგიხტება გვამიდან,  
რაც უნდა თავი იკავო.  
პირაქეთ შეგედავება,  
ჩუმად ვიყავი იქაო.  
რუსეთმა ქება მიუძღვნა,  
ჩვენ არც კი ვიცით, ვინ არი.  
ვეფხისტყაოსნად აქცია  
თავისი ნაცოდვილარი.  
არც გაშავდება კენჭის ყრით,  
რაც უნდა გულით აშავო,  
პირველი თვითონ იძახის:  
სიმონ ჩიქოვანს ვაშაო!  
ლაურეატად გახდომა  
ნეტავი რატომ იკისრა?  
მისი ლექსები ისეა,  
როგორც ჭუჭყუნი ტრიკისა...

\* \* \*

რაპელებისგან<sup>208</sup> მიმომზვერავად  
დარჩენილია სიმონ წვერავა.<sup>285</sup>

## სახინკლეში სამღერალი „ქუკარაჩას“ ხმაზე

**0 + 0**

1. სამამულო ომის ეჭხით  
როდიონმა<sup>249</sup> სჭექა სკეჩი...  
მაგრამ, ნეფა, სად იდგმება:  
კიკეთში თუ პატრიკეტში?

**მიმღერება:**

ჩემი სკეჩი,  
შენი სკეჩი...  
არ დაიდგმება მის დღეში!

2. ცხოვრებაა საამური,  
ქეიფისთვის გვაქვს საბაბი...  
არ ეზრდება კაცს ღაბაბი,  
თუ არ მიირთვა ხას-ქაბაბი!

**მიმღერება:**

ხას-ქაბაბი,  
ხას-ქაბაბი...  
ღულა: ღულა ქაბაბი!

3. ამ ლეონიძე გოგლამა<sup>156</sup>  
ხაში სჭამოს და ბოლლამა,  
ხაში სჭამოს და გალექსოს  
ლიტმუზეუმის პროგრამა.

**მიმღერება:**

ეს პროგრამა,  
ის პროგრამა,  
მისი ლექსი არ დირს დრამად!

4. წვერულვაშით იმოსება  
ნონეშვილი იოსება,<sup>194</sup>  
მაგრამ, ნეფა, ლექსებს რომ სწერს,  
ტყვილა რაფომ იოსება?

**მიმღერება:**

იოსება,  
იოსება,  
პაწაწინა იოსება!

5. მიაწოდეთ ქადა რევაზს,<sup>168</sup>  
თორემ არი გადარევას.  
თითო თუმანს აძლევს ბოზებს:  
ტასოს, ნაფოს, მადამ ევას.

**მიმღერება:**

პაი, რეტო,  
პაი, რეტო,  
რად დადიხარ ეტო-ეტო?

6. გადაუგდეთ ქადა გივის,<sup>53</sup> –  
შოთას გამზირს გადაკივის.  
არ ასვენებს ცილინდროსნებს,  
უკან დასდევს ქადაგივით.

**მიმღერება:**

გივი, გივი,  
რატომ კივი?  
გამოცვალე ეს მოტივი!

7. ეუბნება კარლო<sup>131</sup> გრიშას:<sup>2</sup>  
ჯერჯერობით არა გვიშავს.  
პონორარი მოდის, თითქოს  
წყალს აჩქეფებს არაგვი შავს...

**მიმღერება:**

ჩემო გრიშა,  
ჩემო გრიშა,  
ვერ აჯობებ იმ ძველ გრიშას!

8. ლადოს<sup>224</sup> დიდს და უდიღადოს  
მიაწოდეთ ლუდი ლადოს.  
თუკი ლუდი აღარ ეყოს,  
სხვა რამ უნდა უწილადოთ.

**მიმღერება:**

დიდო ლადო,  
დიდო ლადო,  
რად ატარებ ამდენ განდონს?

9. შენი რითმა? – აბა, სინჯე,  
ჩემი განა აბგაში ძევს?  
ამ სასმისით გაუმარჯოს  
ალიოს<sup>171</sup> და აბაშიძეს!<sup>13</sup>

**მიმღერება:**

გაუმარჯოს,  
გაუმარჯოს,  
სახინკლეში ვფოვებთ სარჩოს!

## მ. ჭიაურელს<sup>293</sup>

ჩვენთვის, მიშავ, ისიც კმარა,  
რომ შვილი ხარ ედიშერის.

პიესა რად დაგვიწერე,  
რად მიირთვი დედიშენის?

ანგარიშის დრო დადგება,  
ვერაფერი ვერ გიშველის!



მიხეილ ჭიაურელი

## რითმა ბოგიერთ პოეტს

ლუკა ქეიფობს –  
უკაპეიკოდ.

\*

პოეტი სულაკაური,<sup>229</sup>  
სხვაა თუ სულ აქაური?

\* \* \*

მე კაცს ვიცნობ ნაუაკისტარს,  
თავში იცემს ნაჯახის ტარს.

## ციტატები

„ზოგ ნაწარმოებში იდეა შამფურივითაა გაყრილი.  
კარგია ნაწარმოები, როცა მასში იდეა ჩაისავითაა  
შებავებული...“

ს. გ.<sup>176</sup>

„როცა გ. ჯ.<sup>310</sup> მსახურად გამოგვიგგბავნა მთავრობამ,  
ვერ შევიშვნეთ, არ ვინებეთ, ახლა ბატონად გაგვი-  
ხადეს და გვიხარია, ანასუნ ჩვენ საქმეს...“

პ. კ.<sup>126</sup>

## ერთი სეზმანურიც!<sup>101</sup>

მიწაც მობარეს, კრიალობს ცანი,  
იმ დროს ის დორი რკოსთან ბუქნაობს,  
მინას<sup>272</sup> მოპარეს კრიალოსანი,  
ფიქრობს გრიგოლი,<sup>2</sup> კოსტამ<sup>162</sup> თუ ქნაო?

(კ. კ.)<sup>131</sup>

\* \* \*

არ ეძინება ხარიგონს,<sup>105</sup>  
გულბეა გასივებული.  
მაწონი ჰქონდა წუხელის  
წყაროში ჩაცივებული.  
დანამდვილებით არ ვიცით,  
საქმეს თუ ავწონ-დავწონით,—  
სოლომონს<sup>114</sup> შემოეჭამა,  
სჩანს, ხარიგონის მაწონი.



ხარიტონ გარდოშვილი

## რუსთველურად<sup>210</sup> დღევანდელ რუსთაველს<sup>156</sup>

ჩემი არაკი მგოსნური ჩინს ქვაბედაც კი სწერია.  
ჩემს ბიჭობაში ლექსები რაც შევთხმენ, რაც  
მიწერია,

სუყველა ხოდში გავიდა, ფეხისადგილშიც  
მღერიან.

დაპყნოსეთ ყოვლი სტრიქონი, ნახეთ, როგორი  
მძღნერია!

შინმოუსვლელზე ვიმღერე, ფორთოხალაზე –  
მითია.

ლექსის ყოველი ტაქი დენთივით ამომინთია.  
რითმებში რითმებს გაურბის, წაღმა-უკუდმა  
მიდიან.

არ დაიდარდოთ, გენაცვათ, ფინთი ყოველთვის  
ფინთია!

ცისფერყანწელთა<sup>282</sup> სუფრაზე მეინახებში არ  
ვჩანდი,  
ეჟვნის მაგივრად შევარდენს შევაბი ცხენის  
ავჯანდი.

ავჯანდს რითმადა, ხომ იცით, ზედ მივაყოლე  
უანგბადი,  
მქონდა ძირტყბილა ლექსები, უკანასკნელად  
ავმჯავდი.

## დავითის<sup>79</sup> კედრება და ჩივილი

გურამიშვილი გახლავარ, საფლავში ვერ

დავეტიე...

გთხოვ, გამიმართო, მთავრობავ, დესტი-

პედესეტლეტიე.

მხოლოდ, იცოდეთ, შემყლაპავს გოგლა<sup>156</sup>

ჰონორარლლეტიე,—

დე, თავმჯდომარედ ის იყოს, და მდივნად — დემნა

ცეტიე.<sup>260</sup>

ბესოს<sup>204</sup> უთხარით, მემკვიდრედ არ მწამს

სიმონის<sup>273</sup> მეტიე.

ამის დამწერი გახლავარ, ვინაც შეაქო გეთიე...

მომიგონებდეთ, სიმონმა თავში თუ დამკრა

კეტიე!..

(კოლექტიური ფუნაგორია ოთ. ჭელიძის<sup>292</sup>

ნაქორწილეგგზე, 1945 წლის ბოლოს)



თთარ ჭელიძე

## ძველებური გმა

ვაკეზე ლიბა სჯობია,  
კეკე ბელით არ მოკვდება.

## უკანასკნელი არჩევნების გამო 1947 წ.

ამოაგდეს ფესო,  
ბედ რო იჯდა ბესო!<sup>204</sup>

\*

თავმჯდომარედ იკოს, იკოს,  
არ ვაშავებთ სიმონიკოს!<sup>273</sup>

\*

გასაოცარი ეს იყო,  
ის გააშავეს მურითა,  
არ გაშავდების ბესიკო,<sup>204</sup>  
რაც უნდ შესვარო მურითა!

\*

არჩევნები გათავდა,  
სამი კაცი გაშავდა,  
რაშო ვორერა,  
რაშავ და!..

## ახალ მდივანს არჩევნების შემდეგ

რომ დააყენეს მოხელედ,  
გაუჭირდება მოხევეს.<sup>71</sup>  
ხელებს უკუდმა მოხევენ,  
შპალიერივით მოხევენ...  
რად აყენებენ ოხერებს?  
შეაყოლებენ ფონ ქვერე...

## ახალი საგალობელი

ქაქი<sup>27</sup> აღდსგა მკვდრეთით სტატიითა სტატიისა დამ-  
თურგვნელი, რედაქციების შინათა ფულების მიმ-  
თვისებელიი!

გ. გ.<sup>258</sup>

\* \* \*

### კოწიას <sup>49</sup> უთქვამს:

თუმცა სიმონი<sup>306</sup> დამესხა  
თავს – სულისამომხდომელად, –  
ამერიკული ნოველა  
დავწერე ფეხზედგომელა.

\* \* \*


დ. ბენაშვილი<sup>36</sup> და გ. ნატროშვილი<sup>190</sup> – ქართველი  
ქიბიყოსები.

\* \* \*

მძახალმა<sup>59</sup> უთხრა მძახალსა:<sup>256</sup>  
წიგნს გამოგიცემ ახალსა!

\* \* \*

შვილიან-მამაიანა  
პურს გვაჭმევს „რამაიანა“.<sup>59</sup>



სერგო კლდიაშვილი

\* \* \*

**კარლომ 131 სთქვა:**

მე გამოვიგონე ახალი პრეპარატი – ანტისეროგინი.  
ესაა პატარა სარკე. ყოველთვის უნდა ჩაახედო  
სერგო კლდიაშვილი,<sup>146</sup> თავის თავს დაინახავს, დაი-  
ნავსება და სხვას ვეღარ დანავსავსო.

## კალეს<sup>44</sup> – კალმასობის შემდეგ

კალემან ბობოხიძემან –  
შებლაძეების სიძემან,  
ხელით კალამი ასწია, –  
ზუგდიდისაკენ გასწია.  
ჩაალბო ყველი ჩაიში,  
რომ გახდეს ველიჩაიში.  
თქვა: ვაქებ, ვინცა მიქია,  
დასწერა აკროსტიხია.  
თავი ეგონა ვურგუნი,<sup>108</sup>  
შეჭამა კილო სულგუნი,  
მატარებელით ვერ ზიდა,  
მოიშველია ფურგუნი.  
ძლივს გაიმედა მანათი,  
თბილისს აფრინა ბარათი:  
– სადგურზე დამხვდი, ვერაო,<sup>264</sup>  
ავალუღუნოთ კერაო.  
იკურთხოს იმის მარჯვენი,  
ვინც ერთად აგვამდერაო.  
გვასწავლა ან-ბან-გან-დონი,  
დაგვაწყებინა წერაო.  
საქმენი ჩემნი წინ მიდის,  
მომაქვს ჩაი და სიმინდი,



კალე ბობოხიძე

ინდაური და გოჭები,  
ჩამოვალ – ჩავიპროჭებით.  
ბატონ სიმონთან<sup>273</sup> ბოდიში,  
რომ ვინახულე ოდიში,  
მე ხომ სიმინდი მინდოდა,  
ის იყო ჩემი სტიქია,  
თორემ რას ვაქნევ ლექსებსა,  
ჯანდაბას აკროსტიხია.  
თავში იმდენი მითაქეს,  
ჩამომივიდა ტრიკია.  
ვერ ჩავდე ყვერი ჩაიში,  
ვერც გავხდი ველიჩაიში!

\* \* \*

ერთი რამ უნდა გითხრა პირიმზეს,  
საქმე ნათქვამზე მიდგება რაკი:  
რად გეძახიან თქროპირიძეს,  
როცა ბაჯაღლო თქრო გაქვს ტრაკი?

\* \* \*

მაიაკოვსკის<sup>165</sup> რითმებზე რაღაცას ადგაფუნებდა...  
ტუტუცობა და ლიმლობა ბაგებზე ადგა ფუნებად.<sup>273</sup>

\* \* \*

ირ. აბაშიძის<sup>3</sup> უსტარი ლექსად პატივცემულ „ლიტ. და ხელოვნების“<sup>158</sup> მთავარი გამგის – თავქოჩორა ლადო სირბილაძისადმი<sup>224</sup> 1948 წლის 24 ივლისის სიცხიან დღეს, ოდეს ირაკლი მიდიოდა კიკეთს და არ გააჩნდა გროში-ფარა:

ყველა ბილიკი შემეცრა და საცალფეხო სავალი,  
ჩეთი კაპიკიც არა მაქვს, როცა სხვებსა აქვთ  
მრავალი.

აი, ამ დღეში ჩავარდი ხემწიფის შთამომავალი.

მო, გითხრა ჩემი ვარამი, ეს ჩემი სულისკვეთება,  
ოჯახი კიკეთს გავგზავნე, სადაც ქვეყანა კეთდება  
(ამ ჩემს სახლკარსაც მოუნდა კიკეთში  
მოკიკეთება).

მაგრამ ფული მაქვს, თუ არა,  
არ მეკითხება არავინ.

შენც იცი, ვცხოვრობ ხელფასით,  
არ ვარ ქურდი და მპარავი  
(ყველა აგარაქს გავცვლიდი,  
ხონში რომ მედგას კარავი).  
დღეს შაბათია (ქმრების და  
გლახების დღესასწაული).

მეც უნდა ვნახო ცოლ-შვილი,  
კიკეთისაკენ ჩავუვლი  
(რისი იმედით წავიდე,  
ხელში არა მაქვს შაური).  
კიკეთიც აგერ, ახლოსა  
(შორს არის აბასთუმანი).  
ისევ შენ უნდა მიშველო,  
შენსკენ მიჭირავს გუმანი,  
ამ ლექსის ყოველ სტრიქონზე  
მიშოვნე თითო თუმანი!  
თქვენს პატიცემულ გაზეთში  
იგი დამედვას ვალადა,  
მასესხო ანუ ავანსად,  
ხომ არ წაგართმევ ძალადა,  
ანგარიშს გავაკოპიტებ,  
როცა მექნება ბალადა.

P.S. ცოლ-შვილი კიკეთს გავუშვი  
დავეხეტები ცალადა!

ლექსმა გასჭრა და ირაკლიმ იშოვნა  
ცოფა სამგბავრო, ცოფა სახარჯოც.  
შენიშვნა ჩემია – ნ. ა.<sup>6</sup>

## ყოველდღიური ტრაგიკომედია

ზონენაშვილმა<sup>113</sup> კოწიას<sup>162</sup> გაბოროფებით შეძახა:  
– შენა ხარ ჩემი მომსპობი, ჩემი დამქცევი  
  შენა ხარ.

სუყველამ იცის ამქვეყნად, ვინ რანაირი კაცია,  
რედაქციაში ნუ მიწყობთ სისხლიან

პროვოკაციას!

აქ გაეღიმა გამგებელს ქურნალ „მნათობის“<sup>181</sup>

პრობისა

და შეგინება მოუნდა დისა და დედის პროჭისა.

– მობრძანდი, მიშა, დაბრძანდი! – თან სკამი

ახლოს მოსწია.

თავს იკავებდა გულფიცხი ლორთქიფანიძე კოწია.

და ამა თბილმა შეხვედრამ მიშიკო გაახალისა,  
გადახსნა უბარმაზარი პორთფელი შავი ტყავისა.  
ააშრიალა ფურცლები ახლადგამომცხვარ

რომანის,

ლეოსგან<sup>247</sup> მოწონებული, ათასი გვერდი რომ  
  არის.

რომ გადახედეს, ეს უთხრეს: – დავბეჭდავთ, მალე  
  დავბეჭდავთ! –  
ამ სიტყვის სიგულწრფელეში ზონენაშვილი  
  დაეჭვდა:

– როგორ დაბეჭდავთ, ჯერე ხომ არ  
 წაგიკითხავთ მასალა?  
 მე დოცენტი ვარ და არა ჟურნალ „მნათობის“  
 მასხარა!

მაშინ გაცხარდა სუსველა, შალვა<sup>10</sup> და ნიკაც  
 გაცხარდნენ:

– სად გაგონილა, მასპინძელს სტუმარი კაცი  
 ლანძღვდეს?

უცებ შემოდის ირაკლი,<sup>3</sup> მაღალი, როგორც  
 ბისმარკი,<sup>43</sup>  
 და მიშას გულში აგინებს: მე შენ მოგიტყან  
 დის ტრაკი!



გონისტანტინე ლორთქიფანიძე

— ო, გამარჯვება, მიშავან, რამ გაგაჯავრა,  
რას ცხარობ?  
ამბობენ, თბილის-ქალაქში ბომაზე მეტი დაცხაო,  
ახალი რამე დაწერე? დაგიბეჭდავთო, ნუ ჩივი! —  
ამ სიტყვებს ხარბად ისმენდა ის ქიმიკოსი  
გულჩვილი.  
სიხარულისგან საბრალოს თვალები  
ჩამოეცრემლა.  
და მეორდება „მნათობში“ ყოველდღიურად  
ეს სცენა.

\* \* \*

ახლა კი დროა სოლომონ,<sup>114</sup> რომა  
მშვიდობა ნახოს საქართველომა:  
თავი ანებე ფოლადზე რომანს!

\* \* \*

Искусству нужен Жорж Мдивани,<sup>172</sup>  
Как нужен жене гвоздь в диване.

## ბალადა მოკვეთილისა

(მოხევური ფოლკლორიდან)

(„მოხევის ქალო თინაოს“ ხმაზე)

მაცნე მაჟვიდა ყაზბეგჩი, გადავლო გუდამაყარი,  
მოხევის შვილებს გადასცა ამბავი ახალ-ახალი.  
მასტეხეს გომიაშვილსა<sup>71</sup> შუბლზე რქა ამონაყარი,  
სუ გამომთვრალი რო დადის, როგორც

ქორწილში მაყარი.

ბევრი მდივონი გვინოხავ, ბევრსაც

ვორ გადანაყარი,

მაგრას ჯერ არვის მოსწრებავ ასე

გულშემოსაყარი.

არ გეჯერებათ მოხევეთ? შაგეხსნათ

რკინი კარია.

სასახლეშიგა მაჟხკვეთეს გომიაშვილის გვარია.

ამბობდნენ, მისი მდივნობა, ვაჟმე, რა დიდი

ბრალია!

მოგვიხსნეს ვოჟი ალექსი, ანიჩქას გაუხარია.

აწინა ვიღა გვიმღერნებს: ტიალო დარიალაო?..

არ გაატანეს პობედა, წავიდა ცარიალაო.

აფირნა ცოლი – პირიმზე, ბალღები აღრიალაო...

ეყოს რჯულმაღლსა, რაც დღემდის თოლები  
აბრიალათ.

სვიმონმა<sup>273</sup> უთხრა: გეყოფის კავშირშიითა  
ფარფაში,  
მოგხსენ და არსაიდანა არ გამოგიჩნდა დამქაში,  
ფარ-ხმალი დაგაყრეინე, ხმალი ჩაგიტყდა  
ქარქაშში,  
ყოველ მავნეს და მიწრიელს ძაღლი მიაკვდა  
საფლავში!

ირამ<sup>3</sup> თქვა: მიწა ლბილია, შენც შეგშვენოდა  
ლბილობა,  
ორივე გამომიცდია – პოეტობა და მდივნობა.  
მდივნობა მეტად ძნელია, გეწვევა  
დაღრეჯილობა...

სჯობს, ლექსო, სწერო პოემა: „ლორმა დახია  
ჭილოფა“...

თუმც ლექსი გამოგელია და აღარ მოგეპოება,  
მაინც ეცადე, იქნების რითმებს რითმები მოებას.  
სამსახურს არსით მოგცემენ, ისეა გარემოება,  
მივღინებაში იყავი, სანამ არ დაწერ პოემას.

ასე თავდება პოემა ჩვენი გომიეთ-ბიჭისა,  
ვაჟაის<sup>104</sup> შემარცხვენელის, მისი დეკა და ღიჭისა.

დაღონდნენ სალი კლდეები, მწვანე ტყეები  
ფიჭვისა,—  
დიდი თაყვანისმცემლები ლექსოს კალმის  
და ნიჭისა.

\* \* \*

ხო ბითურია ქორა გულია,<sup>78</sup>—  
ხუფასთან<sup>39</sup> მაინც ორაგულია.



\* \* \*

გამოაცალეს პწკარი ხუთასი,—  
და დარჩა მხოლოდ მძ..... ხუფასი.<sup>39</sup>

ხუტა ბერულაგა

\* \* \*

თუმცა დამჯდარა ორი ერასტი,<sup>286</sup>  
და არ ბოგინობს ნიკო ტყიური,—  
უბედურებას მაინც ვერ ავცდით,  
მუშაობა გვაქვს ერასტიული.

1952 წ.

\* \* \*

ტრიბუნასთან დგას ვანია,<sup>288</sup>  
თითქოსდა ჩიქოვანია.<sup>273</sup>

\* \* \*

ირაკლი<sup>3</sup> ავარდნილია,  
სიმონი<sup>273</sup> გავარდნილია,  
გოგლა<sup>156</sup> კი დავარდნილია.  
სერგიკა<sup>146</sup> მივარდნილია,  
კარლუშა<sup>131</sup> ჩავარდნილია!

1954 წ.



ითხებ ნონეშვილი, ხიმთნ ჩიქოვანი, რეგაზ მარგანი, გრიგოლ აბაშიძე,  
ირაკლი აბაშიძე, ნაზი კილახთნია, ითხებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე,  
ხუტა ბერულავა

## ახლანდელი მეტივური

სანდრო ეულის<sup>102</sup> დროშია ქე მქონდა ორი  
გროშია.

ალით ბრძენის<sup>171</sup> დროშია ძირს ვეგდე როგორც  
გოშია.

ირაკლი გრძელის<sup>3</sup> დროშია დავკარგე ლექსის  
ხოშია,—

ცეკა-ტეკაში<sup>276</sup> სირბილით ფეხზე დამიცვდა ქოშია.  
სიმონ ჩიქვანის<sup>273</sup> დროშია ვიჯექი ფუღუროშია,—  
სიმონზე მეტად მიტევდა ნაჩაჩავარი<sup>266</sup> გოშია.<sup>310</sup>  
გომიაშვილის<sup>71</sup> დროშია ხინკლად მახვრიპეს  
ბორშია.

ლეონიძისა<sup>156</sup> დროშია — პირს ვაღებ როგორც  
მოშია,—

ეგების ახლა მეღირსოს შამაია და დოშია.

ყველა მდივნების დროშია ბორია<sup>274</sup> სქოლიოშია.

1952

\* \* \*

ჩიქოვანის<sup>273</sup> ლექსები არის პალიმსესტები,—  
გადაფხიკეს ფურცლები და აღმოჩნდა ცურცლები.

## შხიანი<sup>263</sup> და ჩიქოვანი<sup>273</sup>

დიდებულს პოეტს ჩიქოვანს ხელში დიდება  
გაუსხლდა,—  
ოდეს შენ გაჩნდი ამქვეყნად, დიდო პოეტო  
გაღუსტა.  
შენი ლექსები ოქროა, მისი ლექსები — კაპუსტა,  
ქართულად ლექსებს ვერა წერს, რუსულად კი —  
პოეალუსტა!

1952 წ.

## ს. ჩ-ს<sup>273</sup> მოხსნაზე

დიდ პოეტობას თუმცადა დააკლდა ერთი აჩოკი,—  
გაბარდეს, გაათამამეს, გულტე დაპკიდეს ზნაჩოკი,  
დაფნის გვირგვინის მაგივრად თავზე დაადგეს  
გარშოკი,  
ბოლოს კი განდიდებულსა უკნიდან მისცეს  
ტალჩოკი.

1951 წ.

# იასეს<sup>279</sup> ლექციებზე მოკრეფილი რითმები

(1951 წლის ოქტომბერი)

## ირაკლის:<sup>3</sup>

გვერდში გიბის სოლომონი,<sup>114</sup>  
ქუდი ხურავს ტაჯიკური, —  
რაღაც სუნი მოდის, მგონი —  
გაეპარა ტრაკში კული.  
თეორია დამთავრა,  
აწ ეწყობა პრაქტიკული...  
იქნებ კარგი ბალი უნდა, —  
წარადგინოს მაგრიკული.



## კარლომ<sup>131</sup> სთევა:

ამ ლექციებზე დაიარებით,  
გულს იტკენთ მხოლოდ დაირებით.

კარლო კალაძე

## პასუხი:

კარლოც მას ჩადის მოიარებით,  
რასაც შვებოდნენ ბოიარები.

## გაგრძელება წინა გვერდის:

ხედავთ? ბევრი აგვიანებს:  
კარლო თვალებს აბრიალებს.  
რეზოს<sup>168</sup> უკვირს: ადამიას<sup>8</sup>  
თავი აქვს თუ აფაში აქვს?  
პოლიკარპემ<sup>126</sup> კახპის პოზით  
გააბოლა პაპიროსი.  
როგორც დიდი ნაროდნიკი,  
არკადი ზის მაროს იქით.  
გუგულივით, მუხლის გაშლით,  
ჩაეძინა ბუხნიკაშვილს.<sup>46</sup>  
ორდეს<sup>86</sup> იქით ობლად, მტრულად,  
გოგოლაძე<sup>64</sup> გარიყელა.  
გრიშას<sup>2</sup> ნუნუ ხომერიკი,  
ეუბნება: მომე რიკი.  
არ ესწრება იაკინთა,<sup>157</sup>  
ალბათ, ახლა სადმე ყვინთავს.  
იასეს ცქერა წულუკიძეს<sup>288</sup>  
იმ ძველ მტრობას სულ უდვიძებს.  
ქავეკარაძე<sup>243</sup> და ქორქიძე<sup>249</sup>  
წინა რიგში დაქოქილან.  
ამას დაძენს აბაშიძე:<sup>3</sup>  
განა საქმე ამაში ძევს?



პოლიკარპე კაგაბაძე

კაზაკებზე როცა ითქვა,  
დემნამ<sup>260</sup> ცხრაჯერ დააცხივა.  
ხოშტარია ილიასა<sup>301</sup>  
ფანჩარი ღლეტს იღლიასა.  
მარიჯანმა<sup>169</sup> ვიგამინი  
გადაყლაპა, ვით ამინი.  
ჯაფარიძეს<sup>308</sup> ეძინება,  
ხოშტარიას<sup>301</sup> ეცინება.  
დოლიძე<sup>96</sup> თხოვს ასათიანს:<sup>17</sup>  
ლევანს იქნებ ასანთი აქვს?  
მარტოდმარტო ო. ჭელიძე<sup>292</sup>  
ცოდნას ოჩენ, ოჩენ იძენს.  
და ამგვარად ბევრი ასე  
აღარ უსმენს ამ ჩვენ იასეს...

### იქიდანვე:

პარტაზე დასვეს ვანია,<sup>288</sup>  
ისწავლოს ანა-ბანია...  
ვანია რჩება შეგირდად,  
იასეს შერჩა ბვანია.  
იასე, უფრთხილდი ვანიას,  
ვანია გოთვერანია.

ვანიას კიდევ რა უშავს,  
უარესია სხვანია.

ამისი მთქმელი გახლავარ,  
მე მულახელი სვანია.<sup>168</sup>

როგორც ჩერჩილი,<sup>269</sup> ბის ჯაფარიძე,<sup>308</sup>  
უსმენს ლექციას და ჯაფას იძენს.

### იმავე ლექციაზე:

გააცუებს სოლომონი,<sup>114</sup>  
ოთახს მწარედ აქოთებს.  
კუკურიკას<sup>63</sup> ძინავს ამ დროს,  
და პრემიებს აბოდებს.

იაკინთე<sup>157</sup> გულში ითვლის  
საყვარლების აბორტებს,  
რაღაც მყრალი სუნი მოდის  
ხოშგარიას<sup>301</sup> საპოვებს.

ცხვირს იხოცავს ჩვენი დემნა,<sup>260</sup>  
იღებს მაღალ აკორდებს,  
პ. კალაძე<sup>131</sup> არ მოსულა,  
ალბათ, ვისმეს აკოტრებს,  
ეს შაირი წაიკითხე,  
როცა საქმე არ გქონდეს!



დემნა შენგელაია

## კიდევ იქიდანვე:

მრავალმა თვალმა ჩასთვლიმა,  
მრავალი ყური გაფუჭდა,  
მოსჩანს პოლიოს<sup>4</sup> ყურები,  
ვით დაძმარული კაპუსტა.  
ზოგს ისე სძინავს, მგონია,  
არც გაეღვიძოთ უდენთოდ,  
აღსდეგ, ნუ გძინავს, პარტაზე  
თავდადებულო სტუდენტო!  
აღსდეგ, შეხედე მეგობრებს,  
თუ მოწუსხული არა ხარ.  
თავი ასწია ვანიამ<sup>288</sup>  
გეტყვის, დღეს სიმზრად რა ნახა.

\* \* \*

რომ შეიცვალოს ტაროსი,  
ლიტფონდში<sup>159</sup> მიდის ლავროსი,<sup>130</sup>  
კაცი, მოწამე ამ დროსი,  
მაგინებელი ანდროსი.<sup>119</sup>

## „მე ვარ სიმონა დოლიძის“ ხმაზე

ქერო პრემიე დანიშნეს  
მისაცემად პოეტებზე,—  
ყველაყა აბდალს ეგონა,  
დიდი ვარო გოეტეზე.<sup>67</sup>

სამი კვირე იჭაჭყანეს —  
პრემიების მოლოდინში.  
პოეტებს და მეპროზეებს  
არ უძინიათ ლოგინში.

ძლივას დადგა ბოლო დღეი,  
გააჩინეს სამართალი...  
მაგრამ ვერავინ გეიგო:  
ვინ მტყვანია, ვინ მართალი.

ალიომ<sup>171</sup> თქვა: საპრემიო  
მე მაქვს სუყველაზე მსხვილი...  
წინ ვერავინ დუუდგება,  
იყოს თუნდა ნონეშვილი.<sup>194</sup>

თვარ წარმადგენთ პრემიეზე,  
ვნახავ, დაგიდგეთ თვალიო.  
ნუ მომცემთ და სულ არ მინდა, —  
ალიო ვარ, მე, ალიო.

არც აკაკის<sup>283</sup> მიუღია,  
არც ილიას<sup>289</sup> პრემიაო,  
მარა მაინც ქე მოჭამეს  
თავის დრო და ვრემიაო.

ყველას თავზე გადაახტა  
ყაბილარი, აი, ხუტა...<sup>39</sup>  
ქორთუებში არვის ენდო,  
რუსი გულში ჩეიხუტა.

ინაკლი აბაშიძე

ირაკლიე აბაშიძეს<sup>3</sup>  
დუუმახა ლავროსიამ:<sup>130</sup>  
ყველაყას რომ დუურიგე,  
რათ არ მიე აროსიას?<sup>15</sup>

ერთმანეთი რო დაჩეხეს,  
გამევიდენ მერე კარში...  
დამწერმა და წამკითხველმა,  
ქავეარაძეს<sup>243</sup> შიე ტრაკში!

1954 წ.



\* \* \*

ყირგიზეთში კაბა მისცეს, ჩაიცვა და გახია,—  
ირაკლია აბაშიძე,<sup>3</sup> თუ პატარა კახია?<sup>100</sup>

## სანმეტი პოეტები საქართველოში

დაირაბმნენ მოლექსენი:  
ჭაბუკი და ხანიანნი,  
ახოვანნი, სახოვანნი,  
გვარსა შიგან ხანიანი.  
ფორჩხიძე<sup>240</sup> და ბობოხიძე,<sup>44</sup>  
ახობაძე<sup>23</sup> ხალიანი,\*  
კახიძე<sup>140</sup> და კაჭახიძე,<sup>138</sup>  
ხუხაშვილი<sup>302</sup> და შხიანი.<sup>263</sup>  
აფხაიძე,<sup>20</sup> სამხარაძე,<sup>61</sup>  
ბეჭფართო და მხარიანი,—  
ერთი სიტყვით, პოეტები,  
ხან ეკალნი, ხან იანი.  
წინ მიუძღვით ხოშგარია...<sup>301</sup>  
თავლაფდასხმულ ხმალიანი...  
და სხვ.

1956 წ.

---

\* დ. ახობაძეს, ქუთაისელ პოეტს, ხალი ჰქონია საპარსავს ბემოთ — შაპრუხას<sup>265</sup> უთქვამს.



— დედა, სად მიღიან ეს მოხუცი ძიები?

— ახალგაზრდა მწერლების კონფერენციაზე, შვილო.

## ბოლოთქმის ნაცვლად

1940 წელს გამოდიოდა კარლო კალაძის ლექსთა კრებული. ერთხელ კარლომ გადმომცა იმ კრებულის მაკეტი – ლი-დერინის ყდიანი კარგა მოზრდილი წიგნი და მითხრა:

– ვიცი, შენ რომ აგროვებ ეპიგრამებს და სხვადასხვა ნაკვესს. აი, გქონდეს ეს და შიგ ჩასწერე ყველაფერი. აღარ დაიკარგება და ერთად იქნება თავმოყრილი.

კარლოს იმ წიგნზე სათაურად წაეწერა „ფუნაგორიები“. სიტყვა „ფუნაგორია“ პოეტმა კოლაუნადირაძემ შემოიღო და ისიც კარგა გვარიან ეპიგრამებს წერდა. პირველი ფუნაგორია ეკუთვნის მასვე. ესაა ოთხსტრიქონიანი მწვავე ეპიგრამა ყარიბზე (პეტრე გელეიშვილზე), რომელმაც ოციან წლებში „მნათობის“ ფურცლებზე მეტად გესლიანი შენიშვნებით სავსე წერილები დაბეჭდა ცისფერყანნელთა შემოქმედების შესახებ.

მასთან ერთად, კარლოს ხელითვე, ჩაწერილი იყო მისი საკუთარი იუმორისტული ლექსი, რამდენიმე პატარა სხარტულა და კოლაუს ის პირველი ფუნაგორია პეტრე გელეიშვილზე: „მან მწერლობაში დასტოვა კვალი“... და სხვ.

ფუნაგორია ანუ ნეხვის ჭია – ხოჭოს მსგავსი ერთი უვნებელი მწერია, რომელიც არავის არაფერს უშავებს და არავითარ ზიანს არ აყენებს. „მხოლოდ ფუნეს აგუნდავებ, იქვე, ახლოს, აგორებო“ – ნათქვამია მასზე აკაკის ცნობილ ლექსში. ამ საქმეში კი მეტისმეტ გულმოდგინებასა და აქტიურობას

იჩენს, თანაც – თითქოს – ეს „მუშაობა“ მისთვის უბრალო გასართობი საქმეა...

კოლაუ ნადირაძის განმარტებით, თითქოს ასეთივე უვ-ნებელი რამ იყო ეპიგრამაც. მხოლოდ ამხანაგთ სალალობოდ თუ გამოდგებოდა ის, თორემ სხვაფრივ არავის განაწყენებას არ ისახავდა მიზნად.

ამიტომაც მან ყოველ სახუმარო-სალალობო ლექსს „ფუნაგორია“ შეარქვა. ეს სახელწოდება მალე გავრცელდა და დღემდე შემორჩა არათუ „მშვიდობიან“ და სათნო ტონის შემცველ, თავშესაქცევარ ეპიგრამას, არამედ თვით ძალზე გესლიან და გამკენლავ, მწვავე ნაკვესს, მეტად მახვილაკურ და ენამოსწრებულ „განმქიქებელ-გამანადგურებელ“ კალამბურს...

იმ წლებში ბევრი პოეტი წერდა ეპიგრამებს და სახუმარო იუმორისტულ ლექსებს, განსაკუთრებით აქტივობდნენ ამ საქმეში ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც თავიანთ „მას-წავლებლად“ თვლიდნენ კოლაუს და ორჯერ კიდეც გაუგზავნეს მას „ეპისტოლე კოლაუ ნადირაძეს, პოეტს და მაესტროს“. ორივეს ავტორი ლადონ ასათიანი იყო...

კარლოს ნაჩუქარი წიგნი ლადონ ასათიანს გადავეცი და მან შიგ ჩასწერა ბევრი ეპიგრამა, იუმორისტული ლექსი, სხარტულა და ნაკვესი, რომელთა უმრავლესობა მას ეკუთვნოდა. დანარჩენი სხვა ამხანაგებისა იყო. სანახევროდ შეს-სებული წიგნი ისევ მე დამიბრუნდა და შემდეგ ბოლომდე ჩავ-წერე 400-მდე სხვადასხვა მასალა.

1940 წელს ივლისში „ჩვენს თაობასა“ და „მნათობს“ ლადოსაგან აბასთუმნიდან რამდენიმე ლექსი მოუვიდა დასაბეჭდად. როგორც წერილებიდან ჩანდა, ნელ-ნელა უკეთესდებოდა მისი ჯანმრთელობა. „ფუნაგორისტობას“ მაინც არ იშლიდა და იქიდან „ერთ მკვლევარსა და ფუნაგორისტს“ გამოუგზავნა კარგალაზათიანი „საპროგრამო ეპისტოლე“, სადაც, ეგრეთნოდებული მშვიდობიანი ტონის მატარებელ სტრიქონებთან ერთად, ბლომად იყო „ამოსაცხები მალამო ჯერ კიდევ ჩვენს გარშემო მყოფი ზოგიერთი თავგატეხილისა და თავგასატეხთათვის“... ლექსებისა და ამ ეპისტოლეს გარდა ლადომ ერთი გალექსილი წერილი გამოუგზავნა „ჩვენი თაობის“ მაშინდელ რედაქტორს – დიმიტრი ბენაშვილს...

ლადოს გარდა ცვალების შემდეგ ეპიგრამების თხზვა ისევ გრძელდებოდა. ბევრი მართლაც გონებამახვილურად და ენამოსწრებულადაა დაწერილი. ზოგიერთ მათგანს ლადოს მიაწერენ და მისი გამოთქმული ჰერნიათ, მაგრამ ლადოს ფუნაგორიას სულ სხვაგვარი ჰენი და ლაზათი ჰქონდა: პირდაპირ მიზანში ხვდებოდა სანიშნოს.

ნიკა ავიაშვილი  
ნიგნიდან „ჭაბუკები დარჩნენ მარად“

## კომენტარები

ფუნაგორიების ხელნაწერი კრებული (ხ-24324) ნიკა აგიაშვილმა 1959 წელს გადმოსცა ლიტერატურის მუზეუმს. შემდგენლის სურვილის გათვალისწინებით, მომავალ თაობებს გამოექვეყნებინათ აღნიშნული კრებული, მკითხველს ვთვაზობთ საზოგადოებისთვის დღემდე უცნობ ფუნაგორიებს. გამოცემის მომზადებისას ტექსტები ქრონოლოგიურად არ დაგვილაგებია, მივყევით კრებულის თანმიმდევრობას, რამდენიმე გადაადგილების გარდა, რაც წიგნის დაკაპადონებამ გამოიწვია. უცვლელად გადმოვიტანეთ ფუნაგორიების სტილი, ორთოგრაფია და პუნქტუაცია. კომენტარებში დაკიმონწმეთ ნიკა აგიაშვილის მინაწერებიანი ფუნაგორიები, რომელიც ლიტერატურის მუზეუმს მწერლის მეუღლემ, ქეთევან აგიაშვილმა შემოსწირა (შ-027588) და გაიოზ იმედაშვილის შედგენილი კრებული „ქართული ხუმარ-სიბრძნე ანუ ფუნაგორია“, რომელიც მწერლის მემკვიდრის – კობა იმედაშვილის ოჯახშია დაცული. წიგნში გამოყენებული შარჟების უმეტესობა მუზეუმის იკონოგრაფიულ კოლექციაშია დაცული, მცირე ნაწილი 1920–1940-იანი წლების უურნალ-გაზეთებში მოვიძიეთ. გამოცემას დავურთეთ ბოლოთქმის ნაცვლად ამონარიდი ნიკა აგიაშვილის წიგნიდან „ჭაბუკები დარჩენენ მარად“ (თბილისი, 1961), ფუნაგორიებისა და შარჟების ავტორთა საძიებელი და იმ პირთა თუ მოვლენათა განმარტებები, რომლებიც ნახსენები ან ნაგულისხმებია ფუნაგორიებში.

1. **აბაკელია თამარ (1905–1953)** – გრაფიკოსი, მოქანდაკე, თეატრის მხატვარი, კარლო კალაძის მეუღლე. გვ. 23, 102.

2. **აბაშიძე გრიგოლ (1914–1994)** – მწერალი, ჟურნალის „მნათობი“ პასუხისმგებელი მდივანი (1939–1940). 1937 წელს

გამოიცა გრიგოლ აბაშიძის ლექსების პირველი კრებული, 1940 წელს – ლექსების კრებული „ასფურცელა“. გვ. 21, 24, 37, 39, 56, 66, 80, 90, 94, 98, 115, 119, 132, 135, 146, 158, 167, 169, 170, 180, 193, 197, 230, 233, 254.

3. **აბაშიძე ირაკლი** (1909–1992) – პოეტი, საქართველოს მეცნიერებთა კადემიის აკადემიკოსი, უურნალების „ჩვენი თაობა“ (1938–1939) და „მნათობი“ (1946–1953) რედაქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი (1939–1944), შემდეგ – პირველი მდივანი, თავმჯდომარე (1953–1967). „პაროდია“ დაწერილია ირაკლი აბაშიძის ლექსზე „კაპიტანი ბუხაიძე“. 1942 წელს, დიდი სამამულო ომის დროს, ირაკლი აბაშიძე ჩეგემისა და ბაქსანის ხეობაში ქართულ მსროლელ დივიზიას ესტუმრა. ლექსი დაიწერა სოფელ ფსიხოლაში ძმათა სასაფლაოს ნახვის შემდეგ. ლექსი „შოშია“ დაიბეჭდა 1945 წელს უურნალში, „პიონერი“ (№2-3). ნიკა აგიაშვილის ცნობით, 1938 წელს ირაკლი აბაშიძე იალტაში ისვენებდა. უურნალის „ჩვენი თაობა“ რედაქტორს ახალგაზრდა მწერლებმა – ლადო ბალიაურმა, მირზა გელოვანმა და გაბრიელ ჯაბუშანურმა ლექსად მისწერეს სალალობო ბარათი. ამ ბარათის პასუხად დაიწერა „ერთი ხევსურული“. გვ. 9, 18, 26, 35, 42, 51, 56, 62, 66, 70, 75, 100, 103, 114, 119, 120, 126, 127, 129, 134, 135, 142, 167, 168, 169, 174, 175, 176, 180, 193, 194, 205, 206, 208, 214, 223, 224, 226, 231, 242, 245, 248, 250, 251, 253, 254, 259.

4. **აბრამია პოლიო** (1899–1975) – მწერალი, გაზეთის „ფოთის მუშა“ კორესპონდენტი. გვ. 85, 150, 257.

5. **აგიაშვილი მარიამ (გოგუცა)** (1921–2007) – ლიტერატურათმცოდნე, უურნალის „მნათობი“ თანამშრომელი, ნიკა აგიაშვილის ბიძაშვილი. გვ. 164.

6. **აგიაშვილი ნიკოლოზ (ნიკა)** (1903–1984) – მწერალი, მთარგმნელი, უურნალისტი, უურნალების „ჩვენი თაობა“ (1938–

1941) და „მნათობი“ (1942–1944) პასუხისმგებელი მდივანი. წიგნი „სერვანტესის ცხოვრება“ გამოიცა 1941 წელს. ნიკა აგიაშვილის ცნობით, 1940 წელს, გრიგოლ აბაშიძის ერთნლიანი მივლინების დროს, შეითავსა უურნალის „მნათობი“ მდივნობა, რის გამოც დაიწერა „დაჯდა ორი მდივნის სკამზე“. გვ. 10, 11, 33, 42, 50, 51, 58, 66, 69, 77, 86, 89, 90, 93, 108, 109, 119, 123, 125, 128, 129, 141, 145, 148, 209, 224, 226, 243, 245.

7. **აგლაძე ილია** (1872–1948) – პუბლიცისტი, მთარგმნელი, გაზეთის „ლიტერატურული საქართველო“ სტილისტი. გვ. 38, 105.

8. **ადამია ალიო** (1914–1980) – მწერალი. გვ. 47, 50, 69, 70, 77, 87, 99, 133, 206, 254.

9. **ავალიანი ვლადიმერ (ვოლდემარ, ლადო)** (1913–1998) – მწერალი. ნიკა აგიაშვილის ცნობით, რომანი „უცნობი ქალის პორტრეტი“ 1942 წელს უნდა დაბეჭდილიყო უურნალში „მნათობი“, დაიკარგა სტამბაში და ავტორს აღარ აღუდგენია. ერთხელ მხიარულ გუნებაზე მყოფი გიორგი შატბერაშვილი მწერალთა კავშირში ღილინით შევიდა: „ჰაი გიდი, შატბერაშვილო...“ ლადო ავალიანმა ყური მოჰკრა გიორგის ღილინს და გაბრაზდა, რას მერჩის ეს ქართლელი ტეტია, რა დავუშავეო. რითმის გამო გახსენა, თორემ შენთან არაფერი აქვს გასაყოფი, უპასუხეს. რაღა მე ჩამაგდო იმ რითმაშიო, არ ცხრებოდა ლადო. გვ. 20, 146, 196.

10. **ალხაზიშვილი შალვა** (1899–1980) – ხელოვნებათმცოდნე, კრიტიკოსი, ფუტურისტ-ლეფელი (ხელოვნების მემარცხენე ფრონტი), უურნალის „მნათობი“ განყოფილების გამგე. გვ. 224, 245.

11. **ამანულა ხანი** (1892–1960) – ავლანეთის მეფე 1926–1929 წლებში. 1927–1928 წლებში იმოგზაურა ახლო აღმოსავ-

ლეთში, ევროპასა და საბჭოთა კავშირში. ეწვია თბილისსაც. გაიოზ იმედაშვილის ცნობით, ამანულა ხანი მწერალთა სასახ-ლეში დააპინავეს. ის ოთახი, სადაც მისი საპირფარეშო იყო, „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორის – შალვა რადიანის კაბინეტად გადაკეთდა. გვ. 43, 128.

12. **ამისულაშვილი შალვა**(1916–1981) – პოეტი. გვ. 143, 213.

13. **ანთაძე დოდო** (1898/1900–1978) – რეჟისორი, თეატ-რალური მოღვაწე. გვ. 142, 152.

14. „**არიფოონი**“ – ლიტერატურული გაერთიანება 1927-1928 წლებში. წევრები: შალვა დადიანი, მიხეილ ჯავახიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, ლეო ქიაჩელი, გე-რონტი ქიქოძე, კონსტანტინე ჭიჭინაძე, დავით სულაშვილი, ილო მოსაშვილი, ლევან მეტრეველი, კონსტანტინე კაპანელი, ვასო გორგაძე, პეტრე ქავთარაძე, იოსებ ტატიშვილი. 1927 წელს გამოიცა კრებული „არიფოონი“, რომელშიც დაიბეჭდა დეკლა-რაცია. გვ. 110, 112.

15. **აროსია (კოჩობა)** ილია (1918–?) – მწერალი. გვ. 259.

16. **ასათიანი ლადო** (1917-1943) – პოეტი. ნიკა აგიაშვი-ლის ცნობით, 1939 წელს საახალწლოდ მეცობრები ესტუმრ-ნენ, მათ შორის ირაკლი აბაშიძე. ლადო განაწყენებული იყო ირაკლიზე და არ ისურვა მისვლა. საღამოს „ნორჩი ლენინელის“ შიკრიკს ნიკას ვალი – თუმანი და ოთხსტრიქნიანი ლექსი „ირაკლის“ გაატანა. ირაკლის ენცინა და ბარათი გაუგზავნა, ეს როგორ მკადრეო. მეორე დღეს ნიკამაც უსაყვედურა ლა-დოს. ლადომ გაიცინა, ასე მოუხდებაო. ამის შემდეგ ერთმა-ნეთს ხმას აღარ სცემდნენ, მაგრამ ირაკლი თანდათან მოლბა და როდესაც ლადომ გრძელი გალექსილი წერილი „ირაკლი აბაშიძეს“ გაუგზავნა, დაივიწყა ის ამბავი. გვ. 9, 16, 17, 34, 51, 52, 67, 82, 119, 120, 125, 129, 132, 133, 138, 147, 148, 181, 201.

**17. ასათიანი ლევან (1900–1955) – მწერალი, პუბლიცისტი, ფუტურისტ-ლეფელი (ხელოვნების მემარცხენე ფრონტი), უურნალის „მნათობი“ პასუხისმგებელი მდივანი (1932–1939). გვ. 164, 255.**

**18. ასტვაცატუროვი (ქარელიშვილი) ერემია (1908–1994) – მწერალი, კრიტიკოსი, უურნალის „ჩვენი თაობა“ განყოფილების გამგე, უურნალის „მნათობი“ პასუხისმგებელი მდივანი (1942–1944). გვ. 125, 129, 140, 205.**

**19. აფაქიძე შალვა (1897–1988) – კინოპერატორი. გვ. 120.**

**20. აფხაძე შალვა (1894–1968) – პოეტი, ლიტერატურათმცოდნე, ცისფერყანწელი, ხელოვნების მთავარი კომიტეტის თანამშრომელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის დირექტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის მთავარი კონსულტანტი. გვ. 19, 76, 260.**

**21. აქილევსი – ბერძნულ მითოლოგიაში და ჰომეროსის „ილიადაში“ ტროას ომის გმირი. გამოთქმა „აქილევსის ქუსლი“ ადამიანის სუსტ მხარეს გულისხმობს. ძველი ბერძნული მითის თანახმად, ზღვის ქალღმერთმა – თეტიდამ ვაჟი – აქილევსი, უკვდავების მისანიჭებლად, მდინარე სტიქსში განბანა. დედას იგი ქუსლით ეჭირა, უკვდავების წყალი არ შეხებია ქუსლს და ამიტომ აქილევსი, ქუსლში მოხვედრილმა, პარისის ისარმა განგმირა. გვ. 62.**

**22. ახვომი – გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ (საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანო). გაზეთი დაარსდა 1921 წელს ახალგაზრდა მუშებისა და გლეხებისთვის. 1926 წელს გაზეთის რედაქციასთან შეიქმნა პროლეტარულ მწერალთა ლიტერატურული წრე, რომელშიც გაერთიანდნენ: კალებობიძე, ილია**

ხოშტარია, ფრიდონ ნაროუშვილი, ირაკლი აბაშიძე, გიორგი ჯიბლაძე, ალიო ადამია, გიორგი კაჭახიძე და სხვები. გვ. 88.

23. **ახობაძე დომენტი** (1919–1987) – მწერალი. გვ. 260.

24. **ბააზოვი გერცელ** (1904–1938) – ქართველი ეპრაელი მწერალი, მთარგმნელი, დრამატურგი, ქართველ ეპრაელთა დრამატული დასის „კადიმა“ (წინსვლა) დამაარსებელი. გვ. 17.

25. **ბაირონი ჯორჯ ნოელ გორდონ** (1788–1824) – ინგლისელი პოეტი. გვ. 92, 117.

26. **ბალანჩივაძე მელიტონ** (1863–1937) – კომპოზიტორი, ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებელი. გვ. 16, 95.

27. **ბალახაშვილი იაკობ (ჟაკი)** (1910–1982) – მკვლევარი. 1940 წელს წიგნად გამოიცა იაკობ ბალახაშვილის დოკუმენტური ნარკვევი „ლიტერატურული და რევოლუციური წრეები გორში“. გვ. 24, 37, 41, 44, 47, 49, 51, 62, 75, 78, 79, 80, 87, 94, 109, 113, 117, 128, 130, 135, 136, 225, 238.

28. **ბალზაკი ონორე** (1799–1850) – ფრანგი მწერალი. გვ. 116.

29. **ბალიაური ლადო (გაგა)** (1907–1954) – მწერალი. ნიკა აგიაშვილის ცნობით, ლადოს ცუდი ხელწერა ჰქონდა, შავად დანერილ ნაწარმოებს გაბრიელ ჯაბუშანური უთეთრებდა. გვ. 109, 122, 123, 125.

30. **ბარათაშვილი მარიკა** (1908–2009) – პოეტი, დრამატურგი. გვ. 72.

31. **ბარათაშვილი ნიკოლოზ** (1817–1845) – პოეტი. გვ. 225.

32. **ბარნოვი ვასილ** (1856–1934) – მწერალი, ქართული ისტორიული რომანის ფუძემდებელი. გვ. 56.

33. **ბახტურიძე პეტრე** (1900–1962) – მწერალი, მთარგმნელი, კრიტიკოსი. გვ. 40, 108.

34. ბელიაშვილი აკაკი (1903–1961) – მწერალი, ფუტურისტ-ლეფელი (ხელოვნების მემარცხენე ფრონტი). გვ. 53, 216.

35. ბელინსკი ბესარიონ (1811–1848) – რუსი კრიტიკოსი, ფილოსოფოსი, პუბლიცისტი. გვ. 51.

36. ბენაშვილი დიმიტრი (1910–1982) – კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, უურნალის „ჩვენი თაობა“ რედაქტორი (1940–1942). გვ. 58, 82, 120, 132, 200, 205, 239.

37. ბერაძე პანტელეეიმონ (1901–1968) – ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი. გვ. 16, 95.

38. ბერულავა გუია – ბიბლიოგრაფი, მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკის გამგე (1935–1960). ნიკა აგიაშვილის ცნობით, 1940 წელს მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკაში მსახურობდნენ გუია ბერულავა, თამარ ფოფხაძე და კლავდია დევდარიანი. ლადო ასათიანმა ეპიგრამა გამოთქვა, ქალებმა კარლო კალაძეს დააბრალეს და მწერალთა კავშირის მდივანთან – ირაკლი აბაშიძესთან უჩივლეს. ირაკლიმ ორივე მხარე დაიბარა და ამის გამო დიდი შეხლა-შემოხლა გაიმართა. გვ. 102.

39. ბერულავა ხუტა (1924–2004) – პოეტი. გვ. 249, 259.

40. ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი) (1750–1791) – პოეტი, საზოგადო მოღვაწე. გვ. 211.

41. ბენუკელი (ბენუკლიშვილი) ვახტანგ (1916–1971) – ლიტერატურათმცოდნე. გვ. 160.

42. ბიბინეიშვილი ბართლომე (ბარონ) (1883–1938) – სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, საქართველოს რევკომის (რევოლუციური კომიტეტი) თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე, საქართველოს მუზეუმისა და საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი, სახელმწიფო გამომცემლობის გამგე, რევოლუციონერებზე (კამო, ლადო კეცხოველი და სხვა) წიგნების ავტორი. გვ. 55.

**43. ბისმარკი ოტო (1815–1898) – გერმანელი პოლიტიკოსი, გერმანიის კანცლერი.** გვ. 245.

**44. ბობოხიძე კალისტრატე (კალე) (1904–1982) – პოეტი, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრი. გვ. 17, 20, 27, 85, 89, 95, 148, 155, 171, 174, 193, 199, 207, 240, 260.**

**45. ბუაჩიძე ბენიტო (1905–1937) – კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრი. გვ. 89, 186.**

**46. ბუხნიკაშვილი გრიგოლ (გუგული) (1897–1979) – დრამატურგი, თეატრმცოდნე, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრი. გვ. 31, 186, 254.**

**47. ბლაჭიაშვილი კაკო – ილია ჭავჭავაძის პოემის „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩალის ცხოვრებიდამ“ მთავარი გმირი. გვ. 93.**

**48. გაბესკირია ვიქტორ (1903–1964) – პოეტი, დრამატურგი. გვ. 77, 115, 161, 183, 202, 213, 222.**

**49. გამსახურდია კონსტანტინე (1891–1975) – მწერალი, „აკადემიური ასოციაციის“ წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი 1944 წლიდან. ნიკა აგიაშვილის ცნობით, კონსტანტინე გამსახურდიამ და კონსტანტინე ჭიჭინაძემ ერთად თარგმნეს დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ „პირველი ნაწილი. თარგმნისას წაკინელავდნენ და თარგმანი გამსახურდიამ დაასრულა. გვ. 9, 46, 68, 81, 104, 130, 132, 147, 156, 175, 193, 201, 209, 210, 222, 238.**

**50. გარიყული (თათეიშვილი-რატიშვილი) მარიამ (1883–1960) – მწერალი. რომანი „ანარეკლი“ დაიწერა 1930–1933 წლებში, გამოქვეყნდა 1938 წელს. გვ. 133, 173.**

**51. გაფრინდაშვილი ვალერიან (1889–1941) – პოეტი, ცის-  
ფერანანელი, უურნალის „მეოცნებე ნიამორები“ რედაქტორი  
(1919–1924), საქართველოს მწერალთა კავშირის მთარგმნელო-  
ბითი სექციის თავმჯდომარე, გამომცემლობის „ზარია ვოსტო-  
კა“ მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილე-  
ბის გამგე. გვ. 84.**

**52. გაჩეჩილაძე ამბერკი (1905–1985) – ლიტერატურათ-  
მცოდნე. გვ. 21.**

**53. გაჩეჩილაძე გივი (1914–1974) – მწერალი, მთარგმნე-  
ლი. გვ. 24, 43, 107, 113, 117, 169, 230.**

**54. გაჩეჩილაძე დავით (დათიკო) (1902–1974) – პოეტი,  
დრამატურგი, მთარგმნელი. კოლაუნადის მეუღლის ცნო-  
ბით (გაზ. „ახალი თაობა“, 1996, №75), მეორე მსოფლიო ომის  
დროს ამერიკა დახმარებას უკ ზავნიდა საქართველოს. საკვე-  
ბის ულუფები და ნახმარი ტანსაცმელი კატეგორიებად იყო და-  
ხარისხებული. ცეკა პირველ კატეგორიას იღებდა, მწერალთა  
კავშირში მესამე კატეგორიას არიგებდნენ. საულუფო სიაში და-  
ვით გაჩეჩილაძე გამორჩათ და ძალიან განაწყენდა. ამის შესა-  
ხებ დაინერა „დავითისა და კოლაუს გაბაასება კატეგორიის სა-  
კითხებზე“. გვ. 15, 42, 43, 65, 78, 84, 85, 103, 106, 155, 171, 188,  
202, 203, 207.**

**55. განერელია აკაკი (კაკო) (1910–1994) – მწერალი, კრი-  
ტიკოსი. გრიგოლ ორბელიანის წერილების ერთტომეული გა-  
მოსცა 1936–1937 წლებში. ნარკვევი „სულხან-საბა ორბელიანი“  
დაინერა 1937–1939 წლებში, მონოგრაფია „ნიკოლოზ ბარათაშ-  
ვილი“ – 1945 წელს, ნოველა შამილზე „იმამი ლოჟაში“ – 1942  
წელს. გვ. 44, 47, 60, 94, 134, 135, 152, 183, 188, 189, 202, 225.**

**56. გელეიშვილი პეტრე (ყარიბი) (1870–1937) – პუბლი-  
ცისტი. ნიკა აგიაშვილის ცნობით, 1910–1920-იან წლებში მკაც-**

რად აკრიტიკებდა ცისფერყანწელთა შემოქმედებას. ამის გამო დაიწერა კოლაუ ნადირაძის ეპიგრამა. გვ. 10.

57. გელოვანი მირზა (1917–1944) – პოეტი. გვ. 72, 106, 109, 122, 124.

58. გვასალია ბესარიონ – მწერალთა კავშირის კომენ-დანტი. გვ. 14.

59. გვეტაძე რაჟდენ (1897–1952) – მწერალი, მთარგმნელი, ცისფერყანწელი, გამომცემლობის „ფედერაცია“ დირექტორი (1935–1950). ლექსების წიგნი „ვირების მესია“ გამოიცა 1924 წელს. თარგმნა VIII–X საუკუნეების სომხური საგმირო ეპოსი „დავით სასუნცი“ (1939), XV საუკუნის ყალმუხური საგ-მირო ეპოსი „ჯანგარი“ (1940), ინდური ეპოსი „რამაიანა“. შვი-ლებზე – რამაზსა და ნოდარზე დაწერა ლექსები: „წერილი“ (1927), „რამაზის მეორე წერილი“ (1929), „შვილის წერილი“ (1941), „ნოდარის მეორე წერილი“ (1942). გვ. 21, 22, 76, 117, 134, 193, 214, 218, 239.

60. გვინჩიძე შალვა (1898–1959) – დრამატურგი, მკვლევარი, გიორგი ლეონიძის მძახალი. გვ. 14, 160.

61. გიასელი (სამხარაძე) გიორგი (1910–1982) – მწერალი, მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი (1944–1956). გვ. 40, 108, 260.

62. გოგიავა კლიმენტი (1912–1979) – მწერალი, დრამატურგი. გვ. 116.

63. გოგიაშვილი კუკური (1912–1984) – საბავშვო მწერალი. გვ. 256.

64. გოგოლაძე თენგიზ (1926–1996) – მწერალი, კარიკატურისტი. გვ. 254.

65. გოგოლი ნიკოლოზ (1809–1852) – რუსი მწერალი. გვ. 112.

66. გოგუა ალექსი (1932–?) – მწერალი. გვ. 66.
67. გოეთე იოპან ვოლფგანგ (1749–1832) – გერმანელი მწერალი, მოაზროვნე. გვ. 258.
68. გოთუა ლევან (1905–1973) – მწერალი. დრამა „დავით ალმაშენებელი“ დაინერა 1945 წელს. გვ. 187.
69. გოლეთიანი პინა – სახელგამის მთავარი ბუხპალტერი. გვ. 226.
70. გოლცევი ვიქტორ (1901–1955) – რუსი კრიტიკოსი, ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციონი, ანთოლოგის „საქართველოს პოეზია“ შემდგენელი. გვ. 34, 75, 130, 209.
71. გომიაშვილი ალექსანდრე (ალექსი, ლექსო) (1911–1998) – მწერალი, მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი (1946–1950), ლიტფონდის დირექტორი (1951–1963). გვ. 17, 20, 27, 86, 87, 146, 147, 148, 215, 238, 247, 251.
72. გორგაძე ვასილ (ვასო) (1890–1973) – პოეტი, ლიტერატურული გაერთიანების „არიფონი“ წევრი, ლიტფონდის დირექტორი (1942–1943). გვ. 46, 86, 133.
73. გორკი მაქსიმ (პეშკოვი ალექსი) (1868–1963) – მწერალი, სოცრეალიზმის ფუძემდებელი. გვ. 64.
74. გოსკინპრომი (სახკინმრეწვი) (რუს.) – სახელმწიფო კინომრეწველობა. გვ. 134.
75. გოსუნტი (რუს.) – სახელმწიფო უნივერსიტეტი. გვ. 61.
76. გრიშაშვილი (მამულაიშვილი) იოსებ (1889–1965) – პოეტი, აკადემიური მწერლობის ასოციაციის წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი 1947 წლიდან, 1949 წელს ლექსების ერთტომეულისთვის მიენიჭა სახელმწიფო პრემია. გვ. 11, 180, 185, 225.

**77. გუგუშვილი პაატა (1905–1987) – ეკონომისტი, აკადემიკოსი, მარქსიზმის კლასიკოსების თხზულებათა ქართული თარგმანის სარედაქციო კოლეგიის წევრი. გვ. 85.**

**78. გულია გიორგი (1913–1989) – აფხაზი პოეტი, მწერალთა კავშირის აფხაზეთის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი (1940–1945). აფხაზეთის ლიტერატურის ფუძემდებლის – დიმიტრი გულიას (1874–1960) შვილი. გვ. 30, 249.**

**79. გურამიშვილი დავით (1705–1792) – პოეტი. გვ. 236.**

**80. გურიელი მამია (1836–1891) – პოეტი. გვ. 105.**

**81. დადიანი შალვა (1874–1959) – მწერალი, დრამატურგი, მსახიობი, ლიტერატურული გაერთიანების „არიფიონი“ წევრი. 1908 წელს ჩამოაყალიბა „მოძრავი დასი“. შალვა დადიანის ლექსების პირველი კრებული „ნაპერნკალი“ გამოიცა 1892 წელს, კომედია „კაკალ გულში“ დაიწერა 1928 წელს. დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და სხვა ჯილდოებით. გვ. 20, 64, 139, 151, 193, 202.**

**82. დადიანი ცოტნე (XIII საუკუნე) – დიდგვაროვანი ფეოდალი, კოხტასთავის შეთქმულების მონაწილე, რომელიც შემთხვევით გადაურჩა შეცყრბას. როდესაც ამხანაგების დაპატიმრების ამბავი შეიტყო, ანისში ჩავიდა და მათი ბედი გაიზიარა. ცოტნეს გმირული საქციელის გამო მონღლოლებმა ქართველები გაათავისუფლეს. გვ. 169.**

**83. დავით IV აღმაშენებელი (1073–1125) – საქართველოს მეფე 1089–1125 წლებში. გვ. 136.**

**84. დანტე ალიგიერი (1265–1321) – იტალიელი პოეტი. გვ. 68.**

**85. დარიანი ელენე – მკვლევართა ერთი ნაწილის თვალსაზრისით – პაოლო იაშვილის, მეორე ნაწილის აზრით კი – ელენე ბაქრაძის ფსევდონიმი. გვ. 26.**

86. დგებუაძე ორდე (1905–1963) – მწერალი. გვ. 224, 254.
87. დევდარიანი კლავდია (1910–2002) – მწერალი. გვ. 72, 102.
88. დევიძე აკაკი (კაკო) (1913–1985) – დრამატურგი. გვ. 18.
89. დემეტრაძე დავით (1890–1937) – ლიტერატურათ-მცოდნე, უურნალისტი, მწერალთა კავშირის მდივანი, მწერალ-თა კავშირის საგამომცემლო სექტორის ხელმძღვანელი (1932 წლიდან), გაზეთის „კომუნისტი“ კრიტიკის განყოფილების გამ-გე, „სალიტერატურო გაზეთის“ (1932–1933), უურნალების „ჩვენი თაობა“ (1935–1936) და „მნათობი“ (1937) რედაქტორი. გვ. 84, 94.
90. დემეტრაძე შალვა (1907–1971) – მწერალი, გამომცემ-ლობის „საბჭოთა მწერალი“ საწარმოო ნაწილის გამგე და დი-რექტორის მოადგილე. ნიკა აგიაშვილის ცნობით, 1940 წელს შვებულებაში მყოფი რაჟდენ გვეტაძის ნაცვლად დირექტორის მოვალეობას ასრულებდა. გვ. 21, 47, 76, 101, 117, 132, 133, 217.
91. დიდრო დენი (1713–1784) – ფრანგი მწერალი, ფილო-სოფოს-განმანათლებელი. გვ. 117.
92. დიკენსი ჩარლზ (1812–1870) – ინგლისელი მწერალი. რომანი „ოლივერ ტვისტის თავგადასავალი“ დაიწერა 1838 წელს. გვ. 95.
93. დიონისე – ძველ ბერძნულ მითოლოგიაში მცენარე-ულობის, მევენახეობისა და ღვინის ღვთაება. გვ. 16.
94. დოდაშვილი რუსუდან (1919–1979) – ლიტერატურათ-მცოდნე, კრიტიკოსი. გვ. 138.
95. დოდოხიანი გეორგ – სომეხი პოეტი. დავით გაჩეჩი-ლაძემ თარგმნა ლექსი „გაზაფხული“ („ახალგაზრდა კომუნისტი“, 1938, №83). გვ. 103.

96. დოლიძე ნინო (1906–1968) – საბავშვო მწერალი. გვ. 255.
97. დონუაშვილი თინა (1916–1992) – მწერალი. გვ. 140, 215.
98. დუდუჩიავა მამია (1911–1980) – ლიტერატურათმცოდნე, ხელოვნებათმცოდნე. გვ. 105, 143.
99. ერედია ხოსე მარია (1842–1905) – ფრანგიპოეტი. გვ. 217.
100. ერეკლე II (პატარა კახი) (1720–1798) – ქართლის მეფე 1744–1762 წლებში, ქართლ-კახეთის მეფე 1762–1798 წლებში. გვ. 18, 136, 259.
101. ერთანმინდელი (ბატკუაშვილი) სეზმან (1890–1944) – მწერალი. გვ. 126, 233.
102. ეული სანდრო (ქურიძე ალექსანდრე) (1890–1965) – პოეტი, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრი, მწერალთა კავშირის მდივანი (1934–1937), საქართველოს ლიტფონდის თავმჯდომარე (1934 წლიდან). ნიკა აგიაშვილის ცნობით, სანდრო ეული იხვებზე სანადიროდ ტბის პირას წაიყვანეს. იხვები არსად ჩანდა. სანდრო გაიძახოდა: „სად არის იხვი, სად არის იხვი?“ ფრაზა „იხვნი და ჯიხვნი“ არის აღით მაშაშვილის პოემიდან „ენგური“ (1934–1936). გვ. 11, 17, 46, 82, 83, 114, 118, 158, 165, 198, 251.
103. ვაკელი (მეგრელიძე) ოონა (1900–1988) – პოეტი, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრი. ნიკა აგიაშვილის ცნობით, 1940 წლის შემოდგომაზე ოონა ვაკელი დედასთან ერთად ვრიძოვედოვის სახელობის თეატრში მიიჩქაროდა მისი პიესის „გიორგი სააკაძის“ პრემიერაზე. რუსთაველის პროსპექტზე, პიონერთა სასახლესთან დაეცა და ფეხი მოიტეხა. ექვსი თვის მანძილზე ინვა. თეატრალური სეზონი ისე დამთავრდა, პიესა ვეღარ ნახა. შემდეგ აღარ შეუტანიათ რეპერტუარში. მეორე დღეს ლადო ასათიანმა გამოთქვა: „როცა იონა ქვაზე დაე-

ცა... “გუგული ბუხნიკაშვილი ამ ამბავთან არ იყო დაკავშირებული, რითმის გამოა მოხსენებული. გვ. 31, 118, 177.

104. **ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი)** (1862–1915) – პოეტი. გვ. 20, 133, 162, 178, 248.

105. **ვარდოშვილი (ნიკოლაიშვილი)** ხარიტონ (1895–1970) – პოეტი. გვ. 222, 234.

106. **ვაჩინაძე ანა (ანიკო)** (1914–1994) – მწერალთა კავშირის ეკონომისტი, ლადო ასათიანის მეუღლე. გვ. 43.

107. **ვეშაპელი (ვეშაპიძე)** გრიგოლ (1891–1926) – მწერალი, პუბლიცისტი. 1921 წელს წავიდა ემიგრაციაში, პარიზში გამოსცა გაზეთი „ახალი საქართველო“. მოკლეს, რადგან ემიგრანტებს საბჭოთა სამშობლოში დაბრუნებისკენ მოუწოდებდა. 1928 წელს ნეშტი საქართველოში გადმოასვენეს. გვ. 28, 185.

108. **ვურლუნი (ვექილოვი)** სამედ (1906–1956) – აზერბაიჯანელი პოეტი. პირველად მისი ლექსი („მიმართვა ახალგაზრდებს“) დაიბეჭდა 1925 წელს თბილისის გაზეთში „ენი ფიქირ“ (ახალი აზრი), 1937 წელს დაესწრო, „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის იუბილეს. გვ. 240.

109. **ზარიანი ნაირი (ელაზარიანი ჰაიასტან)** (1901–1955) – სომეხი მწერალი. 1940 წელს საქართველოში დაესწრო აკაკი წერეთლის 100 წლის იუბილეს. გვ. 30.

110. **ზაქრო** – ილია ჭავჭავაძის პოემის „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩალის ცხოვრებიდამ“ გმირი. პიესაში „ჩატეხილი ხიდი“ შალვა დადიანმა თავი მოუყარა ფრაგმენტებს ილია ჭავჭავაძის ნანარმოებებიდან. გვ. 151.

111. **ზედგინიძე (პოლუმორდვინოვი)** ელიზბარ (1903–1993) – მწერალი, პროლეტარული მწერლობის

ახალი ფრონტი) წევრი; 1944 წელს ენვია ყირიმში ზღვისპირეთის პირველი არმიის გაზეთს „Вперед за родину“. გვ. 49, 51, 171, 181, 197.

112. ზევსი – ძველ ბერძნულ მითოლოგიაში უზენაესი ღვთაება, ღმერთთა და კაცთა მბრძანებელი. გვ. 137.

113. ზონენაშვილი მიხეილ (1901–1951) – მწერალი. გვ. 138, 166, 244.

114. თავაძე სოლომონ (ობოლი მუშა) (1890–1960) – მწერალი, მთარგმნელი. რომანი „ფოლადი“ დაიწერა 1953 წელს. გაიოზ იმედაშვილის ცნობით, გრიგოლ აბაშიძე ჭადრაკს თამაშობდა, სოლომონ თავაძე უყურებდა და არიგებდა. გრიგოლმა სთხოვა, თამაში მაცალეო, მაგრამ ის არ მოეშვა. ბოლოს გრიგოლმა უთხრა: „ახლა კი დროა, სოლომან, რომა მშვიდობა ნახოს საქართველომა...“. გვ. 65, 73, 87, 112, 155, 171, 234, 246, 253, 256.

115. თამარ მეფე (1160–1210/13) – საქართველოს მეფე 1184 წლიდან. გვ. 136.

116. თარხნიშვილი ნოდარ (კიჭა) – დრამატურგი, მთარგმნელი. გვ. 43, 70, 177.

117. თაქთაქიშვილი დავით (დათა) – დრამატურგი. გვ. 27.

118. თბილისში, 1940 წლის ზაფხულში, არნახული წვიმა მოვიდა, რამდენიმე საათს გასტანა, დაანგრია ქუჩები, ამოაცოს სარდაფები, იყო მსხვერპლიც (ნიკა აგიაშვილის ცნობით). გვ. 130.

119. თევზაძე ანდრო (1912–1974) – პოეტი. გვ. 82, 257.

120. იანქოშვილი ნათელა (1918–2007) – მხატვარი, ლადო ავალიანის მეუღლე. გვ. 20.

121. იაშვილი პაოლო (1894–1937) – პოეტი, ცისფერყანწელი, უურნალის „ცისფერი ყანწები“ რედაქტორი (1916). გვ. 26, 205.

122. იმედაშვილი იოსებ (1876–1952) – მწერალი, პუბლიცისტი, ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ რედაქტორი (1910, 1914, 1920, 1923–1926). გვ. 180.

123. ინგოროვა პავლე (1893–1983) – მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, პუბლიცისტი. აკადემიური მწერლობის ასოციაციის წევრი, ჟურნალების „კავკასიონი“ და „ახალი კავკასიონი“ რედაქტორი (1924–1925), 1928 წელს დააარსა გამომცემლობა „ქართული წიგნი“. გვ. 133.

124. ირემაძე ქეთევან (1912–1945) – მწერალი, მთარგმნელი, შალვა რადიანის მეუღლე. გვ. 117.

125. ისიანი სევერიან (1913–1943) – პოეტი. გვ. 39, 81, 127, 150.

126. კაკაბაძე პოლიკარპე (1893–1972) – მწერალი, დრამატურგი. კომედია „ყვარყვარე თუთაბერი“ დაინერა 1928 წელს. გვ. 153, 193, 233, 254.

127. კაკუშაძე ნოე (1919–1983) – მწერალი, ჟურნალისტი, სახელგამის განყოფილების გამგე. ნიკა აგიაშვილის ცნობით, გამოსცა მის მიერვე შედგენილი ხალხური პოეზიის კრებული, სტრიქონების მიხედვით აიღო ჰონორარი, რაც კანონით არ ერგებოდა. ნიგნის რედაქტორი იყო დიმიტრი ბენაშვილი. პრესაში ორივე სასტიკად გააკრიტიკეს. გვ. 132.

128. კალანდაძე ანა (1924–2009) – პოეტი. გვ. 140.

129. კალანდაძე გიორგი (1912–1993) – პოეტი. გვ. 99, 150.

130. კალანდაძე ლავროს (1903–1977) – მწერალი, კრიტიკოსი, ჟურნალის „მნათობი“ პასუხისმგებელი მდივანი (1955–1960). გვ. 257, 259.

131. კალაძე კარლო (1907–1988) – პოეტი, დრამატურგი. პროლემატის (პროლეტარული მწერლობის ახალი ფრონტი) წევრი. პოემა სოფლის კოლექტივიზაციაზე „უჩარდიონი“ დაინერა

1932 წელს. გვ. 10, 23, 41, 49, 50, 52, 70, 74, 87, 93, 94, 102, 103, 115, 143, 158, 186, 193, 202, 207, 226, 230, 233, 239, 250, 253, 256.

132. კალევალა – კარელიურ-ფინური ეპოსი. გვ. 17.

133. კანდელაკი ვლადიმერ (1908–?) – მომღერალი, რეჟისორი. გვ. 183.

134. კანტი იმანუელ (1724–1804) – გერმანელი ფილოსოფოსი. გვ. 23, 29.

135. კაპანელი (ჭანტურია) კონსტანტინე (1889–1952) – ლიტერატურათმცოდნე, ხელოვნებათმცოდნე, ლიტერატურული გაერთიანების „არიფოონი“ წევრი. გვ. 110.

136. კარანდაში (რუმიანცევი ნიკალაი) (1901–1983) – საბჭოთა ცირკის კლოუნი. გვ. 225.

137. კაშმაძე შალვა (1904–1955) – ხელოვნებათმცოდნე. გვ. 39.

138. კაჭახიძე გიორგი (გივი) (1907–1979) – პოეტი. გვ. 27, 40, 52, 86, 104, 119, 193, 208, 260.

139. კახიანი მიხეილ (1896–1937) – სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი (1922–1930). გვ. 111.

140. კახიძე შედეა (დაბად. 1930) – პოეტი. გვ. 260.

141. კეკელიძე კორნელი (1879–1962) – ლიტერატურათმცოდნე. გვ. 133.

142. კეშელავა ბონდო (1908–1985) – პოეტი. გაიოზ იმედაშვილის ცნობით, 1940 წელს ბონდო კეშელავამ დახმარების-თვის მიმართა მწერალთა კავშირის მდივანს – ირაკლი აბაშიძეს. საუბრისას კაბინეტში შემოვიდა ვიქტორ გოლცევი. ირაკლი აბაშიძე მას მიუბრუნდა ისე, რომ ბონდოსთან საუბარი არ

დაუსრულებია. ბონდოს ძალიან ეწყინა და ირაკლის ლოკაში გა-  
არტყა. გვ. 33, 52, 81, 97, 134, 146, 218.

143. კეშელავა პლატონ (თომაზ ბორელი) (1893–1965) –  
მწერალი, კრიტიკოსი, მწერალთა სასახლის კომენდანტი, ილია  
ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დირექტორი ყვარელში. გვ. 31, 48,  
79, 202.

144. კილასონია ნაზი (1927–1996) – პოეტი. გვ. 205.

145. კლდიაშვილი დავით (1862–1931) – მწერალი. მოთხრო-  
ბა „შუა ცეცხლის პირას“ დაიწერა 1924–1926 წლებში. გვ. 15, 32.

146. კლდიაშვილი სერგო (1893–1986) – მწერალი, ცის-  
ფერყანნელი. რომანი „ფერფლი“ დაიწერა 1932 წელს. ნიკა აგი-  
აშვილის ცნობით, 1944 წელს დაიწერა სამამულო ომის თემაზე  
შექმნილი, მხატვრულად სუსტი დრამა „ირმის ხევი“, რის შესა-  
ხებაც გამოითქვა ეპიგრამა „ის ურჩევნია მამასა“. გვ. 15, 32, 142,  
193, 202, 226, 239, 250.

147. კობზარი – უკრაინელი მომღერალი, რომელიც კობ-  
ზაზე ან ბანდურაზე უკრავდა. გვ. 51.

148. კოკელაძე გრიგოლ (1904–1988) – კომპოზიტორი. გვ. 183.

149. კოპშტეინი არონ (1915–1940) – თბილისში მოღვაწე  
უკრაინელი პოეტი, დაიღუპა ფინეთის ომში. გვ. 127, 167.

150. კოსარიკი დმიტრი (1904–1992) – უკრაინელი მწერა-  
ლი. 1948 წელს საქართველოს მწერალთა კავშირში გამოვიდა  
მოხსენებით მირგოროდში დავით გურამიშვილის საფლავის აღ-  
მოჩენის შესახებ. გვ. 226.

151. კუჭავა (პონტელი) შალვა – პოეტი. გვ. 63.

152. ლამანჩელი რაინდი – სერვანტესის რომანის „მახ-  
ვილგონიერი იდალგო დონ კიხოტ ლამანჩელი“ (1602–1615) გმი-  
რი. გვ. 136, 137.

**153. ლასურია ალექსი (1927–1959)** – აფხაზი მწერალი, მწერალთა კავშირის აფხაზეთის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი (1956–1958). გვ. 30.

**154. ლევენფიში გრიგორი (1889–1961)** – პოლონელი მოჭადრაკე, დიდოსტატი, 1937 წელს თბილისში მოიპოვა ჩემპიონობა. გვ. 226.

**155. ლეონარდო და ვინჩი (1452–1519)** – იტალიელი მხატვარი, მოქანდაკე, არქიტექტორი, მეცნიერი. 1503–1506 წლებში დახატა „ჯოკონდა“ (მონა ლიზას პორტრეტი). გვ. 211.

**156. ლეონიძე გიორგი (1890–1966)** – პოეტი, ცისფერყანწელი, ლიტერატურის მუზეუმის პირველი დირექტორი (1931–1953), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი 1944 წლიდან, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე (1951–1953), მისი მოხსნის შემდეგ თავმჯდომარედ დაინიშნა ორაკლი აბაშიძე. 1912 წელს პოეტმა ლექსი უძღვნა ვაჟა-ფშაველას, რომელიც ლექსით „გიორგი ლეონიძეს“ გამოქმაურა (ურნალი „განათლება“, №8–9, 1915). 1928 წელს გიორგი ლეონიძის რედაქციითა და კომენტარებით გამოიცა სულხან-საბა თრბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“. სამამულო ომის თემაზე 1943 წელს დაინერა ლექსი „შინ-მოუსვლელო, სადა ხარ“, 1944 წელს – ლექსი „არ დაიდარდო, დედა“; 1941 წელს პოემისთვის „ბავშვობა და ყრმობა“, 1951 წელს პოემებისთვის „ფორთოხალა“ და „ბერშოულა“ მიენიჭა სახელმწიფო პრემიები. დაჯილდოებულია ლენინის 2 ორდენითა და მედლებით. გვ. 14, 29, 44, 69, 71, 87, 90, 99, 156, 160, 161, 162, 176, 188, 192, 193, 204, 206, 207, 218, 229, 235, 236, 250, 251.

**157. ლისაშვილი (ხომერიკი) იაკინთე (1897–1972)** – მწერალი, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრი, გამომცემლობების „ფედერაცია“ (1932–1935) და „საბჭოთა მწერალი“,

ლიტფონდის (1937-1938) დირექტორი, უურნალის „ნიანგი“ რედაქტორი. გვ. 11, 19, 76, 116, 193, 254, 256.

158. **ლიტრედაქცია** – საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანოს „ლიტერატურული გაზეთი“ რედაქცია. 1931-1932 – „ლიტერატურული საქართველო“, 1932-1934 – „სალიტერატურო გაზეთი“, 1936-1943 – „ლიტერატურული საქართველო“, 1943-1953 – „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1953-1963 – „ლიტერატურული გაზეთი“, 1963 წლიდან – „ლიტერატურული საქართველო“. რედაქტორები: შალვა რადიანი (1931-1932, 1937, 1943), დავით დემეტრაძე (1932-1934), პლატონ ქიქოძე (1934-1935), აკაკი თათარაშვილი (1935-1943), გიორგი ნატროშვილი (1943-1963). გვ. 43, 178, 242.

159. **ლიტფონდი** – საბჭოთა კავშირის სახეომსაბჭოს 1934 წლის დადგენილებით შეიქმნა საბჭოთა კავშირის ლიტფონდის განყოფილება – საქართველოს ლიტერატურული ფონდი, ხელმოკლე ლიტერატორებისა და მეცნიერების დამსმარე საზოგადოება, რომელიც გასცემდა სტიპენდიებს, საგზურებსა და სხვა დახმარებას. გამგეობაში შევიდნენ: სანდრო ეული (თავმჯდომარე), ნიკოლო მინიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე და დირექტორი), ალექსანდრე აბაშელი, ირაკლი აბაშიძე, პეტრე საყვარელიძე, დემნა შენგელაია, მიხეილ ჯავახიშვილი. გვ. 24, 35, 122, 148, 201, 257.

160. **ლომიძე ანდრო** (1907-1988) – მწერალი. გვ. 82.

161. **ლომიძე ვასილ (ვასო)** – პოეტი. უურნალში „ჩვენი თაბა“ (1938, №12, დეკემბერი; რედაქტორი – ირაკლი აბაშიძე) დაიბეჭდა ვასილ ლომიძის ლექსი „სიკვდილის გამომგონებელი პროფესორი“. გვ. 103.

162. **ლორთქიფანიძე კონსტანტინე** (1904-1980) – მწერალი, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრი, უურნალების

„მნათობი“ (1932–1939) და „ჩვენი თაობა“ პასუხისმგებელი მდივანი (1937–1938). მოთხრობა „ხავსი“ დაიწერა 1927 წელს, რომანი „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“ („კოლხეთის ცისკრის“ (1951) პირველი ვარიანტი) – 1931 წელს. 1944 წელს გაემგზავრა ყირიმში ზღვისპირეთის პირველი არმიის გაზეთის „Вперед за родину“ თანამშრომლად და გაზეთის „კომუნისტი“ სპეციალურ კორესპონდენტად. დაჯილდოებულია ლენინის, შრომის წითელი დროშისა და წითელი ვარსკლავის ორდენებით. გვ. 51, 58, 90, 147, 155, 176, 181, 186, 193, 224, 233, 244.

163. **ლორთქიფანიძე ნიკო** (1880–1966) – მწერალი. გვ. 202.

164. **მადამ ბოვარი** – ფრანგი მწერლის გუსტავ ფლობერის (1821–1880) რომანის „ქალბატონი ბოვარი. პროვინციული ზნეობანი“ გმირი. გვ. 74, 203.

165. **მაიაკოვსკი ვლადიმირ** (1893–1930) – საქართველოში დაბადებული რუსი პოეტი. გვ. 217, 241.

166. **მალენკოვი გიორგი** (1901–1988) – რუსი სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი (1938–1946, 1948–1953). გვ. 27.

167. **მარგველაშვილი გიორგი (გია)** (1923–1989) – კრიტიკოსი. გვ. 206.

168. **მარგიანი რევაზ** (1916–1984) – პოეტი. ლექსი „დევეთგერის ნასახლარი“ დაიწერა 1938 წელს. ნიკა აგიაშვილის ცნობით, 1940 წელს რევაზ მარგიანმა მესტიაში წაიყვანა აღიო მაშაშვილი. სამეგრელოშიც გაიარეს. ლადო და ელიზბარ უბილავებმა ოჯახში მიიპატიუეს, მოზვერი დაუკალეს და სვანეთშიც გააცილეს. იქ დიდი საღამო გაიმართა. გვ. 23, 28, 58, 60, 63, 65, 104, 128, 131, 135, 145, 146, 149, 229, 254, 256.

**169. მარიჯანი (ტყემალაძე-ალექსიძე მარიამ) (1890–1978) – პოეტი. გვ. 74, 203, 255.**

**170. მარქსი კარლ (1818–1883) – გერმანელი ფილოსოფოსი, მარქსიზმის ფუძემდებელი. გვ. 29.**

**171. მაშაშვილი (მირცხულავა) ალიო (1903–1976) – პოეტი, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციისა და მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმის (1938–1939) პასუხისმგებელი მდივანი, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი, ლიტ-ფონდის დირექტორი (1946–1948), უურნალების „მნათობი“ (1937–1946) და „დროშა“ რედაქტორი. ნიკა აგიაშვილის ცნობით, 1936 წელს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ – ალიო მაშაშვილმა და ლიტფონდის დირექტორმა – ილრ მოსაშვილმა შრომის წითელი დროშის ორდენები მიიღეს მოსკოვში. გალაკტიონ ტაბიძე დაჯილდოვდა ლენინის ორდენით. ალიო და ილრ ძალიან ამაყობდნენ ჯილდოებით. ამის გამო გალაკტიონმა გამოთქვა: „ალიომ უთხრა ილიოს, ვაჲ, თუ მზე გამოილიოს...“ გაამაყებული ალიო ფიქრობდა, ისე აღვზევდით, ვაითუ მზე გამოილიოსო, მაგრამ ილომ თითქოს ვერ გაუგო და მზე ბზედ მოესმა. გვ. 21, 30, 31, 32, 39, 47, 50, 69, 74, 87, 98, 118, 131, 147, 150, 164, 193, 195, 204, 225, 231, 251, 258.**

**172. მდივანი გიორგი (1905–1981) – დრამატურგი, პროლემატი (პროლეტარული მწერლობის ახალი ფრონტი) წევრი. გვ. 246.**

**173. მებუკე გიგლა (1892–1972) – ლიტერატურათმცოდნე. გვ. 63, 64.**

**174. მერკვილაძე გიორგი (1914–1914) – კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, გაზეთის „კომუნისტი“ რედაქტორი (1952–1953), სახელგამის დირექტორი (1953–1956). გვ. 209.**

175. **მეტრეველი ლევან** (1887–1941) – მწერალი, ლიტერატურული გაერთიანების „არიფოიონი“ წევრი. გვ. 111.
176. **მიქელაძე ალექსანდრე (საშა)** – რეჟისორი. გვ. 233.
177. **მიცკევიჩი ადამ** (1798–1855) – პოლონელი პოეტი, მოღვაწე. გვ. 119.
178. **მიქავა ნიკოლოზ** (1910–1997) – პოეტი, მწერალთა კავშირის აფხაზეთის განყოფილების წევრი. გვ. 188.
179. **მიქელაძე მარია** (1910–1959) – პოეტი. გვ. 72.
180. **მინიშვილი ნიკოლოზ (სირბილაძე ნიკოლოზ)** (1896–1937) – მწერალი, ცისფერყანწელი, უურნალის „ქართული მწერლობა“, გაზეთების „ფიგარო“ და „ზარია ვოსტოკა“ რედაქტორი, „ლიტფონდის“ დირექტორი, სახელგამის ხელმძღვანელი. 1922–1925 წლებში ცხოვრობდა საფრანგეთში, მონანილეობდა საბჭოთა ორიენტაციის გაზეთის „ახალი საქართველო“ დაარსებაში. გვ. 54, 204.
181. „**მნათობი**“ – ყოველთვიური სამხატვრო-სალიტერატურო და სამეცნიერო უურნალი. დაარსდა 1924 წელს, 1932 წლიდან მწერალთა კავშირის ორგანო იყო. გვ. 70, 74, 142, 145, 149, 150, 164, 224, 196, 226, 244.
182. **მორდვინოვი ნიკოლოზ** (1901–1966) – რუსი მსახიობი, ლენინისა და წითელი დროშის ორდენისანი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. გვ. 197.
